საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№18 (536)
20 - 26 მაისი, 2020
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

# «ადამიანები, რომლებმაც მთელი ცხოვრება შრომაში გალიეს, წამალსა და პურს ვერ ყიდულობენ. ამის შემდეგ ეს სახელმწიფოა?» 11

# «შნირი» ქოც-ნაცები 6



# ჩვენი ხელისუფლება დასავლეთმა ხარჭად დაისვა 2



«ოქროს კვეთა»

ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია 4

## სასწაულის მოლოდინში, რომელიც არ მოხდება





## 8-9 პოსტკრიზისული სტრატეგია ისევ არ გვაქვს

მამა გურამი (გამცემლიძე):



## დასავლეთის მიერ გაწეული ყოველი ფინანსური «დახმარება» ახალი ვალდებულებების ყულფია, რომელშიც ქვეყანას თავს აყოფინებენ 10





## უკრაინას ვალს მიწის გაყიდვით გაასტუმრებინებენ 14



## ტერორისტი გიულენი, მისი ხელშემწყობი კონსტანტინოპოლის პატრიარქი და სხვები 21

## რობოტების საზოგადოება თუ ქართველი ერი?





## ბილ გეიტსის კაცთმოძულეობის კიდევ ერთი პროექტი 16

მოჯადოებული წრე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დღეს სასჯელს ათასობით ადამიანი იხდის ქურდობის ბრალდებით და მათ მიერ მოპარული ნივთებისა თუ სურსათის ოდენობა ხშირად ათას ლარს არ აჭარბებს. კარგი, ათი ათასი იყოს. ეს ადამიანები სასჯელს იხდიან გაჭირვების გამო ჩადენილი დანაშაულისთვის; სასჯელს იხდიან იმიტომ, რომ შიოდათ, შვილებს შიოდათ, მაგრამ პრეზიდენტი არ ამბობს, — დამნაშავეები არიან, მაგრამ სახელმწიფოს ბრალია, რომ შიმშილის გამო იქურდეს და გარეთ უნდა გამოვიდნენო. ე.ი., ათასის მომპარავი ქურდია და მილიონების მომპარავი — პოლიტპატიმარი?

# სანამ რუსეთის «მონობისგან გვათავისუფლებს», ჩვენი ხელისუფლება დასავლეთმა ხარჭად დაისვა

## «სტრატეგიულმა პარტნიორებმა და მეგობრებმა» თავზე გადაგვახიეს კონსტიტუცია, თავზე დაგვამხეს სასამართლო სისტემა და პრეზიდენტის ინსტიტუტი

**მოსახლეობაში მარტივი გამოკითხვა რომ ჩაგეტარებინათ, ქუჩაში გასულიყავით და პირველივე შემხვედრისთვის გეკითხათ, — გიგი უგულავა, ირაკლი ოქრუაშვილი და გიორგი რურუა ციხეში უნდა ისხდნენ თუ თავისუფლები უნდა იყვნენო, საუკეთესო შემთხვევაში, ასიდან ორი კაცი იტყოდა, — გამოუშვითო. ის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებზე შეტევა ოქრუაშვილისთვის არ უნდა ეპატიებინათ, ის, რომ უგულავასთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან მოპარული 48 მილიონისთვის თავზე ხელი არ უნდა გადაესვათ, ყველამ იცოდა, ყველამ, გარდა ევროპელი და ამერიკელი პარლამენტარებისა თუ კონგრესმენებისა.**

სხვათა შორის, როცა გათავისუფლებული გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი ერთმანეთს კამერების წინ შეხვდნენ, მხურვალედ გადაეხვივნენ და...

„ვაშაძისა და ოქრუაშვილის შეხვედრა ვერ გავიგე, ყველამ იცის, რომ ოქრუაშვილი არ „პრავდება", — ეს ფრაზა **უგულავამ** მაშინ თქვა, როცა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ **გრიგოლ ვაშაძე** ოქრუაშვილს ჩაეხუტა და მისი მხარდაჭერა მიიღო. თუმცა, ქართულ პოლიტიკაში ხომ ყველაფერი მოსულა და ვაშაძემ კი არა, აგერ გიგიმაც „გააპრავა" „ოქრო ბიჭი". ისე, ეს ის საპრეზიდენტო არჩევნები იყო, რომლის მეორე ტურის წინ **ბიძინა ივანიშვილი** პირადად მოუწოდებდა ამომრჩეველს, — მოდით, მხარი დაგვიჭირეთ და მერე მე ვიციო. **თურმე, იმისთვის უნდა დაგვეჭირა მხარი, რომ მერე ჩვენ მიერ ცუდსა და უარესს შორის არჩეულ ცუდს შეწყალების აქტი გამოეცა და გაეთავისუფლებინა ადამიანები, რომლებზეც მთელი ხელისუფლება და თვითონ ზურაბიშვილიც გაიძახის, — დამნაშავეები არიანო.**

სოციალურ ქსელში ბევრი ითხოვს, დაიდოს ოქრუაშვილისა და უგულავას ხელმოწერილი შეწყალების აქტები, სადაც მათ ბრალი ექნებათ აღიარებულიო. ანუ, **თუ პრეზიდენტი გიწყალებს, თანხმობა უნდა განაცხადო, უნდა აღიარო, მოინანიო დანაშაული და მერე გამოდიხარ გარეთ. არ იცით, ბატონებო, არა... უმრავლესობამ არ იცის, რომ ეს აუცილებელი პირობა შეწყალებისა სწორედ „ოცნების" ხელისუფლებამ შეცვალა. ახლა აუცილებელი აღარ არის, შეწყალების აქტს შეწყალებულმა ხელი მოაწეროს და დანაშაული აღიაროს. მთავარია, პრეზიდენტმა გადაწყვიტოს შეწყალება და ყოველგვარი აღიარების გარეშე გარეთ ხარ.** როცა ეს შესწორება შეიტანეს და ხმაური არ ატეხეს, ვიფიქრეთ, რომ სწორედ ასეთი პროცესებისთვის სჭირდებოდათ და, აჰა, იძახეთ ახლა, — უგულავა და ოქრუაშვილი დამნაშავეები არიანო. ისინი ციხიდან აღიარების გარეშე გამოვიდნენ, რაც **იმას ნიშნავს, რომ მათი პოლიტპატიმრებად აღიარება მოგიწიათ. იმ პოლიტპატიმრებად, რომლებიც თურმე არ გყავთ და ჯერ სად ხართ, ჟორიკა რურუას რომ გმირად შეგირაცხავენ და ტაშით შეხვდებიან „სვაბოდაზე", მერე უფრო საინტერესო სანახავები იქნებით.**

მთავარი ის აღარ არის, ციხეში იქნებიან თუ მის გარეთ უგულავა და ოქრუაშვილი, მთავარი ისაა, რომ **პრეზიდენტს ეს ყველაფერი საკუთარი ნებით არ გაუკეთებია, არც ივანიშვილს დაუძალებია და არც მმართველი გუნდის სხვა წევრებს. საქართველოს ხელისუფლებას (საკანონმდებლოს, აღმასრულებელს, უმაღლეს მთავარსარდალს) ევროპელებმა და ამერიკელებმა უბრძანეს, ეს ადამიანები გაათავისუფლეთო და მანაც გაათავისუფლა.** რაც მანამდე ისედაც ვიცოდით, **ახლა უკვე ვირუსის დადასტურებული შემთხვევასავით არის — ჩვენ დამონებულები ვართ.** სხვათა შორის, ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია ვერ გვანახვებს ვერც ერთი ევროპული ქვეყნის ლიდერის და მითუმეტეს, ამერიკის პრეზიდენტის 8 მარტის შემდეგ გაკეთებულ განცხადებას, რომელშიც საქართველოში მიმდინარე პროცესები იქნება ნახსენები ან 8 მარტის შეთანხმების შესრულება-შეუსრულებლობაზე იქნება ლაპარაკი. დასავლელმა ლიდერებმა საჭიროდ არ ჩათვალეს, ამაზე ხმა ამოეღოთ, ზედმეტად დიდი პატივი იქნებოდა ჩვენთვის, ამიტომ განცხადებები მეორე თუ მესამე რანგის პოლიტიკოსებს გააკეთებინეს, ჩვენთვის ეგეც კმარა. აი, დაახლოებით ისე, რომელიმე ქვეყანისთვის ბრძანება რომ მიეცათ **ენძელა მაჭავარიანს** ან **ლელა ქებურიას** და მერე იმ ქვეყნებს ამ ბრძანების მიხედვით გადაწყვეტილებები მიეღოთ. **დასავლელი ლიდერები** ხვდებიან: **ისე ჰყავთ საქართველო დაჩმორებულ-დამონებული, მათი ხმის ამოღებაც აღარ არის საჭირო, საქმეს რიგითი პარლამენტარებიც აკვარახჭინებენ და, თუ ელჩებიც ჩაერევიან, მაშინ ხომ, საერთოდ, ჩვენი ხელისუფლება თუ ოპოზიცია უკანა თათებზე დადის.**

**ციხეში დღეს სასჯელს ათასობით ადამიანი იხდის ქურდობის ბრალდებით და მათ მიერ მოპარული ნივთებისა თუ სურსათის ოდენობა ხშირად ათას ლარს არ აჭარბებს. კარგი, ათი ათასი იყოს. ეს ადამიანები სასჯელს იხდიან გაჭირვების გამო ჩადენილი დანაშაულისთვის, სასჯელს იხდიან იმიტომ, რომ შიოდათ, შვილებს შიოდათ, მაგრამ პრეზიდენტი არ ამბობს, დამნაშავეები არიან, მაგრამ სახელმწიფოს ბრალია, რომ შიმშილის გამო იქურდეს და გარეთ უნდა გამოვიდნენო. ე.ი., ათასის მომპარავი ქურდია და მილიონების მომპარავი — პოლიტპატიმარი?** კიდევ ვიმეორებთ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით, ჩვენ ხელს არ ვადებთ უგულავასა და ოქრუაშვილს, სასამართლომ დაადო ხელი და მიუსაჯა კიდეც,



მათ დანაშაული დაუმტკიცდათ და რატომ არ უნდა ვენდოთ სასამართლოს? **ჩვენ კი ვენდობით, მაგრამ, აგერ, ევროპელებმა თქვეს, — არ ენდოთო. ეს ხომ პირდაპირ იმას ნიშნავს, რომ სწორედ დასავლეთმა გამოუცხადა უნდობლობა სასამართლოს?! მაშინ, ბატონებო, თუ მათ ვუჯერებთ, გამოდის, მოსამართლე როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, პოლიტიკური თვალსაზრისით მოქმედებდა და არა კანონით, ამიტომ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრათ იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებმაც უგულავა და „ოქრო ბიჭი" ციხეში გამოკეტეს,** მაგრამ ეს არ მოხდება და არ მოხდება არა იმიტომ, რომ სამართლებრივად არ იქნება გამართული, არამედ იმიტომ, რომ მერე, შესაძლოა, დასავლეთმა ამ მოსამართლეებზე თქვას, — პოლიტპატიმრები არიან და გამოუშვითო და გაგრძელდება ასე დაუსრულებლად.

XXI საუკუნის გარიჟრაჟზე (გარიჟრაჟია 20 წელი, აბა, რა არის) იმას მოვესწარით, რომ **საქართველო ფურთხის ღირსიც აღარ არის.** დასავლეთმა ქართული მართლმსაჯულება ფეხქვეშ გათელა. ქართველი ერის ინტერესები მანამდეც ფეხებზე ეკიდა და ახლა რატომ შეიწუხებდა თავს?! **დასავლეთმა დაადასტურა, რომ თვითონ წყვეტს, ვინ უნდა იჯდეს ციხეში და ვინ იყოს გარეთ, ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში და ვინ გახდეს ოპოზიცია. საინტერესოა, რას იზამენ დღევანდელი მმართველები ოქტომბერში, არჩევნების შემდეგ დასავლეთმა შედეგები რომ დაიწუნოს? (ეჭვი არ შეგეპაროთ, დაიწუნებენ, ევროპა-ამერიკას ის უნდა, ჩვენს პარლამენტში ძალთა ისეთი თანაფარდობა ჩამოყალიბდეს, რომ გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელი შეიქნეს, სახელისუფლებიო კრიზისი გაჩნდეს და ქვეყანაში სრული ქაოსი გამეფდეს, სხვანაირად სააკაშვილს და ნაციონალებს ხელისუფლებაში ვერ დააბრუნებენ)** ხელმეორედ ჩატარება კი არა, ციფრები რომ დაუდონ მმართველ გუნდს, პარლამენტში თქვენ ამდენი უნდა იყოთ, ოპოზიცია იმდენიო; ცხვრებივით რომ გადათვალონ (ახლა არ თქვათ, ცხვართან შედარება შეურაცხყოფააო, მონას აღარ ჯობია?!). და ვინ არის იმის გარანტი, რომ დასავლეთმა უკვე არ იცის, ვინ რამდენი შევა პარლამენტში, რა კანონებს მივიღებთ სამომავლოდ და, საზოგადოდ, **იმაზე თუ გიფიქრიათ, ახალ პარლამენტში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას რომ „დააჩაქუჩებინებენ" კანონმდებლებს და ლგბტ დროშას სახელმწიფო დროშის გვერდით რომ ააფრიალებენ? რეალურად ხომ ლგბტ თემის მომხრე და მხარდამჭერი დაახლობით იმდენია, რამდენიც უგულავასა და ოქრუაშვილის ციხიდან გამოსვლის მომხრე იყო?**

ოპოზიცია და ხელისუფლება ერთ ხმაში გაჰკივიან, — უნდა გავთავისუფლდეთ რუსეთის მონობისგანო; **იმ რუსეთის, რომელიც ჩვენს საშინაო საქმეებში არ ერევა; იმ რუსეთის, რომლის აგენტობაც მიაწერა ხელისუფლებამ ირაკლი ოქრუაშვილს. არადა, სწორედ ოქრუაშვილს უწოდა დასავლეთმა პოლიტპატიმარი და მისი გამოშვება მოითხოვა. რეალურად, წლებია, რუს პოლიტიკოსებს საქართველოს საშინაო პოლიტიკის მიმართ განცხადება არ გაუკეთებიათ, რამდენიმე წელიწადში ერთხელ იტყვიან ხოლმე, ხომ არ გვესაუბრაო, და ისეთ მკვახე პასუხს იღებენ, კიდევ რამდენიმე წელი სჭირდებათ მორიგი შემოთავაზებისთვის.**

მანამდე კი, **სანამ თურმე რუსეთის მონობისგან გვათავისუფლებს, ჩვენი ხელისუფლება დასავლეთმა ხარჭად დაისვა, რაც მთავარია, ქართველ პოლიტიკოსებს ეს მიმართულება — დასავლეთის ხარჭად ყოფნა ძალიანაც მოსწონთ. ისიც არ ადარდებთ, ჩვენ გარეშე რომ წყვეტენ, როგორი უნდა იყოს საქართველოს მომავალი და როგორ უნდა იცხოვროს ერმა, ფიქრობენ, რომ თვითონ კი იქნებიან კარგად (ვითომ?) და ხალხი? რა მათი საკითხავია ხალხი. ქვეყანა აგერ 30-ე წელია, ერთსა და იმავე წრეზე დაჰყავთ და გამოსავალი არ ჩანს.**

**საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ეკონომიკის წამოწევა, იმიტომ, რომ ამის უფლება დასავლეთმა არ მისცა. დასავლეთს არ სურს, საქართველოს ძლიერი მოსახლეობა ჰყავდეს, რადგან ეკონომიკურად ძლიერი ერი მონობის უღელს გადააგდებს და გახარჭებული პოლიტიკოსებისგან გათავისუფლდება.** ეს კი დასავლეთის გეგმებში არ შედის და ამიტომ **გაუმარჯოს კანონიერ მონობას, გაუმარჯოს აღიარებულ დიქტატურას (პოლიტპატიმრები მხოლოდ დიქტატურის პირობებში არსებობენ) და გაუმარჯოს იმ საქართველოს, რომელსაც ევროპისა თუ ამერიკის მესამე-მეოთხე რანგის პოლიტიკოსები მაგიდაზე მუშტის ბრახუნით თავზე გადაახევენ კონსტიტუციას, სასამართლო სისტემასა და პრეზიდენტის ინსტიტუტს!**

**ბესო ბარბაქაძე**

„შესაძლებლად მიმაჩნია იმ საშინელი ტალღის შეჩერება, რომელიც მოემართება საქართველოსკენ და რომლის მიზანია, რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად გვაქციოს. კიდევ გავიმეორებ: რუსეთთან ჩვენი პოლიტიკური ანგარიშები გვაქვს და ამის გარკვევაში არავინ გვჭირდება, მით უფრო ისეთი ხალხი და ძალები, რომელთათვისაც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობა ერთი მუჭა კრიმინალების ხელშეუხებლობით განისაზღვრება“.

ბატონი და ყმა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნანა კაკაბაძე:

# საქართველო დაპყრობილი ქვეყანაა — კოლონია

# «კიდევ რა ფორმით შეიძლება ამაზე მეტად შეურაცხგვყონ...»

**15 მაისს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ ორი უმძიმესი დანაშაულის ჩამდენთა — ბიუჯეტიდან 48 მილიონი ლარის გამფლანგველი გიგი უგულავასა და სახელმწიფო გადატრიალების მიზნით სამართალდამცველებზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორ ირაკლი ოქრუაშვილის — შეწყალებამ, რაც რეალურად „მეოცნებე“ ხელისუფლებაზე „დემოკრატიული“ დასავლეთის ზეწოლის შედეგი იყო, საზოგადოების უდიდეს ნაწილში გარედან მართული, მარიონეტული პოლიტიკური სპექტრისადმი აგრესია ერთი-ორად გაზარდა.**

უკმაყოფილების მუხტი და უნდობლობა, რომელთა ნაკლებობა არც მანამდე იყო, შეიძლება ითქვას, პიკს მიაუახლოვდა. მეტიც, ხელისუფლების მიერ დასავლელი ე.წ. დემოკრატი პოლიტიკოსების კარნახით გამოცხადებულმა პოლიტიკურმა კაპიტულაციამ მოსახლეობა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, სუვერენიტეტის ხარისხი საერთაშორისო დონეზე ნულის ტოლია; დამტკიცდა, რომ დემოკრატიული პროცესებით ქვეყანაში ცვლილებები ვერ განხორციელდება; ვერც სამართლიანობა აღდგება და ვერც პოლიტიკური სტაბილურობა მიიღწევა, თუმცა ამ ყველაფრის ფონზე მთავარი საკითხი — ე.წ. მესამე ძალის სახით რეალური ალტერნატივის ჩამოყალიბება ისევ მთელი სიმძაფრით წარმოჩინდა.

შეგახსენებთ: 15 მაისს პრეზიდენტის მიერ უგულავასა და ოქრუაშვილის შეწყალებას წინ უძღოდა ევროპარლამენტარების განცხადებები, რომლებიც „პოლიტპატიმრების“ არგათავისუფლების შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას სანქციებით ემუქრებოდნენ. განსაკუთრებით მკაცრი და კატეგორიული ლიტვის ყოფილი პრემიერმინისტრისა და ამჟამად ევროპარლამენტის წევრ **ანდრიუს კუბლიუსის** განცხადება იყო, რომელმაც თქვა, რომ, თუ „ოცნება“ ევროკავშირის ნდობას ვერ გაამართლებს, რაც, პირველ რიგში, „პოლიტპატიმრების“ გათავისუფლებას ითვალისწინებდა, ქვეყანა ფინანსურ დახმარებებს ვერ მიიღებსო...

**რას ნიშნავს დღეს საქართველოსთვის პრეზიდენტის მიერ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოცემული შეწყალების აქტი და ქვეყნის გარედან ზემოქმედების შედეგად ორი დამნაშავის — უგულავასა და ოქრუაშვილის — გათავისუფლება? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, ხელისუფლებამ „დემოკრატიული“ დასავლეთის წნეხს ვერ გაუძლო და, ფაქტობრივად, პოლიტიკური კაპიტულაცია გამოაცხადა. უმძიმეს დანაშაულებში ბრალდებულები — გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი თავისუფლები არიან, ოპოზიცია, შეიძლება ითქვას, გამარჯვებას ზეიმობს. რა რეალობა შეიქმნა ჩვენთვის ამ ყველაფრით?**

— ეს ფაქტი თავისთავად გაცილებით დიდი და სერიოზული პრობლემაა, ვიდრე, უბრალოდ, ორი დამნაშავის გამოშვება ციხიდან. ტრაგედია არის ის, რომ მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როცა პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიური შელამაზების გარეშე გვითხრეს, რომ ჩვენ ფორმალურადაც არ ვართ დამოუკიდებლები. ფაქტობრივად, **თავზე დაგვახიეს ის ფარატინა ქაღალდი, რომელზეც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა ჩვენი ვითომ დამოუკიდებლობის აღიარება და ბოლო წლების განავლობაში თავს ვიტყუებდით, სუვერენული სახელმწიფო ვართო.**

რაც შეეხება უშუალოდ პრეზიდენტის განცხადებას, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აწერდა ხელს დამნაშავეების შეწყალებას, **ვუყურებდი და ჩვენ წინაშე იდგა ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლი, რომელიც ქვეყნის მონურ მდგომარეობას განასახიერებდა.** ეს იყო უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე გაცხადებული კოლონიალიზმის დემონსტრაცია, რომლის მსგავსიც, ალბათ, წარმოუდგენელია, განმეორდეს. კიდევ ვიმეორებ: **ასეთი შეურაცხყოფა და თავზე ლაფის დასხმა საქართველოს არ უნახავს მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ, როცა ყიზილბაშების სისასტიკესა და თავგასულობას ბახტრიონის აჯანყება მოჰყვა.** სხვა ახლა კიდევ რა ფორმით შეიძლება ამაზე მეტად შეურაცხგვყონ, არ ვიცი. რეალობა ასეთია: საქართველო არის დაპყრობილი ქვეყანა, კოლონია და ყველაფერი, რაც დღეს პოლიტიკაში ხდება, აქედან გამომდინარეა, თუმცა მჯერა, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც შესწევთ ძალა, ხმა ამოიღონ ამ სირცხვილზე.

**— ხმის ამოღებაში რას გულისხმობთ, რა შეიძლება გაკეთდეს ამ ყველაფრის საპასუხოდ?**

> **«ვუყურებდი და ჩვენს წინაშე იდგა ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლი, რომელიც ქვეყნის მონურ მდგომარეობას განასახიერებდა. ეს იყო უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე გაცხადებული კოლონიალიზმის დემონსტრაცია, რომლის მსგავსიც, ალბათ, წარმოუდგენელია, განმეორდეს. კიდევ ვიმეორებ: ასეთი შეურაცხყოფა და თავზე ლაფის დასხმა საქართველოს არ უნახავს მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ, როცა ყიზილბაშების სისასტიკესა და თავგასულობას ბახტრიონის აჯანყება მოჰყვა»**

— თუ ამ მონური მდგომარეობიდან გამოსვლა გვინდა, უახლოეს მომავალში უნდა დაიგეგმოს მოქმედების შესაბამისი სტრატეგია და მათ შორის, **პასუხი მოეთხოვოთ იმ ე.წ. პარტნიორებს, რომლებმაც ხელყვეს ჩვენი დამოუკიდებლობა. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც გაბედეს და გვითხრეს, რომ არ აინტერესებთ ქართველი ხალხის აზრი, არ აინტერესებთ ჩვენი წესრიგი და სამართალი, მთავარია მათი აგენტების ხელშეუხებლობა.** ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **არ შეიძლება, ასეთ ადამიანებს, ასეთ ძალებსა და ძალთა გაერთიანებებს ჩვენი მეგობრები დავარქვათ; არ შეიძლება, მათ პარტნიორები და მოკავშირეები ვუძახოთ — მათთვის საქართველო, როგორც სახელმწიფო, იწყება და მთავრდება მათ მიერვე მართული ერთი მუჭა კრიმინალებით.** წარმოიდგინეთ, კაცმა 48 მილიონი მოიპარა და გვევაჭრებიან: გამოუშვით და 500-მილიონიან დახმარებას გამოგიგზავნითო. 48 მილიონის მომპარავი სახელმწიფო დამნაშავის თავისუფლება 500 მილიონად იყიდეს. თუმცა ის, რომ ეს რეალურად დახმარება კი არა, საშვილთაშვილო ვალის დადებაა, სხვა საკითხია. ახლა **რა შეიძლება გაკეთდეს კონკრეტულად იმ კოლონიალიზმის საწინააღმდეგოდ, რომელსაც დასავლეთი უკვე ფორმალურადაც აღარ ფუთავს დემოკრატიად.** პირველი და უმთავრესი: უნდა **დაიწყოს მასშტაბური მხილება იმ ძალების, რომლებიც დემოკრატიის სახელით ფეხქვეშ თელავენ ყველანაირ დემოკრატიულ ღირებულებას.** პირდაპირ უნდა ითქვას ყველგან, ყველა მაღალი ტრიბუნიდან, სადაც კი ამის საშუალება იქნება, რომ ამათ ხელში ჩვენ თავისუფლებას კი არ ვეზიარეთ, საერთოდ დავკარგეთ სახელმწიფოებრიობის ნიშანწყალი. თუმცა ამას, ალბათ, მხოლოდ ჩვენი ეროვნული რესურსი არ ეყოფა და საჭიროა მეზობელი სახელმწიფოების ჩაბმაც. ჩვენ უნდა ვუთხრათ მეზობელ აზერბაიჯანს, სომხეთსა და სხვებს, რომ უკვე დაგვიდგა თუნდაც ფორმალური დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალობა და დღეს თუ ამას ერთიანი ძალებით არ შევეწინააღმდეგებით, ხვალ ისინიც დადგებიან იმავე პრობლემის წინაშე.

**— ეს რას მოიტანს, როგორ ფიქრობთ?**

— სულ ცოტა, კამპანია იქნება უფრო მძლავრი და ფართომასშტაბიანი. ვფიქრობ, რომ დღევანდელ ვითარებაში ჩვენ თავიდან უნდა ამოვიგდოთ უაზრო იდეოლოგიურ-პოლიტიკური კომპრომისების სტრატეგია ვითომ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. კომპრომისებსა და პირში წყლის ჩაგუბებას შეიძლება აზრი ჰქონდეს, როცა უფრო მნიშვნელოვანს უფრთხილდები, მაგრამ, თუ ყველაფერს კარგავ და სამარცხვინოდ თავზე გამხობენ ქვეყანას, კომპრომისზე ლაპარაკი ზედმეტია. მე ასე ვფიქრობ და, ალბათ, **ყველა საღად მოაზროვნე ადამიანიც დამეთანხმება, რომ ჩვენ დღეს დასაკარგი არაფერი აღარ გვაქვს.** ჩვენთვის პირდაპირ არის გამოტანილი მონობის განაჩენი და გვეუბნებიან, — თქვენ სახელმწიფო არ ხართო. ამაზე უარესი არაფერი არ დაგვემართება.

**— დასაწყისში თქვით, რომ 15 მაისს ტრიბუნაზე იდგა ძალადობის მსხვერპლი, შეშინებული და დამცირებული პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის მონურ მდგომარეობას განასახიერებდა. მოდი, ასე მივუდგეთ ამ ყველაფერს — ზეგავლენის რა ბერკეტები აქვს დღეს დასავლეთს ხელისუფლებაზე?**

— **პირველი:** ეს არის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში აიღო ქვეყანამ; **მეორე:** ე.წ. დახმარებები, რომლებზეც დიდწილად დამყარებულია მმართველი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა, თუმცა **მთავარი,** რა თქმა უნდა, არის ძალაუფლების ლეგიტიმაცია, რომელსაც დასავლეთიდან იღებს არჩევნებში გამარჯვებული ყველა ძალა. **ხელისუფლება, მისი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არის დასავლეთის მძევალი და იცის, რომ მისი მხარდაჭერის გარეშე ვერც ერთი მიმართულებით, ვერც პოლიტიკურ, ვერც ეკონომიკურ ასპარეზზე მინიმალური წარმატებაც ვერ ექნება. სხვათა შორის, ეს ყველაფერი და განსაკუთრებით ზოგიერთი დასავლელი მაღალჩინოსნის ბოლოდროინდელი შეშფოთებები, რაც საქართველოში ე.წ. რუსულ გავლენებს უკავშირდება, ცხადყოფს, რომ ჩვენ მათ ისევ ვჭირდებით საზარბაზნე ხორცად კრემლის წინააღმდეგ.** არ გამოვრიცხავ, რომ ისევ მოხდეს დაძაბულობის ესკალაცია და ისევ გაანახლონ მწვავე კონფრონტაცია რუსეთსა და საქართველოს შორის. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ **ისინი საქართველოს არაფერს ეკითხებიან და, თუ დასჭირდებათ, დარწმუნებული ვარ, ომსაც დაგვაწყებინებენ...**

**— პროტესტის რა ფორმასა და საშუალებებს შეიძლება მიმართოს ხალხმა იმ კოლონიალიზმის საწინააღმდეგოდ, რომელსაც დასავლეთი უკვე დაუფარავად ახორციელებს?**

— ეს უნდა იყოს ფართო კონსენსუსის საგანი. საზოგადოება უნდა შეთანხმდეს, ბრძოლის რა სტრატეგიას ვირჩევთ დამოუკიდებლობისთვის, თუმცა ერთი რამ ამთავითვე ცხადია: ლოდინი, რას იზამს ბიძინა ივანიშვილი, უაზრობაა. ივანიშვილი ვერაფერს ვერ იზამს, იმიტომ, რომ მან თავისი რესურსი სააკაშვილის გასტუმრებით ამოწურა. მორჩა, მეტს ესენი ვერაფერს ვერ იზამენ. ახლა საჭიროა ახალი ეტაპი წინააღმდეგობის, რომ რაღაც დონეზე მაინც შევინარჩუნოთ სახელმწიფო და ყველას გავაგებინოთ, რომ კოლონია არ ვართ...

**— ამ კოლონიალიზმის დასრულება არჩევნების გზით შესაძლებელია?**

— არჩევნების გზით **შესაძლებლად მიმაჩნია შეჩერება იმ საშინელი ტალღის, რომელიც მოემართება საქართველოსკენ და რომლის მიზანია, გვაქციოს საზარბაზნე ხორცად რუსეთის წინააღმდეგ. კიდევ გავიმეორებ: რუსეთთან ჩვენი პოლიტიკური ანგარიშები გვაქვს და ამის გარკვევაში არავინ გვჭირდება. მით უფრო ისეთი ხალხი და ძალები, რომელთათვისაც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობა ერთი მუჭა კრიმინალების ხელშეუხებლობით განისაზღვრება.**

ცვლილებებს რაც შეეხება, ოდესმე თუ დადგება დრო და მინდა, მჯეროდეს, რომ დადგება, როცა ქართველ ხალხს რეალურად შეეძლება, არჩევანის გაკეთება, **ნებისმიერმა ხელისუფლებამ წინდაწინ უნდა იცოდეს: როგორც კი მის მოქმედებაში გაჩნდება წინა ხელისუფლებების მიერ დანერგილი და დამკვიდრებული ლაქიური, მონური და მაამებლური პოლიტიკის ნიშნები რომელიმე ვექტორისადმი, იქვე დასრულდება მისი მმართველობა.** აი, ეს იქნება, ჩემი აზრით, ყველაზე სწორი და სასარგებლო პოლიტიკური პრაქტიკა, რომელიც მონობისგან დაგვიცავს. სხვა შემთხვევაში, მეგობრად და პარტნიორად გამოცხადებული „დემოკრატიული“ დასავლეთი ჩვეულებრივად გააგრძელებს თავის კოლონიურ მმართველობას ჩვენს ქვეყანაზე.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების ამ ზოგად, ბუნდოვან და გრამატიკული თვალსაზრისით სამარცხვინოდ შედგენილ ტექსტში ტერმინი „პოლიტპატიმარი“ ნახსენებიც არ არის და, საერთოდ, არავის გათავისუფლებაზე არ არის საუბარი, დასავლეთის გარკვეული წრეებისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა იმის სამტკიცებლად, რომ პატიმრები, რომლებსაც ისინი პოლიტპატიმრებად ნათლავდნენ, მიღწეული შეთანხმების მიხედვით, დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულიყვნენ. ასე ერთხმად აყაყანდნენ დასავლეთში „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორი თუ მათ მიერ მოსყიდული პოლიტიკოსები“.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### მეხუთე გადაცემა

# სასწაულის მოლოდინში, რომელიც არ მოხდება

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო, ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

წინა გადაცემაში საქართველოს კოლონიურ მდგომარეობაზე ვსაუბრობდი. კოლონია არის დაპყრობილი ქვეყანა, სადაც ხალხს, როგორც საგარეო, ისე საშინაო საკითხებში წართმეული აქვს საკუთარი ნების გამოვლენის უფლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და თვით სასამართლო შტოების გადაწყვეტილებები ნებისმიერ წუთს შეიძლება გარედან უხეში ჩარევისა და რევიზიის საგანი გახდეს.

დღეს ზუსტად ეს მდგომარეობა გვაქვს საქართველოში.

სამაგალითოდ ავიღოთ დანაშაულში მხილებული და გასამართლებული პირების — **გიგი უგულავასა** და **ირაკლი ოქრუაშვილის** ისტორია.

გავიხსენოთ, რაში ედებოდათ მათ ბრალი.

**Publika.ge:** „2020 წლის 10 თებერვალს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადდა. სასამართლომ გიგი უგულავა საბიუჯეტო თანხის მითვისება-გაფლანგვაში გაამტყუნა. „ევროპული საქართველოს“ ლიდერს სასჯელად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა“.

**Alia.ge:** „პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იგი დამნაშავედ გამოცხადდა 20 ივნისის მოვლენების ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის გამო“.

**ვალერი კვარაცხელია:** — პოლიტიკოსებზე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ბრალის პოლიტიკური მოტივით (ხელოვნური) ინკრიმინაცია რომ არ მოხდეს, მათ გარკვეული იმუნიტეტი უნდა იცავდეს და იცავს კიდეც, მაგრამ საკითხს მეორე მხარეც გააჩნია. კერძოდ ის, რომ პოლიტიკოსობა არ უნდა იყოს მათთვის ყოვლის ნებადართულობის საფუძველი. ამ თვალსაზრისით, ძნელია, შეედავო საქართველოს ხელისუფლებას, როდესაც იგი აცხადებს:



**არჩილ თალაკვაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე:** — არ შეიძლება, რომ ადამიანები, რომლებიც ძალადობრივ შეტევას ახორციელებდნენ პარლამენტზე, პოლიტიკას ამოეფარონ. ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოში ამაზე ექნებოდათ ადეკვატური რეაქცია და ვერანაირი პოლიტპატიმრის სტატუსი ვერ ექნებოდა იმ ადამიანს, ვთქვათ, გერმანიაში, რომელიც ბუნდესტაგზე ძალადობრივ შეტევას განახორციელებდა, ისევე, როგორც ვერ ექნებოდა პოლიტიკური პატიმრის სტატუსი ადამიანს, რომელიც დედაქალაქის ბიუჯეტის 10 პროცენტს გაფლანგავდა.

**ვალერი კვარაცხელია:** — ასეთი იყო ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებები და ასეთი იყო საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ამ კონკრეტულ შემთხვევებში, მაგრამ სხვანაირი იყო ამ საქმისადმი დასავლეთის გარკვეული წრეების დამოკიდებულება. მათ თითზე დაიხვიეს მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის 2020 წლის 8 მარტს გაფორმებული შეთანხმება, რომელიც საარჩევნო სისტემაში განსახორციელებელ ცვლილებებს ეხებოდა და, რომელშიც მართლმსაჯულებაზე შემდეგი აბზაცი ჩაიწერა: **„ჩვენ ვეთანხმებით საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში უმაღლესი სტანდარტების დაცვისა და მათი დახვეწისკენ სწრაფვის მნიშვნელობას. მიუხედავად განსხვავებული აზრისა, ყველა ვთანხმდებით, რომ აუცილებელია რეაგირება ქმედებებზე, რომლებიც, შესაძლოა, აღქმული იქნას, როგორც სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაცია, და მომავალში მსგავსი ქმედებები თავიდან უნდა იქნას აცილებული“.**

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების ამ ზოგად, ბუნდოვან და გრამატიკული თვალსაზრისით სამარცხვინოდ შედგენილ ტექსტში ტერმინი **„პოლიტპატიმარი“** ნახსენებიც არ არის და, საერთოდ, არავის გათავისუფლებაზე არ არის საუბარი, დასავლეთის გარკვეული წრეებისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა იმის სამტკიცებლად, რომ პატიმრები, რომლებსაც ისინი პოლიტპატიმრებად ნათლავდნენ, მიღწეული შეთანხმების მიხედვით, დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულიყვნენ. ასე ერთხმად აყაყანდნენ დასავლეთში „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორი თუ მათ მიერ მოსყიდული პოლიტიკოსები.



**ჯიმ რიში, აშშ-ის სენატორი:** — ველოდები, რომ საქართველოში სრულად შეასრულებენ მარტში მიღწეული შეთანხმების პირობებს, მათ შორის პოლიტპატიმრების განთავისუფლებას.

**ვალერი კვარაცხელია:** **— ისინი არად დაგიდევენ, რომ შეთანხმებაში იმის მსგავსი არაფერი წერია, რასაც გვიმტკიცებენ. ისინი არც იმას დაგიდევენ, ეს პატიმრები მართლა პოლიტიკური პატიმრები არიან თუ პოლიტიკას ამოფარებული საშიში დამნაშავეები. რაკი შეთანხმების ტექსტში სიტყვა მართლმსაჯულებაა ნახსენები, დაიხვიეს თემა თითზე და თუთიყუშებივით იმეორებენ ერთსა და იმავეს.**



**ადამ კინზინგერი, აშშ-ის კონგრესმენი:** — აუცილებელია, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოხდეს ამ შეთანხმების იმპლემენტაცია და წინ წავიდეთ.

**ვალერი კვარაცხელია:** — ევროპისა და აშშ-ის საელჩოებიც დაუფარავად მოუწოდებდნენ საქართველოს ხელისუფლებას ე.წ. პოლიტპატიმრების განთავისუფლებისკენ.



**კარლ ჰარცელი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში:** — ირაკლი ოქრუაშვილის საქმის გარემოებები ხელს არ უწყობს ნდობის მშენებლობას იმ ისტორიული პოლიტიკური შეთანხმების გარშემო, რომელსაც ყველა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიამ მიაღწია 8 მარტს და აღძრავს კითხვებს 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდგომი ქმედებების მიუკერძოებლობაზე.

**აშშ-ის საელჩოს განცხადებიდან:** „8 მარტის შეთანხმება იყო ქართული პოლიტიკური ძალების მიერ მიღწეული ისტორიული მნიშვნელობის წარმატება. ჩვენ, როგორც დიალოგის ფასილიტატორებმა, ხელი შევუწყვეთ დისკუსიის პლატფორმის შექმნას. მიღწეული შეთანხმება ერთნაირად მოიწონა, როგორც ქართველმა ხალხმა, ასევე საერთაშორისო საზოგადოებამ. შეთანხმება შედგება ორი ნაწილისგან: ერთი ფოკუსირებულია საარჩევნო სისტემაზე, მეორე კი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხების გადაჭრაზე, რაც სასამართლო სისტემაში პოლიტიკურ ჩარევას ჰგავს. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, სრულად დაიცვან შეთანხმების ორივე ნაწილი, რათა ის წარმატებით განხორციელდეს“.

**ვალერი კვარაცხელია:** — დააკვირდით, როგორი გველური ენით არის ეს ტექსტი შედგენილი: „შეთანხმების მეორე ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხების გადაჭრაზე, რომელიც **სასამართლო სისტემაში პოლიტიკურ ჩარევას ჰგავს“**, ე.ი., ჩვენ კი არ ვამტკიცებთ, რომ სასამართლო სისტემაში პოლიტიკური ჩარევა მოხდა, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ეს **„სასამართლო სისტემაში პოლიტიკურ ჩარევას ჰგავს“**. ამ წინადადებაში მართლაც აშკარად ისმის გველის სისინი, რომელიც მომდევნო წინადადებაშიც გრძელდება: **„ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, სრულად დაიცვან შეთანხმების ორივე ნაწილი“.**

ორივე მხარეს მოვუწოდებთო.

რას ნიშნავს ორივე მხარე? თავიანთ მხარეს, ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“ ისინი არაფრისკენ არ მოუწოდებენ, ისინი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, გაათავისუფლონ პატიმრები, რომლებიც დასავლეთის ემისრები არიან. დასავლეთის ეს გველური სისინი თვეების მანძილზე გრძელდებოდა.

ეს ხდება მაშინ, როდესაც **ამერიკელებს გუანტანამოს ციხე** პატიმრებით ჰყავთ სავსე. **ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ბიურო აცხადებს, რომ 2002 წლიდან დღემდე გუანტანამოს ჯოჯოხეთი გამოვლილი აქვს 780 პატიმარს, რომელთა უმრავლესობა დატყვევებული იყო ბრალის წარდგენისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ისინი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ე.წ. შავი ადგილებიდან ხვდებოდნენ საპყრობილეში, სადაც მათ ყოფნას საიდუმლოდ ინახავდნენ და საშინლად აწამებდნენ. იქ დღესაც მრავალი პატიმარი იმყოფება. ადამიანის უფლებების დაცვის ბიურო მოუწოდებს აშშ-ის ხელისუფლებას: ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაასამართლოს ტყვეები, ან გაათავისუფლოს ისინი და დახუროს გუანტანამოს საპყრობილე.**

აშშ-ში ადამიანის უფლებების დარღვევისა და პოლიტპატიმრების თვალსაზრისით ასეთი სავალალო მდგომარეობაა, მაგრამ ისინი, რატომღაც საკუთარ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე თვალს ხუჭავენ, საქართველოს კი გამადიდებელი შუშით უყურებენ და მასზე „ზრუნვაში“ ათენ-აღამებენ. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროპელთა და ამერიკელთა მოთხოვნა პოლიტპატიმრებზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და, აქედან გამომდინარე, სრულიად უპერსპექტივო საქმეა,ვინაიდან საქართველოში პოლიტპატიმრები, უბრალოდ, არ არსებობენ.



**გიორგი გახარია, საქართველოს პრემიერმინისტრი:** — საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ, წერტილი! საქართველოში პოლიტიკური მართლმსაჯულება არ არსებობს, კიდევ ერთი წერტილი!

**ბიძინა ივანიშვილიც ამერიკელების მოყვანილია და, როდესაც საჭიროდ ჩათვლიან, ამერიკელებივე გაუშვებენ, მაგრამ გაუშვებენ, რათა ისევ თავიანთი კაცი მოიყვანონ. ძნელი სათქმელია, გათვლა კვლავ მიხეილ სააკაშვილზე აქვთ თუ არა, მაგრამ «ნაციონალური მოძრაობისა» და მისი ნამსხვრევებისგან რაღაც ახალი პოლიტიკური უბედურების მოზელვას რომ ცდილობენ, აშკარად ჩანს. პირველ რიგში, ეს იქიდან ჩანს, რომ სააკაშვილს ასე გაუთავებლად დააპროწიალებენ ზევით-ქვევით**

„სასამართლო სისტემაში პოლიტიკურ ჩარევას ჰგავს“. ამ წინადადებაში მართლაც აშკარად ისმის გველის სისინი, რომელიც მომდევნო წინადადებაშიც გრძელდება: „ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, სრულად დაიცვან შეთანხმების ორივე ნაწილი“. ორივე მხარეს მოვუწოდებთო. რას ნიშნავს ორივე მხარე? თავიანთ მხარეს, ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“ ისინი არაფრისკენ არ მოუწოდებენ, ისინი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, გაათავისუფლონ პატიმრები, რომლებიც დასავლეთის ემისრები არიან. დასავლეთის ეს გველური სისინი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა“.

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანს, რომელიც გუშინ იმაში ამხილე, რომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს კლავდა, დღეს პოლიტიკურ მხარდაჭერას როგორ უცხადებ?! ახლა მეორე მხრიდანაც შევხედოთ ამ საქმეს: ადამიანს, რომელმაც ასე საშინელი ცილი დაგწამა (თუ ეს ცილისწამება იყო), მეგობრობის ხელს როგორ უწვდი და როგორ ეუბნები: ყველა ჩვენს უთანხმოებას გადავლახავთო?! ამას ერთადერთი ახსნა აქვს: როდესაც ორივე მხარე ერთნაირად უზნეო და გარყვნილი ცნობიერების მქონეა, ასეთ შემთხვევაში, როგორც დოსტოევსკი ბრძანებდა, «ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია!» სწორედ ამგვარი ადამიანების ხელით მოხდა საქართველოს გაჩანაგება. ახლა ვიღაცას სწორედ მათივე ხელით განუზრახავს საქართველოს სრული განადგურება**

**ვალერი კვარაცხელია:** — სასიამოვნო განცდა გეუფლება, როდესაც დაინახავ, როდესაც იგრძნობ, რომ ხელისუფლებას შეუძლია ქვეყნის ინტერესებისა და საკუთარი პოზიციის დაცვა იმ შემთხვევაშიც კი, როცა შენიშვნა, კრიტიკა თუ დირექტივა „უფროსი ძმებისგან“ მოდის.

„უფროსმა ძმებმა“, სამწუხაროდ, კრიტიკა არ იკმარეს. ევროპარლამენტარმა, ვინმე **ანდრიუს კუბილიუსმა**, 14 მაისს საქართველოს ხელისუფლებას მუქარით გაჯერებული, შეურაცხმყოფელი წერილი გამოუგზავნა.



**ანდრიუს კუბილიუსი, ევროპარლამენტის დეპუტატი:** — ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს მთავრობა, მმართველი პარტია ისევ არ ასრულებს თავის დაპირებას. თუ საქართველოს მთავრობა არ შეასრულებს დადებულ პირობას, ეს შეაფერხებს იმ ფინანსური დახმარების გამოყოფას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოსთვის!

**ვალერი კვარაცხელია:** — ეს საქართველოს ხელისუფლებისთვის საჯაროდ გაწნული სილა და სახეში შეფურთხება იყო, რომელსაც მწვავე პასუხი უნდა მოჰყოლოდა. 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალური ბრიფინგი დანიშნა... მთელი საქართველო დაძაბულია. ყველამ იცის, რომ ჩვენი პრეზიდენტი განცხადებებში არამხოლოდ პირდაპირი და მკაცრია, არამედ ზოგჯერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფიცხი და პირგამეხებულიცაა.

— იგი, რა თქმა უნდა, დაგმობს დასავლეთიდან წამოსულ თავხედურ შემოტევებსა და მუქარას, საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის ფაქტებს, — ფიქრობს ხალხი, მაგრამ ყველას აინტერესებს, როგორი დიპლომატიური ენით შეფუთავს ამგვარ საკითხებში საკმაო გამოცდილების მქონე პრეზიდენტი მის უმკაცრეს შეფასებებს. ქვეყანა ელოდება...

და, აი, ტელეეკრანებზე პრეზიდენტიც გამოჩნდა...



**სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:** — მივიღე გადაწყვეტილება, გამოვცე გიგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილის შეწყალების აქტი!

**ვალერი კვარაცხელია:** — რაო?! — ამოიგმინა ხალხმა, — აკი, საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ, წერტილი; საქართველოში პოლიტიკური მართლმსაჯულება არ არსებობს, კიდევ ერთი წერტილიო?!

**სალომე ზურაბიშვილი:** — შეწყალება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დამნაშავის გამართლებას. არავის არც აქამდე და არც ახლა არ ვიწყალებ სხვისი თხოვნით, კარნახით, ზეწოლით, მუქარით, რეკომენდაციით, შიშით, და ეს უკვე არაერთხელ დავამტკიცე!

**ვალერი კვარაცხელია:** — საქართველოს ჯერ გაოგნების, მერე სიცილ-ხარხარის ტალღამ გადაუარა. — შენ გაქრი, შენა! — მიაძახა ვიღაცამ. — თხოვნა, კარნახი, ზეწოლა, მუქარა, რეკომენდაცია, შიში არ ჭრის ჩემზეო, პრეზიდენტმა. — მაშინ ის გვითხარი, ეს სულელური და სამარცხვინო გადაწყვეტილება რამ მიგაღებინა?! — თითქოს ერთხმად ჰკითხეს გულგატეხილმა მაყურებლებმა.

**სალომე ზურაბიშვილი:** — ვერ დავუშვებ, ორი დამნაშავის გამო სიტუაცია რომ გამძაფრდეს. ვერ დავუშვებ ახალ პოლარიზაცის და დაპირისპირებას. ვერ დავუშვებ, რომ ამათ გამო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული შეთანხმება არ შესრულდეს. სხვა შემთხვევაში, ქვეყანა ვერ გაუმკლავდება ვერც კორონას, ვერც ეკონომიკურ და ვერც სოციალურ გამოწვევებს. ჩვენი სტაბილური, დემოკრატიული და ევროპული მომავალი ამ სასწორზე დევს! **(სხვათა შორის, ქალბატონო პრეზიდენტო, დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი კანონის წინაშე ყველას თანასწორობაა, ხოლო სტაბილურობის მთავარი გარანტია ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისგების და საჯელის გარდაუვალობა. ჰოდა, როცა ამ ორივე პრინციპს ხელაღებით არღვევთ, რომელ ევროპულ მომავალზე, და საერთოდ, რომელ მომავალზე ლაპარაკობთ? რედ.)**

**ვალერი კვარაცხელია:** — აბუჩად აგდებული და გულგატეხილი მოქალაქეების მიერ დასმული შეკითხვის პასუხად ეს ჩამორაკრაკა ქალბატონმა სალომემ არცთუ გამართული ქართულითა და მკვეთრი ფრანგული კილოთი. **სიმართლე დაგვიმალა პრეზიდენტმა. არ გაგვიმხილა, რომ ზეწოლას კი არა, ორმაგ ზეწოლას განიცდის — გარედან ევროპა-ამერიკისგან, შიგნით „ქართული ოცნებისგან“. დიახ, ამერიკელებმა და ევროპელებმა ზეწოლით, მუქარით, შიშით მიაღებინეს ეს გადაწყვეტილება „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერებს, რომლებმაც შექმნილ ვითარებაში მხოლოდ ის გამოსავალი გამონახეს, რომ ხელი შეახოცეს მათ მიერ დაუმსახურებლად მოყვანილ პრეზიდენტს.**

ეს უშველის საქმეს? ცხადია, ეს საქმეს ვერ უშველის, რადგან საქმე გაცილებით რთულადაა. **საქართველოში შექმნილი ვითარების სიმძიმე არ დაიყვანება ორი პოლიტიკური გარეწრის დაპატიმრება-გათავისუფლების კანონიერ თუ უკანონო აქტამდე. რამდენიმე დამნაშავე კი არა, ქვეყანა და ხალხია დატყვევებული და დაპატიმრებული. ამერიკელებმა მოიქციეს კლანჭებში მთელი საქართველო, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი მოგვიანებით რუსეთმა წაჰგლიჯა მათ ხელიდან. ერთი სიტყვით, გადაინაწილეს უპატრონოდ დარჩენილი სახელმწიფო. შეიძლება ეს არ მომხდარა წინასწარი შეთანხმებისა და ბინძური გარიგების საფუძველზე, მაგრამ შედეგი ასეთია და ამაშია ჩვენი ტრაგედიის არსი.**

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მერე ყველა ხელისუფალი — **გივი გუმბარიძე, ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი** — ამერიკელებმა მოიყვანეს და გაუშვეს. ბიძინა ივანიშვილიც ამერიკელების მოყვანილია და, როდესაც საჭიროდ ჩათვლიან, ამერიკელებივე გაუშვებენ, მაგრამ გაუშვებენ, რათა ისევ თავიანთი კაცი მოიყვანონ. **ძნელი სათქმელია, გათვლა კვლავ მიხეილ სააკაშვილზე აქვთ თუ არა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ნამსხვრევებისგან რაღაც ახალი პოლიტიკური უბედურების მოზელვას რომ ცდილობენ, აშკარად ჩანს. პირველ რიგში, ეს იქიდან ჩანს, რომ სააკაშვილს ასე გაუთავებლად დააპროწიალებენ ზევით-ქვევით.** ვინმეს ხომ არ გგონიათ, რომ უკრაინაში მაღალი თანამდებობა სააკაშვილს მართლაც ზელენსკიმ უბოძა?! **ზელენსკი ვინც გააპრეზიდენტა, მანვე მიუჩოჩა მას სააკაშვილი და, რა თქმა უნდა, ეს გარკვეული ჩანაფიქრის შესაბამისად გაკეთდა. საქართველოშიც ყველანაირად უმაგრებენ ზურგს სააკაშვილს.** მისი გუნდის ძველ წევრებს, ზოგს იქიდან, ზოგს აქედან, კვლავ აკოწიწებენ, არც ერთ ძველ ფიგურას არ კარგავენ და ხელიდან არ უშვებენ. **ისეთ დაპირისპირებულ პერსონაჟებსაც კი, როგორებიც იყვნენ სააკაშვილი და ოქრუაშვილი, ერთ პოლიტიკურ ჭერქვეშ დაუდეს ბინა.**

სააკაშვილის ციხის ხეხვის შემდეგ ოქრუაშვილს მის შესახებ ისეთი განცხადებები აქვს გაკეთებული, უარესის მოფიქრება შეუძლებელია. შევიხედოთ ინტერნეტში და ვნახავთ, რომ ნებისმიერი საიტი შემზარავ ამბებს ამოგვიყრის და გაგვახსენებს.

civil.ge

**Civil.ge:** „ოქრუაშვილის თქმით, 2005 წლის ივლისში, მას პრეზიდენტმა პირადად დაუკვეთა ბიზნესმენ **ბადრი პატარკაციშვილის** ლიკვიდაცია: „სააკაშვილს ამისთვის კონკრეტული გეგმაც ჰქონდა შემუშავებული. სააკაშვილმა მითხრა, რომ თავიდან უნდა მოგვეშორებინა პატარკაციშვილი იმ გზით, რა გზითაც ეს მოხდა **რაფიკ ჰარირის** — ლიბანის ყოფილი პრემიერმინისტრის შემთხვევაში, რომელიც ავტომობილში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქების შედეგად მოკლეს“, — განაცხადა ოქრუაშვილმა.

„სააკაშვილის დაკვეთით მოხდა რესპუბლიკური პარტიის ყოფილ დეპუტატზე ვალერი გელაშვილზე თავდასხმა. სააკაშვილს არ დაუკვეთია მისი თავიდან მოშორება. მან მხოლოდ დაავალა ასეთი სახით გასწორება და ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა შინაგან საქმეთა მინისტრმა მერაბიშვილმა“, — განაცხადა ოქრუაშვილმა.

„ღია ეთერში“ საუბრისას ოქრუაშვილმა თქვა, რომ პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მტკიცებულება გამოიგონეს. **„არ მინდა ამ თემაზე სპეკულირება და არ ვიტყვი, რომ ჟვანია მოკლეს, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ჟვანიას გვამი მიიტანეს იმ ადგილას, სადაც შემდეგ აღმოაჩინეს“.**

**ვალერი კვარაცხელია:** — ეს ყველაფერი ყოველ თქვენგანს საკუთარი ყურით გაქვთ მოსმენილი. იყო დრო, როდესაც ოქრუაშვილი აცხადებდა, რომ სააკაშვილი მას ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას უკვეთავდა. ოქრუაშვილმა ზურაბ ჟვანიაც მოკლულად გამოაცხადა და ხელი კვლავ სააკაშვილისკენ გაიშვირა. სააკაშვილი კი ამბობდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იყოო და მას ციხეში გზავნიდა. დღეს ოქრუაშვილი სააკაშვილის მიერ მის დაპატიმრებას ასე ხსნის.



**ირაკლი ოქრუაშვილი, „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი:** — სააკაშვილმა რომ დამიჭირა, იქ რაღაცა ჩემი გადამლაშებების შედეგიც იყო.

**ვალერი კვარაცხელია:** — ოქრუაშვილმა ასე თუ გადააბრუნა ფირფიტა, გგონიათ, იმავეს გაკეთება სააკაშვილს გაუჭირდება?



**მიხეილ სააკაშვილი, ექსპრეზიდენტი:** — ოქრუაშვილი სრულიად უსამართლოდაა დაპატიმრებული. არა უშავს, ირაკლი, მალე შევხვდებით თბილისში და ყველა ჩვენს უთანხმოებას გადავლახავთ.

**ვალერი კვარაცხელია:** — შეცდომების მიტევებაც მესმის, პოლიტიკური მსოფლმხედველობის შეცვლაც გასაგებია და გუშინდელ მოწინააღმდეგესთან დღეს საერთო პოლიტიკურ პლატფორმაზე აღმოჩენაშიც დასაძრახი არაფერია, მაგრამ ადამიანს, რომელიც გუშინ იმაში ამხილე, რომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს კლავდა, დღეს პოლიტიკურ მხარდაჭერას როგორ უცხადებ?! ახლა მეორე მხრიდანაც შევხედოთ ამ საქმეს: **ადამიანს, რომელმაც ასე საშინელი ცილი დაგწამა (თუ ეს ცილისწამება იყო), მეგობრობის ხელს როგორ უწვდი და როგორ ეუბნები: ყველა ჩვენს უთანხმოებას გადავლახავთო?! ამას ერთადერთი ახსნა აქვს: როდესაც ორივე მხარე ერთნაირად უზნეო და გარყვნილი ცნობიერების მქონეა, ასეთ შემთხვევაში, როგორც დოსტოევსკი ბრძანებდა, „ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია!“**

სწორედ ამგვარი ადამიანების ხელით მოხდა საქართველოს გაჩანაგება. ახლა ვიღაცას სწორედ მათივე ხელით განუზრახავს საქართველოს სრული განადგურება.

**თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით მოსული უღმერთობისა და ყოვლის ნებადართულობის ვითარებაში, ბურჟუაზიულმა იმპერიულმა ძალებმა საქართველო არამხოლოდ დაიპყრეს და დაინაწილეს, არამედ აბუჩად აიგდეს და სასტიკად დასცინეს, ხალხის ნება კი ფეხქვეშ გათელეს. დღეს ქართველი ხალხი არჩევნებიდან არჩევნებამდე იმის მოლოდინით ცხოვრობს, რომ იქნებ მოხდეს სასწაული და ხელისუფლებაში ის პოლიტიკური ძალა მოვიდეს, რომელსაც, ეროვნულ მსოფლმხედველობასთან ერთად, სწორი საგარეო ორიენტირიც ექნება და ქვეყანას სამშვიდობოს გაიყვანს, თუმცა გამოცდილებითაც იცის და ინტუიციაც კარნახობს, რომ დაპყრობილ და კოლონიად ქცეულ ქვეყნებში სასწაულები არ ხდება,** მით უფრო, როცა საკითხი ბურჟუაზიულ არჩევნებს ეხება, რადგან ღმერთი ამგვარ საქმეებში ნამდვილად არ ურევია. აქ, როგორც წესი, ფული, უზნეობა და ყოვლის ნებადართულობა იმარჯვებს...

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“. მომავალ შეხვედრამდე!

**P.S.** ძველი ზღაპარი ხომ გახსოვთ, მელაკუდა ჩიტს რომ აშინებდა: ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ ცულს მოვიტან ცუნცულასაო. დასავლეთმა „ქართულ ოცნებას“ კიდევ ერთი ბარტყის გადმოგდება მოსთხოვა. იმ ბარტყს გიორგი რურუა ჰქვია, რომელიც ტელეკომპანია „მთავარის“ მთავარი დამფინანსებელი ყოფილა. დასავლეთს ისიც პოლიტპატიმრებში გაჰყავს.

— ორი ბარტყი ხომ გადმოგიგდეთ?! — შიშისგან ხმა წასვლია „ქართულ ოცნებას“.

— მესამე ბარტყიც გადმოგვიგდე, თორემ ცულს მოვიტან ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასა, ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა!

ზედმიწევნით იმეორებს მოძალადე დასავლეთი ქართული ზღაპრის ცნობილი პერსონაჟის ხრიკს.

**ვალერი კვარაცხელია**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**Ე.Წ. ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲣᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲖᲔ, ᲐᲜᲣ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲖᲘᲓᲕᲐᲖᲔ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ (ᲠᲐᲪ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ) ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ, ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲒᲣᲚᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲠᲪᲗᲣ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ.**

**უეჭველია, გახსოვთ გოგლა ლეონიძის „ნატვრის ხის“ პერსონაჟ იორამის შეძახილი: „მშიერმუცელა მონებოოო!“, შეძახილი, რომლის ალეგორიული ადრესატი (თუ ასე თქმა შეიძლება) ციციკორეების მიერ დამონებული ქართველი საზოგადოების უმრავლესი ნაწილი იყო; საზოგადოების, რომელიც მშვიდად უყურებდა და უყურებს საქართველოს (მარიტაში, ასევე ალეგორიულად, შეიძლება საქართველო ვიგულისხმოთ) ღირსების შელახვის პროცესს.**

# «ᲨᲜᲘᲠᲘ» ᲥᲝᲪ-ᲜᲐᲪᲔᲑᲘ

## «ᲨᲜᲘᲠᲝᲑᲐ» ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲐ, ᲛᲝᲜᲝᲑᲐ — ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ

წერილის სათაურში გამოყენებული სიტყვა „შნირი“ კი, კრიმინალური ჟარგონით, ე.წ. შავი სამყაროს ავტორიტეტების მომსახურე (დამლაგებელი, მრეცხავი და ა.შ.) პერსონალს, ანუ კრიმინალურ იერარქიაში უმდაბლეს „თანამდებობას“, ტოტალურ უუფლებობას ნიშნავს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ „შნირობაზე“ უფრო „საპატიო“ მონობაა, რადგან „შნირობა“ თუ ულირსი, მშიშარა კაცის ნებაყოფლობითი არჩევანია, ადამიანის დამონება, როგორც წესი, ძალმომრეობით ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მონას რაღაც ღირსება მაინც შეიძლება ჰქონდეს და, თუ ამ „რაღაცას“ ვინმე უთავკაცებს, მონათა აჯანყებაც (თუნდაც სპარტაკის ჯანყია ამის მაგალითი) გარდაუვალია.

აი, რაც შეხება წერილის სათაურში ქოცებისა და ნაცების ერთად მოხსენიებას, მკითხველს იმის შეხსენება არ სჭირდება, რომ ისინი ერთი ლიბერასტული ხის ორი განშტოებაა და, აქედან გამომდინარე, მათი ხელისუფლება-ოპოზიციონერობაც უნიჭოდ დადგმული, გულისამრევი კლოუნადაა, რომელსაც, აგერ უკვე 9 წელიწადია, ქართველი საზოგადოება უყურებს.

წინამდებარე წერილის მთავარი რეზიუმე არის ის, რომ საქართველოს ჰყავს ქოც-ნაცების კოაბიტაციური ძმობით შედუღაბებული ხელისუფლება — ერთს ქვეყნის მმართველი ქოცების ნიღაბი აუფარებია, მეორეს — პროდასავლური მთავარი ოპოზიციური ძალის ხალათი წამოუსხამს, მაგრამ ღმერთმა და ქართველმა ხალხმა ხომ კარგად ვიცით, რომ არც ერთია ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი და არც მეორე, ორივენი ბედკრული საქართველოს დე ფაქტო მმართველის, ლიბერასტი აშშ-ევროპის „შნირები“ არიან. მიმიხვდით უიარაღოს „მამლუქის“ ტრაგიკული ფინალის პერიფრაზს, ჩემო მკითხველო?

ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, ეს მერამდენე დღეა, მეც, თქვენი მონა-მორჩილი, რბილად რომ ვთქვათ, გაოგნებული ვარ საქართველოს ე.წ. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, რომლის ძალითაც **ხაზინის ქურდი, 48 მილიონის შემჭმელი გიგი უგულავა და ხელისუფლების დამხობის მცდელობის უმძიმესი ბრალდების გამო მსჯავრდებული ირაკლი ოქრუაშვილი შეიწყალა და ახლა ისინიც და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ოდიოზური სახეებიც, ხატოვნად თუ ვიტყვით, ტელეეკრანებიდან ნიშნის მოგებით გვემანჭებ-გვეჭყანებიან შეურაცხყოფილ, სულში ჩაფურთხებულ ქართველ საზოგადოებას.**

თუმცა მაგათ მანჭვა-გრეხაზე არანაკლებ ამაზრზენი, გულის ამრევი იყო სალომე ზურაბიშვილის მიერ შეწყალების აქტზე თანდართული კომენტარები, გნებავთ, ახსნა-განმარტებები. ქალბატონი პრეზიდენტისგან ბევრი სულელური სიტყვა მოგვისმენია, მაგრამ ასეთი?

თურმე იგი პოლიტპატიმრებს კი არა (ასეთები საქართველოს არ ჰყავსო) სისხლის სამართლის დამნაშავეებს იწყალებს, — აქაოდა, პოლიტიკური დესტაბილიზაცია არ გამოიწვიოს მათმა პატიმრობამო (პოლიტიკურ დესტაბილიზაციას პირის პოლიტიკური ნიშნით, უსამართლოდ დაპატიმრება იწვევს, თუ უგულავა და ოქრუაშვილი დესტაბილიზაციის შიში გამოუშვი ციხიდან, მაშ როგორ არ გვყოლია პოლიტიკური პატიმრები, თანაც, უსამართლოდ დატყვევებულები?). რომელ დესტაბილიზაციაზე ლაპარაკობს ქალბატონი სალომე, რომ იტყვიან, ტარანი თვლით არ არის?! საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა **ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲛ** ვითომ ლამის 1 მილიონი ხმა რომ მიიღო და მეორე დღეს ფილარმონიის დარბაზიც რომ ვერ გაავსო, ამას **ᲠᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲝᲪ-ᲜᲐᲪ „ᲨᲜᲘᲠᲔᲑᲡ“ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲦᲛᲐ-ᲒᲐᲛᲝᲦᲛᲘᲓᲐᲜ (ᲐᲨᲨ-ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲓᲐᲜ) ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲔᲡ, ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ — ᲣᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲡ, ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲒᲣᲔᲑᲐ.**

ქუჩის აქციები? რა აღარ იკადრეს ნაც-შნირებმა, შვილმკდარი მამებით დაწყებული, ნარკომან-პროსტიტუტების გამოყვანით გაგრძელებული და ე.წ. გავრილოვის ღამით დამთავრებული. აქციები, რომლებსაც აქტიურად, დაუფარავი მიკერძოებით, 24-საათიან რეჟიმში პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ ნაცების ტელევიზიები, მაგრამ ამ აქციების პიკზეც კი 2-3 ათასზე მეტი მხარდამჭერი ვერ გამოჰყავდათ რუსთაველზე და ახლა გიგი უგულავასა თუ ირაკლი ოქრუაშვილის გამო იხუვლებს ხალხი და დაამხობს ქოცების ხელისუფლებას?

**ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** „ორი გვამი მინდა“ გამახსენა ამ ამბავმა და აჰა, 2 პოლიტიკური „გვამი“ ხომ მიიღო ქარვასლის ოპოზიციამ უგულავა-ოქრუაშვილის სახით?! ეგ არის და ეგ, თორემ ელექტორატის მხარდაჭერის თვალსაზრისით, მათი წონა „ნოლ სჩემტო პროცენტს“ არ აღემატება, ისევე, როგორც გაერთიანებული ოპოზიციისა. ეს ტელეეკრანებიდან გვეკეკლუცებიან გაერთიანებული ოპოზიციის ოდიოზური ფიგურები, თორემ ზემოთ თქმული უჩემოდაც კარგად იციან. საბოლოო ჯამში, ეს იმას ნიშნავს, რომ მართალია, ქოცების დისკრედიტაცია გარკვეულწილად მოხერხდა, უფრო სწორად, თვითონ ქოცებმა გაიკეთეს ჰარაკირი წლების განმავლობაში უგუნური ქმედება-უმოქმედობით, მაგრამ, საბედნიეროდ, ქოცების რეიტინგის დაცემა არ ნიშნავს ერთკაციანი პარტიების რეიტინგის აწევას. მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნების პირობებში მათ ბარიერის გადალახვის პრობლემა ექნებათ, ამიტომ **Ე.Წ. ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲣᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲖᲔ, ᲐᲜᲣ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲖᲘᲓᲕᲐᲖᲔ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ (ᲠᲐᲪ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ) ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ, ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲒᲣᲚᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲠᲪᲗᲣ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ.**



**ᲮᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲘ, 48 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲭᲛᲔᲚᲘ ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲨᲔᲘᲬᲧᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲓᲐ Ე.Წ. ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲝᲓᲘᲝᲖᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘᲪ, ᲮᲐᲢᲝᲕᲜᲐᲓ ᲗᲣ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲢᲔᲚᲔᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲔᲛᲐᲜᲭᲔᲑ-ᲒᲕᲔᲭᲧᲐᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲚ, ᲡᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲤᲣᲠᲗᲮᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ**

თუ ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც ზემოთ ვთქვით, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში ქართველი ხალხი არ ჩაერია და ბურთი და მოედანი ისევ აშშ-სა და მის პოლიტიკურ „შნირებს“ დავუთმეთ, აშშ „დამოუკიდებელ საქართველოში“ კიდევ ერთხელ (დიახ, კიდევ ერთხელ, რადგან საქართველოში ზვიად გამსახურდიას შემდეგ სამართლიანი არჩევნები არ ჩატარებულა. მას შემდეგ ამერიკაა ჩვენი ქვეყნის დე ფაქტო მმართველი) დაითვლის მის პოლიტიკურ „შნირთა“ შორის, ვინ რამდენი ხმა აიღო... ამ ოპერიდანაა ზემოხსენებული შეწყალების აქტი, რომლის გამოც ნაცები უკვე გამარჯვებას ზეიმობენ, ხოლო ქოცები და მათი მხარდამჭერები ბრძოლის წაგებას აღიარებენ, მაგრამ საბოლოოდ, უეჭველ გამარჯვებას ჰპირდებიან ქართველ საზოგადოებას. ერთის ზეიმისა და მეორის დაპირების საფუძვლიანობა თუ უსაფუძვლობა ახლო მომავალში გამოჩნდება. მანამდე კი ერთ რამეს კატეგორიულად განვაცხადებ — ვისაც სჯერა, რომ სალომე ზურაბიშვილმა „ქართულ ოცნებასთან“ (წაიკითხე, ბიძინა ივანიშვილი) შუთანხმებლად შეიწყალა უგულავა და ოქრუაშვილი, ეს ის შემთხვევაა, როცა ასეთ ადამიანს ცხონებული **ᲐᲕᲚᲘᲞᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ** ვეღარ უშველიდა.

ბრავო, ბრავო და კიდევ მრავალჯერ ბრავო **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡ, ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔᲡ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔᲡᲐ** და სხვა ოდიოზ ქოცებს, რომლებიც თვალში ნაცარს გვაყრიდნენ ქართველ საზოგადოებას: პრეზიდენტის შეწყალების აქტის შესახებ ჩვენც თქვენსავით ტელევიზიით შევიტყვეთო. ამას ისეთი არტისტიზმით ლაპარაკობდნენ, რომ თვით დიდი სტანისლავსკიც გაოცდებოდა.

რეალობაში კი, თუ ავლიპის პოტენციური პაციენტი არ ვარ, გამოდის, რომ პრეზიდენტისა და ბიძინას შეთანხმება შეიძლება ქართველი ხალხის ზურგს უკან ქოც-ნაცების გარიგებას ნიშნავდეს — რა, კოაბიტაციური ერთობის რეჟიმის 9 წლის განმავლობაში ცოტა გვსმენია ქართველი ხალხის ზურგს უკან ქოც-ნაცთა გარიგება-მორიგების შესახებ?!

იმის მაგივრად, რომ სისხლის სამართლის დამნაშავენი, ქართველი ხალხის მწამებლები, დაპირებისამებრ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაეჭირა, ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილს გაქცევის საშუალება მისცა და ახლა სამართალში მიცემული და ვითომ ე.წ. წითელი ცირკულარით ძებნილი ექსპრეზიდენტი ხან ამერიკიდან, ხან ევროპიდან და აგერ ახლა უკვე უკრაინის ხელისუფლებიდან „გვეჯღანება“...

გიგი უგულავა ხომ, საერთოდ, იმდენჯერ დაიჭირეს და გამოუშვეს, რომ, მგონი, ბავშვობაში რომ ვთამაშობდით, იმ დაჭერობანას ეთამაშებიან — ჯერ იყო და უკრაინაში გაქცევის მცდელობისას თბილისის აეროპორტში დააკავეს, მაგრამ რად გინდა, მოკლე ხანში მიშნაცების ამერიკელი შეფი, **ᲯᲝᲜ ᲛᲐᲙᲔᲘᲜᲘ,** ჩამობრძანდა და ჩვენმა შნირმა ხელისუფლებამ უგულავა გირაოს სანაცვლოდ მეორე დღესვე გაათავისუფლა, შემდეგ კი უგულავას საქმე თაროზე შემოდო. ახლა იყო და, ის 48-მილიონიანი საქმე გაუხსენეს, რომელზეც ლიბერასტული ევროპა აყაყანდა. ბოლოს ერთმა ამერიკელმა სენატორმა ბრძანა, — პოლიტპატიმრები გამოუშვითო და მედგარმა „შნირებმა“ საქართველოს ხელისუფლებაში, რომლებიც თავდაპირველად ვითომ შეუვალად იდგნენ, პოლიტპატიმრები არ გვყავს, ვინ უნდა გავათავისუფლოთო, მორჩილად თავი დახარეს და აჰა, უგულავა-ოქრუაშვილი უკვე „სვაბოდაზე“ არიან. როცა გაზეთის ამ ნომერს იხილავს მკითხველი, არ არის გამორიცხული, კიდევ ერთი „პოლიტპატიმარი“ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (ᲟᲝᲠᲘᲙᲐ) ᲠᲣᲠᲣᲐᲪ** შეუერთდეს ნათელაშვილის ქარვასლაში გაერთიანებულ ოპოზიციას.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ**

**P.S. „შნირობა“ მუდმივი სულიერი მდგომარეობაა, ხოლო მონობა — დროებითი ფიზიკური. საქართველო არაერთხელ ყოფილა დამონებული, მაგრამ არასოდეს — ღირსებააყრილი, გაშნირებული. რამდენჯერაც დაგვიმონა ათასი ჯურის დამპყრობელმა, იმდენჯერვე გადავიგდეთ მონობის უღელი და ასე იქნება ხვალაც. დღეს საქართველოს ულირსი, აშშ-ის „შნირი“ ხელისუფლება ჰყავს. ეს მოცემულობა გარკვეულ დრომდე უნდა დავითმინოთ, რადგან მოცემულობაა ისიც, რომ, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ქართველ ერს ღირსება არ დაუკარგავს, არ გაშნირებულა და ამიტომ აუცილებლად „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“!**

**ბოდიში, „დაუძინებელო მეგობრებო“, მაგრამ თვითონ რატომ არ ათავისუფლებთ ციხეებიდან იმ დამნაშავეებს, რომლებიც თქვენს ქვეყანაში „არასახარბიელო პოლიტიკური გარემოებების დროს“ დააპატიმრეთ? ანდა, კინზინგერი რატომ და როგორ, რა მეთოდით მისაზღვრავს, ჩემი ქვეყნის სასამართლომ ამა თუ იმ სისხლის სამართლის დამნაშავეს „ზედმეტი“ მიუსაჯა თუ პირიქით?**

ბაჩუ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვენი «დაუძინებელი მეგობრები» და საქართველოს «რიშის მთავრობა»

**15 მაისის შემდეგ უკვე საბოლოოდ და დასაბუთებულად შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება დაპირისპირება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ გაერთიანებული გუნდისა ქართველ საზოგადოებასთან. საქართველოს ფორმალური პრეზიდენტის მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა შეწყალებამ საბოლოოდ დაამტკიცა და განამტკიცა ეს აზრი. მით უფრო, რომ თვავად პრეზიდენტმაც, ფაქტობრივად, ეს თქვა: არ მინდა ამ ადამიანების შეწყალება, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს და ვიწყალებო.**

ვერ გეტყვით, მსოფლიოს რომელიმე მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში მომხდარა მსგავსი რამ თუ არა... ველურებისა და გამოქვაბულის დონეზე დარჩენილ აფრიკისა და აზიის რამდენიმე ქვეყანაში, ალბათ, მომხდარა, რადგან მათაც, ისევე, როგორც ჩვენ, თავის ჭკუაზე ატრიალებს ამერიკის შეერთებული შტატები. ერთ-ერთი პოლიტიკოსის ხუმრობაა: **„ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც არასოდეს მოხდება „ფერადი რევოლუცია“, ამერიკის შეერთებული შტატებია, რადგან იქ არ არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო“.**

რაც უნდა მწარე და სამარცხვინო რეალობა იყოს, ფაქტია: **ამერიკის შეერთებული შტატების სენატორები და საელჩო, ფაქტობრივად, პირდაპირ დაგვემუქრა ჩვენს ქვეყანაში არეულობისა და რევოლუციის მოწყობით, თუკი მათ ნება-სურვილს არ შევასრულებდით.**

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის და ჩემნაირად მოაზროვნე, თანაც ჩემი წლოვანების ადამიანებისთვის ეს მოულოდნელობაც არ ყოფილა. ეს ამერიკას არც პირველად გაუკეთებია და არც უკანასკნელად, ხოლო, **როდესაც საქართველოს ხელისუფალთ ოდნავ მაინც დაუპირებიათ, არ დამორჩილებოდნენ მათ, ყოველთვის მიუღიათ რევოლუცია, მეტ-ნაკლებად სისხლიანი, მაგრამ მაინც რევოლუცია თავისი თანმდევი სასტიკი მოვლენებით.** დღეს შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ: **ე.წ. ვარდების ძალისმიერი გადატრიალებაც და ზვიად გამსახურდიასდროინდელი სამოქალაქო ომიც სწორედ ამერიკული სცენარები იყო, ოღონდ რუსეთთან შეთანხმებულ-შეჯერებული.**

დღეს კი ბიძინა ივანიშვილს მკაფიოდ აგრძნობინეს, რომ, თუკი ამერიკულ ნება-სურვილს ზედმიწევნით არ გაითვალისწინებს, ის „უდიდესი ქართველი ქველმოქმედიდან“ უცებ იქცევა „ხალხის მიერ ჩამოგდებულ სისხლისმსმელ ტირანად“ და ამერიკის შეერთებულ შტატებს ამისთვის საქართველოში ყველაფერი მზად აქვს, მათ შორის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიც „ტვ პირველის“ ფლაგმანობითა და **ინგა გრიგოლიას** ზღვარგადასული უტიფრობით.

„ტვ პირველი“ არის ერთადერთი ტელევიზია, რომელიც დღეს საქართველოში არ მუშაობს პოლიტიკური ფულით“, — ეს ფრაზა ინგა გრიგოლიამ **გიორგი გაჩეჩილაძის** („უცნობის“) რადიოგადაცემაში სტუმრობისას თქვა. მტკიცებულებად იმისა, როგორი უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვა ამას მაყურებლისგან, ისიც გამოდგება, თუ როგორი სისწრაფითა და რა კომენტარებით გავრცელდა ეს ვიდეოამონარიდი სოციალურ ქსელში. ამ ფრაზით ინგა გრიგოლია პირდაპირ შეურაცხყოფს თავის ყველა კოლეგას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ **ავთო წერეთლისა** და **მამუკა ხაზარაძის** ტელევიზიის დირექტორი ასე უნამუსოდ აცხადებს, — არაპოლიტიკური ფულით ვმუშაობთო. სხვათა შორის, „უცნობმა“ იქვე მიუთითა: „მაგას ვინ დაგიჯერებს“-ო, რაზეც ინგა გრიგოლიას კიდევ უფრო გამაოგნებელი პასუხი მიიღო: „49 წლის ვარ და აღარ მაინტერსებს, ვინ რას დამიჯერებს და რას არ დამიჯერებს!“

**ანუ, ჟურნალისტს სულ ფეხებზე ჰკიდია, დაიჯერებს თუ არა ხალხი და მაყურებელი მის ნათქვამს. ინგა გრიგოლიამ ირიბად აღიარა: მთავარია, ფული გადამიხადონ და, რა დონის უნამუსობაც გინდათ, ვიტყვი, სულ არ მაინტერესებს, რა რეაქცია ექნება ამაზე ხალხსო.**

მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ პოლიტიკური სპექტრი მედიასპექტრს ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩება უნამუსობასა და უთავმოყვარეობაში. ირაკლი ოქრუაშვილისა და გიგი უგულავას ციხიდან გამოშვებას ისეთი აჟიოტაჟი და ფრაზები მოჰყვა ე.წ. ოპოზიციური პარტიების ლიდერებისგან, წესით, თავმოყვარე ადამიანს ძალიან შერცხვებოდა.

*** „აი, განახათ თუ არა სენატორმა რიშმა თავისი რეალური ძალა?!“**

*** „ჰა, ჰა! აბა, თქვენ რა გეგონათ? ამერიკელ სენატორებს და პირადად ჯიმ რიშს რომ ებლატავებოდით?“**

*** „ესეც ასე! ჩაგიტარათ გაკვეთილი?“ „მოგარტყათ ცხვირში?“**

და სხვა მსგავსი კომენტარებით აჭრელდა ნაციონალებისა და მათთან ასოცირებული პარტიების ლიდერებისა და ქველიდერების გვერდები სოციალურ ქსელში...

**ილია ჭავჭავაძის** „მგზავრის წერილებს“ შეგახსენებთ. როგორ გახსოვთ, რა ფაქტორია იქ, ძირითადად, წინ წამოწეული? — ჩემი აზრით, ის, რომ ქვეყანა, **რომელიც „გეორგიევსკის ტრაქტატით“ „ძმობასა და მეგობრობას“ გვეფიცებოდა, რეალურად დამპყრობელი გახდა ჩვენი და რომ რუსები, კონკრეტულად კი, რუსი თავადები და გენერლები ქართველებს „დაუხვეწავ“, „ველურ“, „ცივილიზაციასთან უზიარებელ“ ხალხად მიიჩნევენ და აქვთ პრეტენზია, რომ ჩვენ „კულტურა“ გვასწავლონ, თანამედროვე ცხოვრება შემოიტანონ ჩვენში, ერთი სიტყვით, „გაგვზარდონ“.**

აი, ამას აპროტესტებს ილია ჭავჭავაძე და მკაცრად ამათრახებს იმჟამინდელ რუს ჩინოსნებს, იმის გამო, რომ თავი ჩვენზე, ქართველებზე, მაღლა უჭირავთ... აბა, ახლა კარგად დაფიქრდით და მითხარით: ხედავთ რაიმე განსხვავებას მაშინდელ რუს თავადგენერლებსა და დღევანდელ ამერიკელ სენატორებს შორის? მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ, თუკი მეორე მსოფლიო ომის დროს **საფრანგეთს ჰყავდა „ვიშის მთავრობა“, დღეს საქათველოს ჰყავს „რიშის მთავრობა“.**

„მადლობა ჩვენს მეგობრებს, რომ ისინი დგანან ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიისა და ცივილიზაციის სადარაჯოზე და ყოველი გადაცდომისას, მიგვითითებენ (ზოგჯერ მკაცრადაც) ამ შეცდომებზე და მოითხოვენ ჩვენგან შეცდომის გამოსწორებას“, — მთელი კვირაა, ამ პათოსითაა გაჟღენთილი პროამერიკელ „პოლიტიკოსებად“ წოდებულთა ტელეგამოსვლები. მაგალითად, „თავისუფალი დემოკრატი“ **ლევან სამუშია** ინგა გრიგოლიას გადაცემაში სწორედ ასეთ განცხადებებს აკეთებდა და ცოტაღა აკლდა, ეღაღადა: **„მოდით, დაგვძნეყვეთ, ამერიკელო სენატორებო! დაგვაყენეთ კუთხეში, დაგვსაჯეთ, ტყავის ტრუსები ჩაგვაცვით და მათრახი გადაგვიჭირეთ ჩვენ — შეუგნებლებს, არადემოკრატებს, ველურებსა და ბნელ ქართველებს!“**

გულისამრევია ეს ყოველივე და თანაც, როდესაც ასეთი მონა იმ პათოსით გელაპარაკება, გეგონება, იქით აჩმორებს ამერიკის შეერთებული შტატების სენატორებს.

საოცარი უტიფრობაა აგრეთვე ის, როგორი მონდომებით ცდილობენ, შემოგვტენონ „პოლიტპატიმრის“ სტატუსის სრულიად ახალი განსაზღვრება. **თინა ხიდაშელი, შალვა შავგულიძე** და სხვები მთელი ორი კვირაა „გვიმტკიცებენ“, რომ თურმე პოლიტპატიმარი არ არის მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით იდევნება, რომლის გამოც ბრალდება „შეუკერეს“ და დააპატიმრეს. თურმე ნუ იტყვით და, პოლიტპატიმარი ყოფილა ის ადამიანიც, რომელმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, უბრალოდ, ის **„არასახარბიელო პოლიტიკური გარემოებების პირობებში დააპატიმრეს და სასამართლომაც იმაზე მეტი მიუსაჯა, ვიდრე ეკუთვნოდა“.** ასეთი, პირდაპირ ვთქვათ, სიდებილე, ალბათ, დასაწყისში ნახსენებ გამოქვაბულის დონეზე დარჩენილ აფრიკა-აზიის ქვეყნებშიც კი არ ექნებათ გაგონილი. თანაც ცდილობენ, დაგვაჯერონ, რომ ეს თურმე ამერიკელი სენატორის **ადამ კინზინგერის** და მისი გარემოცვის აზრია... ბოდიში, „დაუძინებელო მეგობრებო“, მაგრამ **თვითონ რატომ არ ათავისუფლებთ ციხეებიდან იმ დამნაშავეებს, რომლებიც თქვენს ქვეყანაში „არასახარბიელო პოლიტიკური გარემოებების დროს“ დააპატიმრეთ? ანდა, კინზინგერი რატომ და როგორ, რა მეთოდით მისაზღვრავს, ჩემი ქვეყნის სასამართლომ ამა თუ იმ სისხლის სამართლის დამნაშავეს „ზედმეტი“ მიუსაჯა თუ პირიქით?**

განსაკუთრებით ამაზრზენია მითითება იმაზე, რომ, **მართალია, გიგი უგულავამ 48 მილიონი მოიპარა საქართველოს ბიუჯეტიდან, მაგრამ სამაგიეროდ მის გამოსაშვებად ამერიკამ 500 მილიონი გვაჩუქა და ზევიდან კიდევ 27 ათასი ტონა ხორბალი დაგვიმატა უფასოდ.**

ამ „გაპრავებას“ უფრო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები „აწვებიან“ და ვერც კი ხვდებიან, როგორ აფარჩაკებენ ამით საკუთარ თავსაც, სენატორებსაც და ამერიკასაც. ბიუჯეტის ქურდის ციხეში ჯდომა სახელმწიფოსთვის ღირსებისა და პრინციპის საქმე უნდა იყოს თუ სარფიანი ვაჭრობის? ასეთ კითხვას უპრინციპო და უღირსი ადამიანები არც ერთმანეთს და არც საკუთარ თავს, ალბათ, არც არასოდეს უსვამენ. დასკვნა კი ის არის, რითაც დავიწყე ეს სტატია — **ამერიკელი სენატორებისგან „დაჩმორებას“, ფაქტობრივად, საპატიოდ მიიჩნევს არა მხოლოდ ნაცების ელიტა, არამედ ქოცებისაც და სწორედ ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე დიდი პრობლემა.**

საბოლოოდ კი საარჩევნო დილემა ასე ყალიბდება — ვის მივცეთ ხმა? ან სულაც, იქნებ შინ დავრჩეთ და კიდევ უფრო გავნიჰილისტდეთ?

სხვათა შორის, ეს შედეგი სულაც არ არის მოულოდნელი. აბა, როგორ გინდა უკიდურესად არ განიჰილისტდეს საზოგადოება, რომელსაც ეუბნებიან: „უნდა ვიყოთ თავისუფლები, დამოუკიდებლები. ჩვენ ყველგან უნდა ვთქვათ, რომ ვართ სუვერენული სახელმწიფო! ჩვენი გადაწყვეტილებები უნდა იყოს პრინციპული და შეუვალი, უნდა ვიმოქმედოთ მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად, გადავდგათ გაბედული ნაბიჯები... ოღონდ ეს ყველაფერი შეთანხმებული უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების სენატორებთან“.

ასეთი ტრაგიკომიკური აზრებით გაიჟღინთა გასულ კვირაში ყველა ქართული ტელევიზიის „თოქ-შოუები“ და ნიშანდობლივია, რომ, თუ ადრე **„მედასავლეთეები“ მეტ-ნაკლებად ცდილობდნენ, შეენიღბათ ის, რომ საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობის გარეშე, მთავრობას კი არა, კანცელარიის დამლაგებელსაც ვერ შეცვლის, ახლა ამას უკვე ღიად ამბობენ და მეტიც — ამაყობენ ამით!**

უკვე მესმის მათი მომხრეების დემაგოგიური შეძახილი: „აბა, რუსეთის „შნირები“ ვიყოთ, ეგ ჯობია?“ ვაღიარებ, რომ სწორი და გარკვეული პასუხი არ მაქვს. მე, უბრალოდ, ჟურნალისტი ვარ და ფაქტებს აღვრიცხავ, თუმცა აქვე აღვნიშნავ იმ პროგრესს, რომელიც „მედასავლეთეების“ რიტორიკაში უკვე შეინიშნება — **თუ ადრე ამ ყოველივეს გვიხატავდნენ, როგორც არჩევანს „მჩაგვრელსა“ და „მეგობარს“ შორის, ახლა უკვე სიმართლესთან ახლოს არიან და არჩევანს ორ მჩაგვრელს შორის გვთავაზობენ.**

რომელი მჩაგვრელი სჯობს, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ვინაიდან „ძალაუფლების წყარო არის ხალხი“, თუმცა მაინც ვიტყვი: **ვისაც ახსოვს საბჭოთა ეპოქა, ყველა დამეთანხმება, რომ მაშინ ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას მოსკოვიდან ვერავინ ვერ გვიბედავდა... დღეს კი მართლაც ისეთ დღეში ვართ, რომ მგონია, მალე ჩვენი „დაუძინებელი მეგობრები“ პირდაპირ გვიბრძანებენ და დაგვავალდებულებენ, — დილით რომ გავიღვიძებთ, სანამ ხელ-პირს დავიბანთ, მანამდე მორიდებულად უნდა ვიკითხოთ ხოლმე: „სენატორო რიში, შეიძლება ვქნა ფიში?“**




**ვისაც ახსოვს საბჭოთა ეპოქა, ყველა დამეთანხმება, რომ მაშინ ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას მოსკოვიდან ვერავინ ვერ გვიბედავდა... დღეს კი მართლაც ისეთ დღეში ვართ, რომ მგონია, მალე ჩვენი «დაუძინებელი მეგობრები» პირდაპირ გვიბრძანებენ და დაგვავალდებულებენ, — დილით რომ გავიღვიძებთ, სანამ ხელ-პირს დავიბანთ, მანამდე მორიდებულად უნდა ვიკითხოთ ხოლმე: «სენატორო რიში, შეიძლება ვქნა ფიში?»**

პრობლემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტურიზმის სექტორის პირველი რიგის პრიორიტეტად დასახელება უკვე თავისთავად გასაკვირია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ კრიზისიდან სწორი დასკვნები ვერ გააკეთა. ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანი და პერსპექტიული სექტორი შეიძლება იყოს, მაგრამ ის მაინც ეკონომიკის სხვა სექტორებზე ზედნაშენი ინდუსტრიაა და არა ბაზისური. გარდა ამისა, ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი და სარისკო სექტორია, რაც ერთმნიშვნელოვნად აჩვენა 2020 წლის პირველმა ოთხმა თვემ, როდესაც სექტორი პრაქტიკულად გაჩერდა, ამიტომ პოსტკრიზისული განვითარების დაწყება ტურიზმის სექტორიდან, უბრალოდ, გაუგებარია.**

# პოსტკრიზისული სტრატეგია როგორც არ გვქონდა, ისევე არ გვაქვს

**კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული კრიზისი მსოფლიოში თანდათან ცხრება. ამ სტატიაში არ შევუდგები იმის განხილვას, საფუძვლიანი იყო თუ არა ამ დაავადების ირგვლივ ჯერ ეპიდემიური, შემდეგ პანდემიური მასშტაბის აჟიოტაჟის შექმნა. ჩემი ღრმა რწმენით, დაავადების გავრცელება იმ უმოწყალოდ გაბერილი სტატისტიკითაც კი, რომელიც ყოველდღიურად ქვეყნდება https://www.worldometers.info/coronavirus/-ზე, არათუ პანდემიურ, არამედ ეპიდემიის ყველაზე დაბალ ზღვარსაც ვერ უახლოვდება. დაავადება ნამდვილად არსებობს, დაავადება ძალიან არასასიამოვნოა, ზოგ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზიც შეიძლება იყოს, მაგრამ მისი გავრცელება და მის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ზომები შეუსაბამოა. გავიმეორებ: დაავადებაზე გაცილებით უფრო დიდი ზიანი შექმნილმა პანიკამ გამოიწვია და მომავალშიც გამოიწვევს.**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/

აპრილის ბოლოს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ანტიკრიზისული ღონისძიებების გეგმა და გამოაცხადა პოსტკრიზისული გეგმის შექმნაზე მუშაობის დაწყება. „საქართველო და მსოფლიოს" წინა ნომერში გამოქვეყნდა ჩემი სტატია ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ანალიზით. მთლიანობაში ანტიკრიზისული გეგმა დადებითად შევაფასე, თუმცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მივუთითე, რომ ანტიკრიზისული გეგმა დოკუმენტად წარმოდგენილი არ ყოფილა. პრობლემა უცვლელია დღევანდელი მდგომარეობითაც. ანტიკრიზისული გეგმა დოკუმენტის სახით კვლავ არ გამოქვეყნებულა.

გასულ კვირაში მთავრობამ კიდევ ორი ინიციატივა წარმოადგინა პოსტკრიზისული პერიოდისთვის. პირველი ინიციატივა **ტურიზმის** განვითარების საკითხებს შეეხებოდა, ხოლო მეორე — **სოფლის მეურნეობის** განვითარებას. **ტურიზმის სექტორის პირველი რიგის პრიორიტეტად დასახელება უკვე თავისთავად გასაკვირია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ კრიზისიდან სწორი დასკვნები ვერ გააკეთა. ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანი და პერსპექტიული სექტორი შეიძლება იყოს, მაგრამ ის მაინც ეკონომიკის სხვა სექტორებზე ზედნაშენი ინდუსტრიაა და არა ბაზისური. გარდა ამისა, ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი და სარისკო სექტორია, რაც ერთმნიშვნელოვნად აჩვენა 2020 წლის პირველმა ოთხმა თვემ, როდესაც სექტორი პრაქტიკულად გაჩერდა, ამიტომ პოსტკრიზისული განვითარების დაწყება ტურიზმის სექტორიდან, უბრალოდ, გაუგებარია.**

**და მაინც წარმოდგენილი გეგმა უდავოდ პოზიტიურია.** ის უდავოდ წაადგება სექტორში მომუშავე კომპანიებსა და თითოეულ დასაქმებულს. ისევე, როგორც ყველა სხვა გეგმა, ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმაც მხოლოდ პრეზენტაციის სახით არსებობს და არ ეტყობა დაგეგმილი ღონისძიებების სიმულაციური ანალიზის კვალი. არ არის მოცემული გეგმის შესრულების მექანიზმი, არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი ინსტიტუტები და, რაც მთავარია, არ არის პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და მიღწეული შედეგების შეფასების მაჩვენებელთა რიგი, სხვაგვარად ამას უწოდებენ ინდიკატორთა ბადეს, რომელიც ამ ღონისძიების სოციალური და ეკონომიკური ეფექტის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა. **თვითონ გეგმა განაცხადის დონეზე უდავოდ პოზიტიურია, მაგრამ ეშმაკი, რომელიც, როგორც წესი, დეტალებშია, ისევ იქაა.**

გაცილებით მნიშვნელოვანი და მასშტაბურია სოფელზე ზრუნვის ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მთავრობამ წინა კვირაში წარმოადგინა. ანტიკრიზიული გეგმა ღონისძიებათა 12 ჯგუფს მოიცავს და მისი მთლიანი ბიუჯეტი 220 მილიონი ლარია.

**ღონისძიებათა ჯგუფებია:**

**1. მცირემიწიანი ფერმერების დახმარება;**

**2. იაფი დიზელი ფერმერებს;**

**3. სამელიორაციო მომსახურების ღირებულების განულება;**

**4. 50%-იანი გრანტი აგროწარმოებისთვის;**

**5. 50%-იანი გრანტი სარწყავი სისტემებისთვის;**

**6. ახალი საბანკო შეღავათები აგროწარმოებისთვის;**

**7. ერთწლიანი კულტურებისთვის სესხის 6 თვის საპროცენტო განაკვეთი სრულად დაფინანსდება;**

**8. საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;**

**9. აგროდაზღვევა, ადგილობრივი მერძევეობის ხელშეწყობა;**

**10. გრანტები კოოპერატივებისთვის;**

**11. პირდაპირი დახმარება ფერმერებს;**

**12. სექტორული დახმარება ფერმერებს.**

აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება აუცილებელი იყო და ცოტა დაგვიანებულიც კი, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. 220 მილიონი ლარი ბევრია თუ ცოტა? პრობლემის ფუნდამენტურობიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, უფრო ცოტაა, ვიდრე ბევრი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს ანტიკრიზისული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახანძრო ღონისძიებებია და მისი ზეგავლენის პერიოდი მხოლოდ მიმდინარე და მომავალი წელი იქნება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ 220 მილიონი ლარი ცოტა ნამდვილად არ არის.

ჩემი აზრით, სოფლად თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდა გარდაუვალია, ვინაიდან კრიზისის შედეგად შემცირებული სამუშაო ადგილების კვალობაზე გაიზრდება უმუშევართა რაოდენობა. მდგომარეობის გამოსწორება ერთ და ორ თვეში მოსალოდნელი არ არის და უმუშევრად დარჩენილთა მნიშვნელოვანი ნაწილი, დიდი ალბათობით, დასაქმების ბოლო სადგურს მიმართავს — საკუთარი მიწის დამუშავებას.

სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებში განუხრელი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. შეუქცევადი ზრდის ტენდენციით მხოლოდ დაქირავებით დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი იყო, რომელიც ძირითადად განსაზღვრავდა კიდეც მთლიანი შემოსავლების ზრდის ტენდენციას. **2017 და 2018 წლებში სასოფლო თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავალი მთლიანი შემოსავლების 13 პროცენტი იყო, რაც შემოსავლის ამ წყაროს ჯერ კიდევ დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.**

სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების, როგორც შემოსავლების წყაროს მნიშვნელობა გაცილებით მნიშვნელოვანია სოფლად არსებული შინამეურნეობებისთვის, რომლებშიც 2018 წლის მდგომარეობით ამ წყაროდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსავლების 32 პროცენტი იყო, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. სოფლად მცხოვრები ოჯახების შემოსავლების 53 პროცენტი სოფლად თვითდასაქმებისა და სახელმწიფო გასაცემლების ხარჯზე ყალიბდება. აქედან გამომდინარე, **სოფლად თვითდასაქმებულთა მხარდაჭერა უდავოდ აუცილებელი ანტიკრიზისული ღონისძიებაა.**

ღონისძიების მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალნათელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკმაოდ ბევრია ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომელთათვისაც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმება შემოსავლების უმნიშვნელოვანესი და ზოგჯერ ერთადერთი წყაროა.

2018 წლის მდგომარეობით, სოფლად მცხოვრები ოჯახების 21 პროცენტისთვის სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავალი მთლიანი შემოსავლების ნახევარზე მეტი იყო, ხოლო ოჯახების 45 პროცენტისთვის შემოსავლების, სულ ცოტა, 25 პროცენტი სოფლად თვითდასაქმებიდან იქმნებოდა. ასეთი ოჯახების რაოდენობა დაახლოებით 200 ათასია, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობის გათვლები რეალურ ინფორმაციას ეყრდნობა.

სოფლის დახმარება ნამდვილად დროული და აუცილებელი ღონისძიებაა, რომლის გარეშეც მთავრობის ანტიკრიზისულ ღონისძიებებს სამართლიანობის დეფიციტი ექნებოდა.

რაც შეეხება ღონისძიების მოსალოდნელ შედეგებს, მთავრობა ამ შემთხვევაში არ ღალატობს ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას და მოსალოდნელ შედეგებზე არაფერს გვეუბნება, გარდა იმისა, რომ დახმარებას მიიღებს 200 ათასამდე ფერმერი. სავარაუდო შედეგები, დიდი ალბათობით, ისეთივე იქნება, როგორც 2013 და 2014 წლებში განხორციელებული სოფლის დახმარების პროგრამებს ჰქონდა და რაც 2014 და 2015 წლებში სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებიდან მიღებული ნომინალური შემოსავლების 21 და 26-პროცენტიან ზრდაში (2013 წელთან შედარებით) აისახა და დიდი როლი ითამაშა მთლიანად ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში *(იხ. ცხრილი).*

წარმოდგენილი გეგმის აუცილებლობა თვალნათელია და მისასალმებელია, რომ მთავრობა ზუსტად იმ სექტორს აქცევს ყურადღებას, რომელიც მხარდაჭერის გარეშე განწირულია, მაგრამ არის გარკვეული კითხვები, რომლებიც უპასუხოდ რჩება:

**1. რატომ არ არის მომზადებული გეგმის დოკუმენტაცია? გეგმა წარმოდგენილია მხოლოდ პრეზენტაციის სახით. პრეზენტაცია ამაზე დეტალური ვერ იქნება, მაგრამ საფუძვლიანი ანალიზისთვის საკმარისი არ არის;**

**2. რატომ არ არის აღწერილი გეგმის განხორციელების მექანიზმები? ასეთი მასშტაბური განზრახვის შესრულებას ღონისძიებების დეტალურად გაწერილი სქემა სჭირდება. შეიძლება, მომზადებულიცაა, მაგრამ ფაქტია, რომ გამოქვეყნებული არაა. ღრმა და საფუძვლიანი ანალიზისთვის აუცილებელია გეგმის განხორციელების მექანიზმების ძირითადი მიმართულებების აღწერა მაინც;**

**3. რატომ არ არის მოცემული მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორთა ბადე? რა შედეგებს ველოდებით? როდის იქნება მიღწეული ეს შედეგები და როგორ აისახება ამ გეგმის განხორციელება კონკრეტულ მაჩვენებლებში? არსად არ ჩანს, რომ ჩატარებულია სიმულაციური ანალიზი, არ ჩანს, რა დაშვებებს ემყარება გეგმა და ასე შემდეგ, ანუ წარმოდგენილი გეგმა ვერ აკმაყოფილებს სტრატეგიული დაგეგმვის მინიმალურ სტანდარტებს.**

წარმოდგენილი გადაწყვეტილება ანტიკრიზისული ღონისძიებების პაკეტია და იმედია, ძალიან ეფექტიანიც, მაგრამ ეს მაინც ერთჯერადი და მოკლევადიანი ეფექტის ღონისძიებებია. **გაცილებით მნიშვნელოვანია პოსტკრიზისული გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის შემუშავებაც დაუყოვნებლივ დასაწყებია.**

მისი ამოსავალი პრინციპები უნდა იყოს:

1. პრობლემების სისტემური გააზრება;

2. სახელმწიფოს აქტიური ჩარევა;

3. ადგილობრივი რესურსების გამოყენება;

4. მაღალი სოციალური ეფექტი;

5. ქვეყნის სიმეტრიული განვითარება;

6. გრძელვადიან პერსპექტივებზე ორიენტირება;

7. მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო სისტემა.

სასურველია, რომ სტრატეგიის შემუშავებით დასაქმდეს რამდენიმე ჯგუფი. სხვადასხვა ჯგუფის მიერ ერთნაირი სისტემით მომზადებული მასალების შეჯერებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შანსი მეტია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა საკითხზე მხოლოდ ერთი, შეიძლება ძალიან კვალიფიციური, მაგრამ მაინც ერთი ჯგუფი მუშაობს.

**ნოდარ კაკანაძე**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განვითარებად სახელმწიფოს აკრძალული აქვს რამდენადმე მნიშვნელოვანი ოდენობით საკუთარი პროდუქციის წარმოება, საკუთარი ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის წამოწევა. ე.წ. განვითარებადმა სახელმწიფომ უნდა მოიხმაროს დიდი ქვეყნების მიერ წარმოებული პროდუქცია, ანუ ის, რასაც მისთვის გაიმეტებენ და სწორედ ამიტომ არის საქართველოში შემოსული უცხოური პროდუქტის უმრავლესობა საკვებად უვარგისი და ნიტრატებით გაჯერებული. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან აფრიკის ქვეყნები, ზუსტად იგივე პრობლემა უდგათ მათაც.**

# ხელისუფლება ქვეყნის ბიუჯეტს არა მოსახლეობის საჭიროებისამებრ, არამედ იმის მიხედვით ხარჯავს, რა აძლევს ხელს «დასავლელ პარტნიორს»

## დასავლეთის მიერ გამოწერილი რეცეპტი — ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი მხოლოდ ვალის პროცენტებში უნდა გადავიხადოთ

**ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ის ფერმერები, რომლებიც მიწას ამუშავებენ, სახელმწიფოსგან ერთ ჰექტარ მიწაზე მიიღებენ 200 ლარს, პლუს 150 ლიტრ დიზელს შეღავათიან ფასად — ერთი ლარით იაფად იმასთან შედარებით, რაც ბაზარზე ღირს.
ერთი შეხედვით, ეს ძალიან კარგია, ხელისუფლება სოფლის მეურნეობას ეხმარება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დავიწყოთ თავიდან.**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დაპირება იყო ის, რომ თითოეული სოფელი ხუთ მილიონ ლარს მიიღებდა და წელში გაიმართებოდა. ეს არ იყო უტოპიური გეგმა. საქართველოში 3700-მდე სოფელია (უფრო კონკრეტულად — 3 668) და ამ სოფლებისთვის ეტაპობრივად რომ გამოეყოთ წელიწადში ნახევარი მილიონი ლარი, წლიურად ორ მილიარდამდე დაჯდებოდა. ვილაცისთვის ეს ძალიან ბევრია, მაგრამ გავიხსენოთ, რომ სწორედ **ორი მილიარდი ლარი გაისროლა (სხვა სიტყვას ვერ დავარქმევთ) სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად ხელისუფლებამ და შედეგი მიიღო ნული. ეს იმიტომ, რომ არ არსებობდა გეგმა, არ არსებობდა სტრატეგია, არ არსებობდა ამ ფულის სწორი მიმართულებით ხარჯვის სურვილი და, რაც მთავარია, არ არსებობდა სოფლის მეურნეობის აღორძინების ნება.** ჰო, ნება არ არსებობდა იმისა, რომ საქართველოში სოფელი მოძლიერებულიყო, ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე იმ დახმარებაზე ვთქვათ, რომლის გაცემაც ხელისუფლებამ დააანონსა. 200 ლარი და პლუს საწვავი იმას ნიშნავს, რომ ფული ისევ წყალში გადაიყრება. ჯერ ერთი — **ვერავინ გააკონტროლებს, გლეხი იმ 200 ლარს კონკრეტულად იმ ერთ ჰექტარ მიწას მოახმარს და იმ დიზელს სწორედ მის დამუშავებაში დახარჯავს თუ სხვა რამეში; მეორე — იმავე სოფლის მეურნეობის წარმოების საზომებით, თანხა ძალიან ცოტაა, ანუ ეს იმისთვის არის, მერე რომ თქვან, — სოფლის მეურნეობას რამდენიმე ათეული მილიონით დავეხმარეთო, რეალურად კი ეს რამდენიმე ათეული მილიონი ისე იქნება დაქუცმაცებული, ზღვაში წვეთიც არ გამოვა.**

რაც შეეხება, საზოგადოდ, სოფლის მეურნეობას, ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში გაერომ, ანუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (თუ ვინმეს სჯერა, რომ გაერო დამოუკიდებელი გაერთიანებაა, გავატარებთ) საქართველოს ე.წ. განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიაკუთვნა. **იმხანად ძალიან გაგვიხარდა (ბევრს ახლაც უხარია), — ევროპა-ამერიკიდან დახმარება წამოვაო, მაგრამ რეალურად ეს სტატუსი ნიშნავს იმას, რომ განვითარებად სახელმწიფოს აკრძალული აქვს რამდენადმე მნიშვნელოვანი ოდენობით საკუთარი პროდუქციის წარმოება, საკუთარი ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის წამოწევა. ე.წ. განვითარებადმა სახელმწიფომ უნდა მოიხმაროს დიდი ქვეყნების მიერ წარმოებული პროდუქცია, ანუ ის, რასაც მისთვის გაიმეტებენ და სწორედ ამიტომ არის საქართველოში შემოსული უცხოური პროდუქტის უმრავლესობა საკვებად უვარგისი და ნიტრატებით გაჯერებული. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან აფრიკის ქვეყნები, ზუსტად იგივე პრობლემა უდგათ მათაც.**

სოფლის მეურნეობის წამოწევასა და საკუთარი პროდუქციის წარმოებაზე საუბარი ჯერ **სააკაშვილმა** დაიწყო და გააჩერეს (გახსოვთ, ალბათ, „მამალი ძროხები", „ფოთის ბაყაყები" და „შავი მოცვი გადაგვარჩენს"), მერე — **ივანიშვილმა (ასი საწარმოს დაპირება)** და ისიც გააჩერეს. ახლაც, **როცა კრიზისი დაიწყო მსოფლიოში, პირველი, რაც ხელისუფლებამ გამოაცხადა, სოფლის მეურნეობის წამოწევის პროგრამა იყო. ხელისუფლება მიხვდა, რომ საკუთარი პროდუქციის გარეშე მსოფლიო კრიზისის ფონზე არსებობა ძნელი იქნება, მაგრამ ეს საუბარი მალევე შეწყდა. შეწყდა მას შემდეგ, რაც კონსულტაციები გაიმართა მსოფლიო ბანკთან. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლებას თითი დაუქნიეს: რა სოფლის მეურნეობა და პროდუქციის წარმოება, ტურიზმს მიაწექით, მომსახურების სფეროსო (თქვენ ჩვენი მსახურის ფუნქცია გაქვთო), და მთავარი აქცენტიც სწორედ ტურიზმზე გაკეთდა.**

თანაც, ეს არ არის ჰუმანიტარული დახმარება, ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კრედიტია, ანუ **სახელმწიფომ კვალავ აიღო საგარეო ვალი, ვალს ვალი დაამატა, რაც იმას ნიშნავს, რომ „სტრატეგიული პარტნიორები" სტრატეგიულად სწორად მოქმედებენ და გაჭირვების ჟამს სწორედ ჩვენზე აკეთებენ ფულს. ისე, ეს რომ კრედიტია, გაკვრით თქვა ერთხელ რომელიღაც მაღალჩინოსანმა, დანარჩენები აღარ ამბობენ, იმიტომ, რომ მოსახლეობაში განწყობა მაშინვე შეიცვლება და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბევრს ეს სამი მილიარდი გულითადი დახმარება ჰგონია.**

მოკლედ, მოისმინეს დასავლელმა პარტნიორებმა მთავრობის სტრატეგიული გეგმა, მიხვდნენ, რომ მათ მიერ შეთავაზებულ მიმართულებას დათანხმდა საქართველო და თანხების მოცემას ისევ გვპირდებიან. ჰოდა, ახლა **ტურიზმზე** ვიმსჯელოთ. **საშუალო ფენის წარმომადგენლებს, გნებავთ, ევროპაში და გნებავთ, რუსეთში, საიდანაც ტურისტების ჩამოსვლას უკვე მიესალმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, აქაოდა, მათთვის კარი ღიააო, ფული არ აქვთ. უფრო სწორად, იმდენი არ აქვთ, რომ სამოგზაუროდ გაიმეტონ და დასვენებას თავიანთ ქვეყანაში ამჯობინებენ.** ეს განსაკუთრებით რუსეთის მოსახლეობაზე ითქმის, რადგან პანდემიამ ჩრდილოელ მეზობელს ძალიან შეუტია და საეჭვოა, საერთო კრიზისის ფონზე, ამან ასახვა არ ჰპოვოს ტურიზმზე.




**ისიც ვთქვათ, რომ რუსეთს საქართველო ტურიზმისთვის უსაფრთხო ქვეყნების სიაში ჯერჯერობით არ ჰყავს და, შესაბამისად, თუ ვინმე სადმე წასვლას დააპირებს, ამ გარემოებას ყურადღებას აუცილებლად მიაქცევს. ისე, ჩვენს ხელისუფლებას ცოტა მეტი წინდახედულება რომ გამოეჩინა და დათანხმებულიყო რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, კონსტანტინე კოსაჩევის, წინადადებას შეხვედრის თაობაზე, ეგებ, სულ მცირე, ტურიზმისთვის ყოფილიყო უკეთესი**

ამიტომ, **ვლადიმირ პუტინის** გადაწყვეტილებით, სპეციალური განკარგულებაც კი გამოიცა, რომ ადგილობრივ კურორტებს რაც შეიძლება მეტი პოპულარიზაცია და რეკლამირება გაუწიონ. ისიც ვთქვათ, რომ **რუსეთს საქართველო ტურიზმისთვის უსაფრთხო ქვეყნების სიაში ჯერჯერობით არ ჰყავს და, შესაბამისად, თუ ვინმე სადმე წასვლას დააპირებს, ამ გარემოებას ყურადღებას აუცილებლად მიაქცევს. ისე, ჩვენს ხელისუფლებას ცოტა მეტი წინდახედულება რომ გამოეჩინა და დათანხმებულიყო რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, კონსტანტინე კოსაჩევის წინადადებას შეხვედრის თაობაზე, ეგებ, სულ მცირე, ტურიზმისთვის ყოფილიყო უკეთესი.**

სამწუხაროდ, ტურისტების დიდ ნაკადს არც **უკრაინიდან** უნდა ველოდოთ და არც **ბელარუსიდან.** ესეც არის, რეგულაციების მიხედვით, ტურისტმა ქვეყანაში შემოსვლის წინ უნდა წარმოადგინოს საბუთი, რომ ორკვირიანი კარანტინი გავლილი აქვს, ან აქ უნდა გაიაროს კარანტინი და, როგორ გგონიათ, რამდენი ადამიანი მოისურვებს ორი კვირით გამოკეტვას იმისთვის, რომ მერე ორი კვირა საქართველოში დაისვენოს?! როგორც ჩვენ ვიყავით გაჩერებული და გამოკეტილი, უარესად იყვნენ ევროპაში, ამიტომ ახლა ყველას თავისი უჭირს, ყველა თავისას ცდილობს და, თქმა არ უნდა, ძალიან რთული იქნება ტურისტების მოზიდვა. ჰოდა, წესითა და რიგით, **ამ ფონზე აქცენტი სწორედ სოფლის მეურნეობაზე უნდა გაკეთებულიყო, ზუსტად ისე, როგორც ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა თქვეს, — ახლა მთავარი პრიორიტეტი ადგილობრივი წარმოებააო, ანუ ისინი ირჩევენ იმას, რაც მათთვის არის უმჯობესი, ჩვენ გვტენიან იმას, რაც ასევე მათთვის არის უმჯობესი.**

იმაზე თუ უფიქრია ვინმეს, **რატომ არის შემოტანილი პროდუქტი ადგილობრივზე ბევრად უფრო იაფი? იმიტომ, რომ, ძირითადად, ნაგავი შემოგვაქვს, ხახვს ხახვის გემო არ აქვს და ნიორს ნივრის სუნი. არც ხილი ვარგა და არც მწვანილი. აი, ნატურალურად მოყვანილი პროდუქტი ძვირი ჯდება და გლეხიც იძულებულია, ფასი დაადოს, მოსახლეობას კი ფული არ აქვს. ამ 200 ლარის დარიგებისა და საწვავის მიცემის ნაცვლად, ხელისუფლებას რომ გამოეცხადებინა, საქართველოში წარმოებულ პროდუქტზე საგადასახადო შეღავათს ვაწესებ, იყიდეთ იაფად, ხალხო, თქვენც იხეირეთ და ფერმერიც ახეირეთო, სხვა იქნებოდა.** აი, ეს მართლაც წაადგებოდა სოფლის მეურნეობას, ან ივანიშვილის მიერ დაანონსებული ასი გადამამუშავებელი საწარმოდან 20 მაინც რომ გახსნილიყო და ქართული პროდუცია სხვადასხვა პროდუქტად აქვე გვექცია, სხვა სიმაღლეებზე იქნებოდა საუბარი, მაგრამ არ აძლევს ხელს ეს დასავლეთს, არა! მერე იქაური ნაგავი არ გასაღდება ჩვენთან და ეს კი მათ ეკონომიკას დაარტყამს.

სამწუხარო რეალობა ასეთია — **ხელისუფლება სოფლის მეურნეობას ოფიციალურად ეხმარება, რეალურად კი ეს ისევ ჰაერში გასროლილი ფულია და ამით სოფლის მეურნეობა წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევს.** ტურისტულ სექტორში გადასროლილი მილიონებიც წყალში გადაყრილი ფულია, რადგან საქართველოში წელს ტურისტული სეზონი, უბრალოდ, არ გვექნება, რადგან მსოფლიო მასშტაბით არის კრიზისი და დასვენებისთვის ახლა ნაკლებად სცალიათ. ესეც არ იყოს, როგორ გგონიათ, **კარანტინში ყოფნისას სახლში ჯდომით არ დაიღალა ხალხი?** ადამიანებს ახლა სწორედ მუშაობა სჭირდებათ, რათა შეთხელებული ბიუჯეტი შეავსონ და იმის თქმაც გადაჭრით შეიძლება, გაზაფხულზე გაჩერებული საწარმოების ხელმძღვანელები თანამშრომლებს ზაფხულში შვებულებაში არ გაუშვებენ და ისევ არ გააჩერებენ საწარმოს. ის, რაც დაიკარგა, უნდა ამოიქაჩოს, ეს არის აქსიომა.

აქსიომაა ისიც, რომ ხელისუფლება ქვეყნის ბიუჯეტს არა მოსახლეობის საჭიროებისამებრ, არამედ იმის მიხედვით ხარჯავს, რა აძლევს ხელს დასავლელ პარტნიორს. უხეში გაანგარიშებით, ამ სამ თვეში ათი მილიარდი ლარის საგარეო ვალი დაგვემატა და ეს თანხა ჩვენი გადასახდელია. ამიტომ, სანამ ასე ვალებში დავიხრჩობით, სანამ ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ ლარზე მეტს მხოლოდ ვალის პროცენტებში გადავიხდით, მანამ არაფერი გვეშველება და ეს პერსპექტივა უახლოესი ათწლეულის განმავლობაში გამოწერილი რეცეპტივით გვაქვს.

**ბესო ბარბაქაძე**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოებას ვეტყვი ერთადერთ რამეს: მიენდონ უფალს, იარონ ტაძრებში, დაიცვან მარხვა, ეზიარონ, ილოცონ და იცხოვრონ ქრისტიანულად. მორჩა! სხვა გზა და სხვა ხსნა არ გაგვაჩნია! ისტორიულად ჩვენ ყოველთვის ვძლიერდებოდით მაშინ, როცა ხალხი უფალს ეზარებოდა“.**



# მამა გურამი (გამცემლიძე): დასავლეთის მიერ გაწეული ყოველი ფინანსური «დახმარება» ახალი ვალდებულებების ყულფია, რომელშიც ქვეყანას თავს აყოფინებენ

**მსოფლიოში „კოვიდ-19“-ის პანდემიის მასშტაბის მატებასთან ერთად, რაც ახალ რეალობასა და ძირეულად შეცვლილ საერთაშორისო დღის წესრიგს გულისხმობს, საქართველოში ანტიმართლმადიდებლური კამპანიაც დღითიდღე ძლიერდება. მედიასა თუ სოციალურ ქსელებში ჩნდება ახალ-ახალი ბრალდებები, როგორც ეკლესიისა და საპატრიარქოს, ისე ცალკეული სასულიერო პირების მიმართ. მეტიც, მას შემდეგ, რაც აგრესიული ლიბერალური ელიტისა და მის მიერ მართული ტელემედიის აპოკალიფსური პროგნოზი ნაალდგომევს ე.წ. მრევლის კლასტერის გაჩენის თაობაზე არ გამართლდა და ეპიდემიის ახალმა ტალღამ არ იფეთქა, შეტევა უშუალოდ პატრიარქზე დაიწყო. ბევრი ითქვა და დაიწერა, რომ თურმე საპატრიარქო მიზანმიმართულად აქეზებს საზოგადოებაში სოციალურ აგრესიას, რომლის მიზანსაც ჯანდაცვის სისტემისადმი უნდობლობის გაღვივება და ვირუსის საწინააღმდეგო ახალი ვაქცინის (რომელიც ჯერ შექმნილი არ არის) მიუღებლობაა (ამ თემაზე უცხოეთიდან დაფინასებული არასამთავრობო ორგანიზაციები კვლევებს კვლევებზე აქვეყნებენ).**

**«ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი იმ აზრზეა, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითი უნდა იყოს. მე უნდა მქონდეს იმის საშუალება, რომ უარი ვთქვა. რატომ და რის გამო, ეს უკვე პიროვნული საკითხია, თუმცა აქაც უკვე ვხედავთ ჩვეულ «ლიბერალურ» ქილიკს იმის თაობაზე, რომ თურმე ადამიანებს ანტიქრისტე ელანდებათ და ვაქცინაციის ამიტომ ეშინიათ. ჯერ ერთი, სიფხიზლე შიში არ არის, კარგად გაერკვნენ; და მეორე — ძალიან მაინტერესებს, ამ ათეულობით და ასეულობით მილიონს რომ ურიცხავს საქართველოს ხან სავალუტო ფონდი, ხან მსოფლიო ბანკი და ა.შ., რა მიზანი აქვთ? ვინმეს სჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩვენზე ზრუნვით ხდება?!»**

მთავარი საკითხი, რომელზეც ზემოაღნიშნული პროპაგანდა აპელირებს, არის მოსაზრებები კონკრეტული სასულიერო პირებისა, რომლებმაც მედიასთან განაცხადეს, რომ ვაქცინაცია აუცილებლად ნებაყოფლობითი უნდა იყოს... მოკლედ „მრევლის კლასტერის“ არგაჩენით იმედგაცრუებული ე,წ, ლიბერალური ისტებლიშმენტი ახალი გამოწვევის წინაშეა. „ანტივირუსულ ვაქცინაზე ნეგატიური განწყობების გამღვივებელი მართლმადიდებელი ეკლესია“ კაცობრიობის და, პირველ რიგში, საქართველოს მტრად უნდა გამოცხადდეს, თუმცა იმ ფონზე, როცა იგივე ლიბერალები საგანგებო მდგომარეობით გამოცხადებულ კარანტინს ადამიანის „ფუნდამენტური უფლებების“ შეზღუდვად აფასებდნენ, გაუგებარია, ვაქცინაციის ნებაყოფლობითობა რატომ უნდა აღიქმებოდეს არაკანონიერ მოთხოვნად.

**ცნობისთვის:** მსოფლიოში უკვე არსებობს ეჭვები და ვარაუდები, რომ „კოვიდ 19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციით მოსახლეობის ე.წ. ჩიპიზაცია მოხდება. ამ ყველაფრის მიზანი კაცობრიობაზე ტოტალური კონტროლის დაწესება და ადამიანების ჯანმრთელობაზე (მათ შორის ფსიქიკაზეც) ზემოქმედებაა, შედეგად დედამიწის მოსახლეობამ ადამიანური სახე უნდა დაკარგოს და ბიორობოტებად იქცეს (პირუტყვებად, რა!).

**რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველო, რა ძალები უპირისპირდება ქვეყანაზე მზრუნველ, და, მაშასადამე, ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტს — საპატრიარქოს და რა სირთულეები გველოდება მომავალში — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გურამი (გამცემლიძე).**

**— მამაო, ეპიდემიის ფონზე, რომელიც მსოფლიო მედიაში მძვინვარებს, საქართველოში ანტიმართლმადიდებლური კამპანია პიკს აღწევს. სამიზნეშია ამოღებული ეკლესია და სამღვდელოება, რომელთა მიმართაც მუდმივად ისმის სხვადასხვა ბრალდება. მაგალითად, ერთ-ერთი ბრალდებაა ის, რომ თურმე საპატრიარქო საზოგადოებას ანტიქრისტეს მოსვლის ჟამის მოახლოებით აშინებს და მიზანმიმართულად ცდილობს პანიკის დათესვას მოსახლეობაში. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? რა აზრის ხართ თუნდაც მოსახლეობის მასობრივ აცრაზე ვითომ „კოვიდ 19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინით, რომელიც, დიდი ალბათობით, სავალდებულო იქნება?**

— ვფიქრობ, მთავარი ამ ბრალდებებსა და ბინძურ ცილისწამებებში არის ის, რომ ეს კამპანია მიმართულია არა ერთი რომელიმე ინსტიტუტის, ვთქვათ, საპატრიარქოს ან ცალკეული სასულიერო პირების წინააღმდეგ, რომლებსაც შეიძლება, მართლა ცუდად გამოუვიდათ რომელიმე განცხადება, არამედ მიმართულია, საერთოდ, ქრისტიანული სწავლებისა და მორალის წინააღმდეგ. „არგუმენტი“ მათი ის კი არ არის, რომ ვილაც კონკრეტული პიროვნება ხალხს აშინებს და რომელიღაც თემით მანიპულირებს, არამედ პირდაპირ, დაუფარავად დასცინიან სახარებას. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — რას ნიშნავს ეს? ეს ხომ ბრძოლაა სარწმუნოების წინააღმდეგ, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დააშორონ უფალს და არა მხოლოდ დააშორონ, განაწყონ ანტიმართლმადიდებლურად. საერთოდ, თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური იდეოლოგია ვერ იტანს მორწმუნე ადამიანს, იმიტომ, რომ მორწმუნე ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება ძალიან ძლიერია. შეუძლებელია, მას თავს მოახვიო რაღაც ფორმით ლამაზად შეფუთული ცოდვა, რომელსაც იდეაში ვითომ ტოლერანტობასა და შემწყნარებლობას დაარქმევ, მაგრამ რეალურად იქნება ულმერთობა. **ამიტომ არის ზუსტად მათი უპირველესი მიზანი ქრისტიანული სწავლების მარგინალიზაცია და მათი პოზიციიდან, მათი ინტერესების გადმოსახედიდან ეს, რა თქმა უნდა, ლოგიკურია.**

პანიკასა და ადამიანების შეშინებას რაც შეეხება, პანიკას თესავდნენ თვითონ, როცა 24-საათიან რეჟიმში მოუწოდებდნენ საზოგადოებას, ტაძრებში არ წახვიდეთო. წარმოიდგინეთ, გამოდის კაცი, ამხელა თანამდებობის პირი და აცხადებს, კუბოებს ვერ დავითვლითო... სხვათა შორის, ბოლო პერიოდში **ე.წ. ლიბერალური ელიტისთვის ძალიან დიდი იმედგაცრუება აღმოჩნდა ის, რომ აღდგომის შემდეგ ე.წ. ეკლესიის კლასტერი არ გაჩნდა.** ეს ერთი. და მეორე — მათთვის, რა თქმა უნდა, თავზარდამცემია ის, რომ ვერანაირი პროპაგანდითა და პანიკის მცდელობით მორწმუნე მრევლი ვერ შეაშინეს. პირიქით, უამრავი ადამიანი მივიდა სააღდგომო წირვაზე და ყველაფერი, ღვთის წყალობით, ნორმალურად ჩატარდა. **საპატრიარქო მოითქვა აბსოლუტურად სწორად, როცა მან პრინციპული უარი თქვა ღვთისმსახურების შეჩერებაზე... ცხადია, ეს ჩვენი უწმინდესის დამსახურებაა.**

**— სავალდებულო ვაქცინაციაზე რას ფიქრობთ?**

**— ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი იმ აზრზეა, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითი უნდა იყოს. მე უნდა მქონდეს იმის საშუალება, რომ უარი ვთქვა. რატომ და რის გამო, ეს უკვე პიროვნული საკითხია, თუმცა აქაც უკვე ვხედავთ ჩვეულ „ლიბერალურ“ ქილიკს იმის თაობაზე, რომ თურმე ადამიანებს ანტიქრისტე ელანდებათ და ვაქცინაციის ამიტომ ეშინიათ.** ჯერ ერთი, სიფხიზლე შიში არ არის, კარგად გაერკვნენ; და მეორე — ძალიან მაინტერესებს, ამ ათეულობით და ასეულობით მილიონს რომ ურიცხავს საქართველოს ხან სავალუტო ფონდი, ხან მსოფლიო ბანკი და ა.შ., რა მიზანი აქვთ? ვინმეს სჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩვენზე ზრუნვით ხდება?!

**— ხელისუფლება ამას ფინანსურ დახმარებას ეძახის.**

— არანაირ დახმარებას ჩვენ არ გვიწევენ და არც გაგვიწევენ, არ დაიჯეროთ. ეს არის ჩვეულებრივი პროცენტიანი ვალი, რომელიც გვაწვება ჩვენ, რიგით მოქალაქეებს და ამ ყველაფრის სანაცვლოდ ქვეყანა იღებს სხვადასხვა ვალდებულებას. ეს ცნობილი სქემაა იმისთვის, რომ ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნები მუდმივად აკონტროლონ.

რაც შეეხება ისევ იმ ცილისმწამებლურ კამპანიას, რომ თურმე ეკლესია მოსახლეობაში პანიკას თესავს და ადამიანებს მეორედ მოსვლის ჟამის მოახლოებით აშინებს, რა, **ეკლესიის მოგონილია ის, რომ ევროკავშირის რიგ ქვეყნებში (მაგალითად, შვედეთში) უკვე დაიწყეს ადამიანების „დაჩიპვა“?! ეკლესიის მოგონილია ის, რომ ზოგიერთი დასავლელი მაღალჩინოსანი გამოდის და დაუფარავად ამბობს: რელიგია შხამია, მართლმადიდებლობა კიდევ ისლამურ ფუნდამენტალიზმზე საშიშიაო?!**

**— როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფერს რამე გავლენა შეიძლება ჰქონდეს ჩვენს მოსახლეობაზე?**

— ცხადია, არის რაღაც ნაწილი ხალხისა, რომელიც მერყევია და მათზე, ალბათ, იოლია ზემოქმედება, მაგრამ, **საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ვერანაირი პროპაგანდითა და სიცრუით შეცდომაში ვერ შეიყვან. სხვათა შორის, ეს ნათლად დავინახეთ აღდგომას, როცა, მიუხედავად აშკარად პროპაგანდისტული პროგნოზებისა უთვალავი კუბოების შესახებ, მორწმუნე მრევლი ტაძრებში მივიდა და მიზანს, რომ ქვეყანაში ღვთისმსახურება შეწყვეტილიყო და ტაძრები დაეკეტათ, ვერ მიაღწიეს, მრევლი არათუ ვერ დააშინეს, პირიქით — განამტკიცეს და კიდევ უფრო გაუძლიერეს რწმენა.** საერთოდ, ვფიქრობ, რომ მთელი ეს ე.წ. ნეოლიბერალური პროპაგანდა, რომლის უპირველესი მიზანიც მართლმადიდებლობაა მსოფლიოში, არის გლობალიზმის ყველაზე მკაფიო ლუსტრაცია. ამ თვალსაზრისით ეს პროპაგანდა კარგია, იმიტომ, რომ იმაზე უკეთ მხილებას, როგორც თვითონ აკეთებენ, ჩვენ ნამდვილად ვერ შევძლებდით...

**— ამ დღეებში ევროკავშირმა 150 მილიონი ევროს კრედიტი გამოუყო საქართველოს, რომელიც კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის დაძლევას მოხმარდება. როგორ ფიქრობთ, ესეც გარკვეულ ვალდებულებებს გულისხმობს?**

— ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **დასავლეთის მიერ გაწეული ყოველი ფინანსური „დახმარება“ საქართველოსთვის ახალი ვალდებულებების ყულფია, რომელშიც ქვეყანას თავს აყოფინებენ. მსგავსი „დახმარებების“ შედეგია ის, რომ ჩვენ დღეს, როგორც ქვეყანას, ფაქტობრივად, არ გვიყურებენ და თითის ქნევით გვკარნახობენ ყველაფერს. მათ შორის, როგორი მართლმსაჯულება უნდა გვქონდეს და რომელი დამნაშავე უნდა გამოვუშვათ ციხიდან...**

**— დავუბრუნდეთ ისევ ვაქცინაციის თემას. ვთქვათ, ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ვაქცინაცია სავალდებულოა და, ვინც მასზე უარს იტყვის, კანონს დაარღვევს... რა გზა დარჩება საზოგადოებას საკუთარი თავის დასაცავად?**

— საზოგადოებას ვეტყვი ერთადერთ რამეს: **მიენდონ უფალს, იარონ ტაძრებში, დაიცვან მარხვა, ეზიარონ, ილოცონ და იცხოვრონ ქრისტიანულად. მორჩა! სხვა გზა და სხვა ხსნა არ გაგვაჩნია! ისტორიულად ჩვენ ყოველთვის ვძლიერდებოდით მაშინ, როცა ხალხი უფალს ეზარებოდა.**

ვაქცინაციას რაც შეეხება, ეს, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ნებაყოფლობითი. ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით, ვინ მუშაობს ამ ვაქცინაზე — რა ძალებია და რა ინტერესები არსებობს; მეორეც, **არავინ იცის, რეალურად როგორ იმოქმედებს ახალი პრეპარატი ადამიანების ჯანმრთელობაზე,** თუმცა ჩემი სუბიექტური აზრი პირდაპირ შემიძლია, გითხრათ: **ვერავინ და ვერაფერი მაიძულებს რამე წამლის გაკეთებას. ეს თუ ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება და ამ თვალსაზრისით ეჭვები ჩნდება, რა თქმა უნდა, მასზე უარს ვიტყვი, თუნდაც სიცოცხლის ფასად.** ისე, ფულს წყალში ტყუილუბრალოდ რომ არავინ გადაყრის და ჩვენთვის სასიკეთოს არაფერს არ დაგვაძალებს, ცხადზე ცხადია. ამიტომ, თუ იქნება დაძალება, გინდათ თუ არა, გაიკეთეთო, ეს ეჭვებს გააღრმავებს და ბევრ რამეს ფარდას ახდის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„მახსენდება ივანიშვილის პირველი მიტინგი, 2012 წლის 30 მაისს ჩატარებული; მახსენდება, რას გვპირდებოდა, რამდენი პუნქტი იყო და როგორ ედებოდა გულს მალამოდ მისი სიტყვები... ახლა კი ვფიქრობ: ვინ ექაჩებოდა ენაზე ამ დალოცვილს?! რატომ დაგვპირდა იმას, რის გაკეთებასაც ვერ შეძლებდა?! ან მე რატომ მჯეროდა კაცის, რომელიც თურმე მიშა სააკაშვილს აფინანსებდა?!“

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან 75 წელი გავიდა. ამ თარიღის აღსანიშნავად სამამულო ომის მონაწილეებსა და ომში დაღუპულთა ოჯახებს ერთჯერადი ფულადი დახმარება გადასცეს. ეს დახმარება უმნიშვნელოა სამშობლოს წინაშე მათ დამსახურებასთან შედარებით, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში, რომლის წარმომადგენლებმაც ფაშიზმი დაამარცხეს, საბჭოთა სიმბოლიკის გამოყენება და სამამულო ომის ხსენება აკრძალულია, ეს ჟესტი ხელისუფლების მხრიდან მაინც დადებითი იყო. საქართველოს უახლოეს ისტორიაში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, რამდენიმე ომი გადაგვხდა თავს. ერთ-ერთი იყო ომი აფხაზეთში, რომელმაც რამდენიმე ათასი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა...

# ანზორ დანელია: ადამიანები, რომლებმაც მთელი ცხოვრება შრომაში გალიეს, წამალსა და პურს ვერ ყიდულობენ, შიათ და სწყურიათ. ამის შემდეგ ეს სახელმწიფოა?





ანზორ დანელია

რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას დაუკავშირდა ერთგული მკითხველი და მეგობარი, მხცოვანი ადამიანი, რომლის ორი ვაჟის სიცოცხლეც შეიწირა აფხაზეთის ომმა. ეს კაცი გახლავთ ბატონი **ანზორ დანელია: „ჩემი ორი ვაჟი დაიღუპა აფხაზეთის ომში, მართალია, ისტორიამ გვიჩვენა, რომ ეს ძმათამკვლელი ომი შეცდომა იყო, მაგრამ აფხაზეთის ომში დაღუპულ „მარად ჭაბუკებს“ შვილები დარჩათ, ზოგიც უშვილძიროდ წავიდა იმქვეყნად, ისინი ოჯახის მარჩენლები იყვნენ, დღეს მათ ოჯახებს უჭირთ“,** — გვითხრა მან.

ჩვენ დავინტერესდით, რა დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან ომებში დაღუპულთა ოჯახები ან ვეტერანები.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ და ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ კანონი წლების განმავლობაში იცვლებოდა.

კანონში მთავარი ცვლილება 2005 წელს შევიდა, რომლის თანახმად **დახმარებას იღებდა მხოლოდ შრომისუუნარო მშობელი, მეუღლე და ასევე 18 წლამდე შვილი. დახმარება კი, რომელიც სახელმწიფოსგან ერგებოდათ დაღუპულთა ოჯახის ამ კრიტერიუმში მოხვედრილ წევრებს, 55 ლარი იყო.**

1999 წელს მიღებული კანონის თანახმად, დახმარება გაიცემოდა მშობლებზე (მიუხედავად ასაკისა), მეუღლეებზე (რომლებიც მეორედ არ დაქორწინებულან), არასრულწლოვან, აგრეთვე, მოსწავლე და სტუდენტ შვილებზე, ასევე, ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული პირის კმაყოფაზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენლის პენსიას.

დაღუპულთა ოჯახის სოციალური დაცვის პუნქტებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა. **შეღავათები, რომლებითაც 2005 წლამდე სარგებლობდნენ დაღუპულთა ოჯახის წევრები, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ 2005 წელს ხელმოწერილი კანონით.**

მაგალითად, თუ 1999 წლის კანონის მიხედვით, დახმარებათა ჩამონათვალი 22 პუნქტს მოიცავდა, ცვლილების შემდეგ მათი რაოდენობა 4-მდე შემცირდა.

ამჟამად მოქმედებს შემდეგი დებულებები: სახელმწიფოს მიერ დაღუპულის გადმოსვენებისა და დაკრძალვის ხარჯების გაღება; პენსიით უზრუნველყოფა; გადასახადებისთვის გამოყოფილი 44-ლარიანი დანამატი.

44-ლარიანი დანამატი 2007 წელს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა. მანამდე ვეტერანის ოჯახი თავისუფლდებოდა საყოფაცხოვრებო-კომუნალური გადასახადისგან.

კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ გაუქმდა ისეთი შეღავათები, როგორიცაა მედიკამენტებით ოჯახის უზრუნველყოფა, აგრეთვე, სამედიცინო-სანიტარული მკურნალობა, ტრანსპორტით სარგებლობის შეღავათიანი პირობები, სამუშაოზე შემცირებისას უპირატესობაში ყოფნა, მიუხედავად მისი სტაჟისა, მიწის გადასახადისგან გათავისუფლება და სხვ.

**გვესაუბრება ანზორ დანელია:**

— სულ ტყუილად გვქონდა **ბიძინა ივანიშვილის** იმედი, აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ უარესია, „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უარესი. **ხშირად მახსენდება ივანიშვილის პირველი მიტინგი, 2012 წლის 30 მაისს ჩატარებული. მახსენდება, რას გვპირდებოდა, რამდენი პუნქტი იყო და როგორ ედებოდა გულს მალამოდ მისი სიტყვები... ახლა ვფიქრობ: ვინ ექაჩებოდა ენაზე ამ დალოცვილს?! რატომ დაგვპირდა იმას, რის გაკეთებასაც ვერ შეძლებდა?! ან მე რატომ მჯეროდა კაცის, რომელიც თურმე მიშა სააკაშვილს აფინანსებდა?!**

ივანიშვილი მაძღარია, ამიტომ მშიერიც მაძღარი ჰგონია და თავისი გადმოსახედიდან უყურებს ყველაფერს. ჩვენი ყოფა ყოფაა? **ჩემს ახალგაზრდობაში ხის დიდი სანაგვე ყუთები იდგა თბილისში, იმ ყუთთან ახლოს მდგარს ვერავის ნახავდით, მხოლოდ ნაგავს ყრიდნენ შიგ და ახლოს არ ეკარებოდნენ. ახლა ვხედავ, ნაგვის ურნებში იქექება უამრავი ადამიანი. დიდი სამამულო ომის პერიოდში თითქოს შიმშილობდა ხალხი, მაგრამ ნაგავში საჭმლის მძებნელს ვერავის ნახავდით. ხალხის ფეხებზე დაკიდება არავის შერჩენია და არც ამათ შერჩებათ.**

«ამბობენ, ივანიშვილის შემოსავლები ყოველწიურად მილიონობით იზრდებაო, ცოტა თანხა მაინც გაიღოს ჩვენნაირი ოჯახების დასახმარებლად. თავის დროზე, როდესაც შევიტყვე, რომ მისი ბანკი დააყადაღეს, 10 ლარი გადავრიცხე მის დასახმარებლად, რას უშველიდა ეს ფული, მაგრამ ჩემი თანადგომა გამოვხატე ამით»

შევარდნაძის მიერ დასავლეთიდან თავსმოხვეული პოლიტიკის გამო აფხაზეთის ომში ორი შვილი დამეღუპა — ერთი 28 წლის, მეორე — 21-ის. ერთი შვილიშვილი დამრჩა, ოჯახი შექმნა, შვილი შეეძინა, მაგრამ იმის გამო, რომ თავს ვერ ირჩენდა, საქართველოდან წავიდა. ჩემი ცხოვრების ერთადერთი ნათელი წერტილი იყო ეს ბავშვი და წავიდა, იმიტომ, რომ აქ სამუშაო ვერ იპოვა, ვერ დასაქმდა.

**— როგორც ვიცი, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს ხელისუფლება ეხმარება...**

— ჩემი დაღუპული შვილების გამო დახმარებას მაძლევენ, მაგრამ ასეთ დახმარებას არავის ვუსურვებ. მოხუცები კაპიკებზე ვცხოვრობთ. **ადამიანები, რომლებმაც მთელი ცხოვრება შრომაში გალიეს, წამალსა და პურს ვერ ყიდულობენ, შიათ და სწყურიათ. ამის შემდეგ ამას სახელმწიფო ჰქვია?**

უკვე ასაკში ვარ, ჯანმრთელობაც აღარ მიწყობს ხელს, მაგრამ სულ ვცდილობ, რაღაც გავაკეთო. რამდენიმე წლის წინათ ფონდი დავაფუძნე, ჩავთვალე, რომ დადგა დრო, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა ნასისხლარზე მშვიდობიანი, წითელი ყაყაჩოები აზრიალდეს. მინდოდა, მოკრძალებული წვლილი შემეტანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. **ფონდს „სანთელი“ დავარქვი. შემოსული თანხებით დაღუპულთა ოჯახის წევრებს, უმწეოებს დავეხმარებოდით, მათ შვილებს სწავლის მიღებაში ხელს შევუწყობდით, სამკურნალოდ საჭირო თანხებს გადავცემდით, მაგრამ არაფერი გამოვიდა, თითო-ოროლა კაცმა თუ გამოიჩინა ინიციატივა, ფონდისთვის თანხა შემოეწირა და ისიც უმნიშვნელო. ვის არ მივმართე — ბიზნესმენებს, ვითომ მეცენატებს, მთავრობას, მაგრამ არავის აინტერესებს.**

რამდენჯერმე პრემიერ **გიორგი კვირიკაშვილსაც** მივმართე ღია წერილით... ყველა მეუბნება: ვეტერანთა დეპარტამენტს მიმართე, მათი საქმეაო. ვეტერანთა დეპარტამენტს თავისი თავი გასჭირვებია, ჩვენნაირებისთვის სად სცალიათ. არადა, მართლაც სჭირდებათ დახმარება ძმათამკვლელ ომში დაღუპულთა ოჯახებს, სჭირდებათ სწავლის ფული, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, საზღვარგარეთ სწავლა, მაგრამ ვის აინტერესებს?

ფონდს რომ ვაფუძნებდი, დიდი იმედი მქონდა დახმარების; მეგონა, ამ ქვეყანაში კეთილ ადამიანებს რა გამოლევს-მეთქი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა, ვისაც დახმარების სურვილი აქვს, მას ფული არ აქვს, ხოლო ვისაც ფული აქვს, მას დახმარების სურვილი არ აქვს.

ამბობენ, **ბიძინა ივანიშვილის შემოსავლები ყოველწიურად მილიონობით იზრდებაო, ცოტა თანხა მაინც გაიღოს ჩვენნაირი ოჯახების დასახმარებლად. თავის დროზე, როდესაც შევიტყვე, რომ მისი ბანკი დააყადაღეს, 10 ლარი გადავრიცხე მის დასახმარებლად, რას უშველიდა ეს ფული, მაგრამ ჩემი თანადგომა გამოვხატე ამით...**

1956 წლის 9 მარტის შემდეგ სულ ქუჩაში ვარ, სულ რაღაცას ვაპროტესტებ. ახლაც, თუკი სადმე რამე ხდება, იქ ვარ, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად იმისა, რომ მოვხუცდი, მაინც ვერ ვისვენებ, რაღაცას ვცდილობ. მინდა, აფხაზებსა და ოსებთან გართულებული, უფრო ზუსტად, გაფუჭებული ურთიერთობები აღვადგინო. ვცდილობ, დავუკავშირდე ძველ ნაცნობებს, სახალხო დიპლომატია აღდგეს. ისტორიამ დაგვანახვა, რომ ხშირად ჩვენ ვიყავით დამნაშავენი, ჩვენ მივდიოდით მათთან საომრად და არა ისინი ჩვენთან.

სანამ ცოცხალი ვარ, მინდა, ვნახო, რომ ჩემი შვილების სისხლი ამაოდ არ დაღვრილა, რომ ჩემი ვაჟკაცები საქართველოს ერთიანობისთვის იბრძოდნენ და მათი თავგანწირვა დაფასდა.

«ჩემი ორი ვაჟი დაიღუპა აფხაზეთის ომში. მართალია, ისტორიამ გვიჩვენა, რომ ეს ძმათამკვლელი ომი შეცდომა იყო, მაგრამ აფხაზეთის ომში დაღუპულ «მარად ჭაბუკებს» აქ შვილები დარჩათ»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**პოლონეთის დაცვა შეუძლებელი იყო „მაჟინოს ხაზში“ საფრანგეთის არმიის ინერტული ყოფნით, მაშინ, როცა საბჭოთა არმია საკუთარ საზღვრებში იქნებოდა ლოდინის რეჟიმში. 1914 წელს ევროპის ერები ომზე წავიდნენ, რადგან სამხედრო და პოლიტიკურმა დაგეგმვამ ერთმანეთთან კავშირი დაკარგა. სანამ გენერალური შტაბები სრულყოფდნენ თავიანთ გეგმებს, პოლიტიკური ლიდერები ან ვერ იგებდნენ მათ, ან არ ჰქონდათ პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, რომლებიც შეეფარდებოდა გათვალისწინებულ სამხედრო ძალისხმევას.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14-15, 2020 წ.

# «სტალინი — დიპლომატიის მონსტრი»

## რას ამბობდა სტალინზე მსოფლიო დონის პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი

„აღმოსავლეთ ევროპაში სსრკ-ის სტატუს კვოს შენარჩუნება, თუ ასეთი საერთოდ არსებობდა, დასრულდა. პარტიის მეთვრამეტე ყრილობაზე გადამწყვეტ მომენტში სტალინმა არჩევანი გააკეთა — მიმართა ჰიტლერს და მას შემდეგ, რაც პოლონეთმა მიიღო ბრიტანეთისგან გარანტია, მას შეეძლო, ნაცისტური საჭადრაკო პარტია გაეთამაშებინა განსაკუთრებული საფრთხის გარეშე. ამოცანა იმით იყო გამარტივებული, რომ დასავლურმა დემოკრატიამ უარი თქვა ჩასწვდომოდა მის სტრატეგიას, რომელიც სრულიად ცხადი იქნებოდა **რიშელიესთვის, მეტერნიხისთვის, პალმერსტონისა** თუ **ბისმარკისთვის.** მისი არსი უმარტივესი იყო და იქამდე მიდიოდა, რომ უდიდეს ზესახელმწიფოთაგან საბჭოთა კავშირს უკანასკნელს აეღო გარკვეული ვალდებულებები. ეს **სტალინს** აძლევდა მოქმედების თავისუფლებას მისთვის ორგანიზებულ ბაზარზე, სადაც ოფერენტს (სავაჭროდ მიწვეული პირი, რომელიც ურთიერთობაში გამოდის გარიგების შესახებ წინადადების ფორმალური შეთავაზებით ყველა აუცილებელი პირობის მითითებით – გ.ო.), რომელიც ვაჭრობისას ყველაზე მაღალ ფასს იძლეოდა, შეუძლია სსრკ-ის თანამშრომლობით ან საბჭოთა კავშირის ნეიტრალიტეტით ვაჭრობაში მოგება.

იმ მომენტამდე, სანამ პოლონეთი მიიღებდა გარანტიებს დიდი ბრიტანეთისგან, სტალინს უდიდესი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა გერმანიასთან თამაშისას, რადგან შესაძლებელი იყო, დემოკრატიულ ქვეყნებს ხელი დაებანათ და ის მარტო დაეტოვებინათ ჰიტლერთან. თუმცა გარანტიის მიცემის შემდეგ, ის არამხოლოდ დარწმუნდა იმაში, რომ დიდი ბრიტანეთი დაიცავს დასავლეთის საზღვრებს, არამედ იმაშიც, რომ ომი დაიწყებოდა ექვსასი მილით დაშორებულ გერმანია-პოლონეთის საზღვარზე.

**სტალინს მხოლოდ ორი რამ აფიქრებდა: პირველ რიგში, უნდა დარწმუნებულიყო, რომ ბრიტანეთის გარანტია პოლონეთისთვის მყარია; და მეორე — მას უნდა გაერკვია, არსებობდა თუ არა გერმანული ვარიანტი. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტი: რაც უფრო ცხადად ავლენდა დიდი ბრიტანეთი კეთილ ნებას პოლონეთის მიმართ, რომელიც საჭირო იყო ჰიტლერის დასაშინებლად, მით მეტ სივრცეს იღებდა სტალინი მანევრისთვის გერმანიის მიმართ. დიდი ბრიტანეთი ცდილობდა, შეენარჩუნებინა აღმოსავლეთ ევროპის სტატუს კვო.**

სტალინმა მიზნად დაისახა, უზრუნველეყო ვარიანტების ფართო არჩევანი და დაერტყა ვერსალის შეთანხმებისთვის. სტალინი გრძნობდა, რომ ომი გარდაუვალი იყო და სარგებლის მიღებას ცდილობდა მასში მონაწილეობის გარეშე. 14 აპრილს დიდმა ბრიტანეთმა სსრკ-ს შესთავაზა, გაეკეთებინა განცხადება, რომ „საბჭოთა კავშირის ნებისმიერი ევროპელი მეზობლის მიმართ აგრესიის ნებისმიერი აქტის შემთხვევაში, რომელსაც ქვეყანა წინააღმდეგობას გაუწევდა, სსრკ-ის მთავრობა ამ ქვეყანას დახმარებას შესთავაზებდა“. სტალინმა უარი განაცხადა, თავი მარყუჟში შეეყო და უარყო ეს მიამიტი წინადადება. 17 აპრილს მან პასუხი გასცა კონტრწინადადებით, რომელიც სამი ნაწილისგან შედგებოდა: კავშირი სსრკ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის; სამხედრო კონვენცია რეალურად ასამოქმედებლად და გარანტია ყველა ქვეყნისთვის ბალტიისა და შავ ზღვებს შორის.

სტალინს უნდა ცოდნოდა, რომ ასეთი წინადადება არასოდეს არ იქნებოდა მიღებული. პირველ რიგში, იმიტომ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს არ სურდათ; მეორე — სამხედრო კონვენციის განხილვა მოითხოვდა მეტ დროს; ბოლოს კი, დიდი ბრიტანეთი თავს იკავებდა საფრანგეთთან ალიანსისგან ათწლეულების განმავლობაში არა იმისთვის, რომ ახლა ამაზე წასულიყო იმ ქვეყნის გამო, რომელიც, მისი აზრით, ღირსი იყო, სამხედრო აღჭურვილობის მიმწოდებლის მეორეხარისხოვანი როლი შეესრულებინა. „არ ღირს იმაზე ფიქრი, — განაცხადა **ნევილ ჩემბერლენმა**, — რომ ასეთი ალიანსი საჭიროა იმისთვის, რომ აღმოსავლეთ ევროპის პატარა ქვეყნებმა მიიღონ სამხედრო აღჭურვილობა“.

ბრიტანელი ლიდერები რამდენიმე კვირის განმავლობაში დუიმს დუიმზე თმობდნენ და თანხმდებოდნენ სტალინის პირობებზე, ის კი სულ უფრო ზრდიდა ფსონს. მაისში საგარეო საქმეთა მინისტრი **მაქსიმ ლიტვინოვი** შეცვალა სტალინის ნდობით აღჭურვილმა პირმა **ვიაჩესლავ მოლოტოვმა.** ეს კი ნიშნავდა იმას, რომ სტალინი თავის ხელში იღებდა მოლაპარაკებებს და რომ კარგი ურთიერთობები მოლაპარაკებების მონაწილეებს შორის საბჭოთა კავშირისთვის არანაირ როლს არ თამაშობდა. მგზნებარე-პედანტური მანერით მოლოტოვმა მოითხოვა, საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრის გასწვრივ ყველა ქვეყანას მიეღო ორმხრივი გარანტია, ამასთანავე, ისინი მან კონკრეტულად ჩამოთვალა. ის ასევე მოითხოვდა „აგრესიის“ ტერმინის ახსნის განვრცობას. სურდა, რომ მასში ჩართულიყო „არაპირდაპირი აგრესიაც“, რომელიც განისაზღვრებოდა, როგორც გერმანიის საფრთხის დაგმობა ძალის ფაქტობრივი გამოყენების გარეშეც, ანუ სსრკ მოითხოვდა ყველა ევროპელი მეზობლის საშინაო საქმეებში ჩარევის შეუზღუდავ უფლებას.

ივლისში სტალინი მიხვდა, რომ ბრიტანეთის ლიდერები დათანხმდებიან, თუმცა უხალისოდ, მის მიერ წამოყენებულ პირობებთან ახლოს მყოფ კავშირს. 23 ივლისს საბჭოელი და დასავლელი მონაწილეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც დამაკმაყოფილებული აღმოჩნდა ორივე ქვეყნისთვის. ახლა უკვე სტალინს ჰქონდა სადაზღვევო ბადე და მას შეეძლო იმაზე ფიქრი, კონკრეტულად რისი შეთავაზება შეეძლო მისთვის ჰიტლერს.



ჰენრი კისინჯერი

> **«ორი დამანგრეველი მარცხისა და ტერიტორიის მესამედის დაკარგვის მიუხედავად, რომელიც მას პირველი მსოფლიო ომის წინ ჰქონდა, გერმანია მაინც რჩება ევროპაში ყველაზე ძლიერ და, შესაძლოა, ყველაზე გავლენიან სახელმწიფოდ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, 1939 წელს ის სათანადოდ არ იყო მზად გარდაუვალი ომისთვის. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს კი ის უკვე ითვლებოდა გლობალურ სუპერსახელმწიფოდ. როგორც ეს გააკეთა რიშელიემ XVII საუკუნეში, სტალინმა XX საუკუნეში ისარგებლა ცენტრალური ევროპის დაქსაქსულობით»**

1939 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში სტალინი ფრთხილად იძლეოდა სიგნალებს, რომ მზად იყო, გერმანიის წინადადება განეხილა, მაგრამ ჰიტლერი თავს იკავებდა პირველი ნაბიჯის გადადგმისგან, რათა **სტალინს არ ესარგებლა ამით უფრო ხელსაყრელი პირობების მისაღებად დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისგან. სტალინი, თავის მხრივ, ვერ დგამდა პირველ ნაბიჯს, რადგან, თუ ეს ნაბიჯი გასაჯაროვდებოდა, დიდ ბრიტანეთს შეეძლო, ვალდებულებები მოეხსნა აღმოსავლეთ ევროპის მიმართ და საბჭოთა კავშირი ჰიტლერის პირისპირ დაეტოვებინა. ამასთანავე, სტალინიც არ ჩქარობდა. ჰიტლერისგან განსხვავებით, ის ვადებს არ სახავდა, ხოლო ნერვები რკინის ჰქონდა. ასე რომ, სტალინი ელოდა და ამით ჰიტლერის შეშფოთებას იწვევდა.**

26 ივლისს ჰიტლერმა ნიშანი მისცა, რომ გეგმავდა პოლონეთზე თავდასხმას შემოდგომის წვიმების დაწყებამდე, არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა. მას უნდა სცოდნოდა, რის განხორციელებას აპირებდა სტალინი. **კარლ შნურეს**, გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელს, რომელიც სსრკ-ის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა სავაჭრო ხელშეკრულების დადების თაობაზე, მიეცა ინსტრუქცია, შეხებოდა პოლიტიკურ საკითხებს მოლაპარაკებების მიმდინარეობისას. ის სარგებლობდა იმით, რომ იყო, დამაკავშირებელი რგოლი და საბჭოეთის ლიდერებს არწმუნებდა, რომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ან შორეულ აღმოსავლეთში **„ორ ქვეყანას შორის არ არის არანაირი პრობლემა, რომლის გადაჭრაც შეუძლებელი იქნებოდა“.** შნურე დაჰპირდა მათ, რომ განაგრძობდა ამ საკითხის განხილვას სსრკ-ის წარმომადგენლებთან მაღალი დონის შეხვედრაზე.

აჩქარება არასოდეს არის კარგი მოლაპარაკებათა მიმდინარეობისას. არც ერთი გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე არ წყვეტს საკითხს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი თანამოსაუბრე დროშია შეზღუდული. ის გამოიყენებს დროის უქონლობას, რათა უფრო მეტი სარგებელი ნახოს. ყოველ შემთხვევაში სტალინი არ იყო ის პიროვნება, რომელიც პირველ დაძახილს გამოეხმაურებოდა. ასე რომ, **მოლოტოვმა მხოლოდ აგვისტოს შუა რიცხვებში მიიღო ინსტრუქცია, შეხვედროდა გერმანიის ელჩ ვერნერ ფონ დერ შულენბურგს, რათა დაეზუსტებინა, კონკრეტულად რას სთავაზობდა შნურე — ზეწოლას იაპონელებზე, რათა მათ ციმბირისთვის დაენებებინათ თავი? პაქტს თავდაუსხმელობის შესახებ? პაქტს ბალტიის სახელმწიფოების შესახებ? გარიგებას პოლონეთის მიმართ?**

ამ მომენტში ჰიტლერი ისე ჩქარობდა, რომ, მიუხედავად სიძულვილისა, მზად იყო, სტალინისთვის დაეთმო ყველა პუნქტში. 11 აგვისტოს ჰიტლერმა დანციგში (ამჟამად გდანსკი, პოლონეთში — გ.ო.) განაცხადა: **„ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული. თუ დასავლეთი ასე გონებაჩლუნგი და ბრმაა, რომ გაიგოს ეს, იძულებული ვარ, მოლაპარაკებაზე წავიდე რუსებთან, დავამარცხო დასავლეთი, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ მივუბრუნდე საბჭოთა კავშირს გაერთიანებული ძალით“.**

ეს იყო ჰიტლერის თავდაპირველი ამოცანების მკაფიო ასახვა; დიდი ბრიტანეთისგან მას სურდა ჩაურევლობა კონტინენტურ საქმეში, ხოლო სსრკ-ისაგან — „ებენსრაუმ“-ის, ანუ „სასიცოცხლო სივრცის“ მიღება. სტალინის მიღწევის საზომად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან, თუნდაც დროებით, ადგილები შეუცვალა ჰიტლერის პრიორიტეტებს.

მოლოტოვის კითხვებზე პასუხად ფონ დერ შულენბურგმა განაცხადა, რომ ჰიტლერი მზად არის, საგარეო საქმეთა მინისტრი **იოახიმ ფონ რიბენტროპი** დაუყოვნებლივ გაგზავნოს მოსკოვში, მისცეს მას უფლებამოსილებები ყველა დანარჩენი საკითხის გადასაწყვეტად. სტალინს არ შეეძლო, არ შეემჩნია, რომ ჰიტლერი მზად იყო, მოლაპარაკებები ეწარმოებინა იმ დონეზე, რომელსაც მუდმივად გაურბოდა ბრიტანეთი, რადგან ხანგრძლივი მოლაპარაკებების განმავლობაში მოსკოვში მას არ სწვევია არც ერთი ბრიტანელი მინისტრი, თუმცა ბრიტანეთის მთავრობის ერთ-ერთი წევრი იმყოფებოდა ევროპის აღმოსავლეთში, ვარშავამდეც კი.

სტალინს არ სურდა კარტების გახსნა მანამ, სანამ არ იქნებოდა ნათელი, რას სთავაზობდნენ, ამიტომ კიდევ უფრო გააძლიერა ზეწოლა ჰიტლერზე. მოლოტოვს დაევალა, მაღალი შეფასება მიეცა რიბენტროპის მზადყოფნისთვის, ჩასულიყო მოსკოვში, ისიც ეთქვა, რომ კარგი იქნებოდა ხელშეკრულების ტექსტის ქონა, სანამ გადაწყდებოდა საკითხი ვიზიტისგან სარგებლის მიღების შესახებ. ჰიტლერს თითქოს სთავაზობდნენ ზუსტი და კონკრე- ▶

**„იმ მომენტამდე, სანამ პოლონეთი მიიღებდა გარანტიებს დიდი ბრიტანეთისგან, სტალინს უდიდესი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა გერმანიასთან თამაშისას, რადგან შესაძლებელი იყო, დემოკრატიულ ქვეყნებს ხელი დაებანათ და ის მარტო დაეტოვებინათ ჰიტლერთან, თუმცა გარანტიის მიცემის შემდეგ ის არამხოლოდ დარწმუნდა იმაში, რომ დიდი ბრიტანეთი დაიცავს დასავლეთის საზღვრებს, არამედ იმაშიც, რომ ომი დაიწყებოდა ექვსასი მილით დაშორებულ გერმანია-პოლონეთის საზღვარზე“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**«ამ მომენტში ჰიტლერი ისე ჩქარობდა, რომ, მიუხედავად სიძულვილისა, მზად იყო, სტალინისთვის დაეთმო ყველა პუნქტში. 11 აგვისტოს ჰიტლერმა დანციგში (ამჟამად გდანსკი, პოლონეთში — გ.ო. ) განაცხადა: «ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული. თუ დასავლეთი ასე გონებაჩლუნგი და ბრმაა, რომ გაიგოს ეს, იძულებული ვარ, მოლაპარაკებაზე წავიდე რუსებთან, დავამარცხო დასავლეთი, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ მივუბრუნდე საბჭოთა კავშირს გაერთიანებული ძალით»**



**მოლოტოვი და რიბენტროპი 1939 წელს თავდაუსხმელობის პაქტზე ხელმოწერის შემდეგ**

◀ტული წინადადების ჩამოყალიბებას. მათ შორის, საიდუმლო ოქმის შექმნას ცალკეულ ტერიტორიულ საკითხზე. **შეუძლებელი იყო, არცთუ გონიერი რიბენტროპი ვერ მიმხვდარიყო მოლოტოვის თხოვნის არსს. ინფორმაციის ნებისმიერი გაჟონვა დაკავშირებული იქნებოდა გერმანულ პროექტთან. სტალინს ხელები სუფთა რჩებოდა, ხოლო მოლაპარაკებათა წარუმატებლობა შეიძლებოდა მიეწერათ საბჭოთა კავშირის უარისთვის, ფეხი აეწყო გერმანული ექსპანსიონიზმისთვის.**

ჰიტლერი უკვე ნერვიულობდა, რადგან პოლონეთზე თავდასხმის გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში უნდა მიეღო. 20 აგვისტოს მან წერილი მისწერა სტალინს. ეს წერილი გამოცანა იყო გერმანიის პროტოკოლის სამსახურისთვის. რადგან სტალინის ერთადერთი ტიტული იყო „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი“ და არ ეკავა არანაირი სახელმწიფო თანამდებობა. პროტოკოლისტები ვერ წყვეტდნენ, როგორ მიემართათ მისთვის. საბოლოო ჯამში, წერილი ასე გაიგზავნა: „ბატონ სტალინს, მოსკოვი“. ჰიტლერი წერდა: „დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირის სასურველი დამატებითი ოქმის შინაარსი შეიძლება დაზუსტდეს უმოკლეს ხანში, თუ გერმანიის პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეს ექნება შესაძლებლობა, პირადად მივიდეს მოსკოვში მოლაპარაკებებისთვის“.

**სტალინმა მოიგო პარტია იმის წყალობით, რომ საბოლოო არჩევანი გააკეთა უკანასკნელ წამს; ჰიტლერი აშკარად მზად იყო, უფასოდ შეეთავაზებინა მისთვის ის, რისი მიღებაც საბჭოეთის ბელადს შეეძლო დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან კავშირის შექმნის შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ გერმანიასთან სისხლისმღვრელი ომის შემდეგ.**

სტალინმა ჰიტლერს 21 აგვისტოს უპასუხა. მან გამოთქვა იმედი, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ იქნება გარდატეხის სიმბოლო ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესების საქმეში. **48 საათის შემდეგ რიბენტროპი მოსკოვში მიიწვიეს, 23 აგვისტოს. მოსკოვში ყოფნის ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ის სტალინის წინაშე წარდგა. საბჭოთა ხელმძღვანელმა მცირე ინტერესი გამოხატა თავდაუსხმელობის პაქტის მიმართ და კიდევ უფრო მცირე — მეგობრობაში დარწმუნებისადმი, რასაც რიბენტროპი თავის რეპლიკებში რთავდა. სტალინის შეფიქრიანების საგანი იყო საიდუმლო ოქმი აღმოსავლეთ ევროპის გაყოფის შესახებ.**

რიბენტროპმა შესთავაზა სტალინს, რომ პოლონეთი დაეყოთ 1914 წლის საზღვრის მიხედვით, მხოლოდ ერთი პრინციპული განსხვავებით — ვარშავა უნდა შესულიყო გერმანიის გავლენის სფეროში. საკითხი, იქნებოდა თუ არა პოლონეთი გარეგნულად მაინც დამოუკიდებელი, თუ გერმანია და სსრკ, უბრალოდ, მოახდენდნენ დაპყრობილი ტერიტორიების ანექსიას, ღიად რჩებოდა. რაც შეეხება ბალტიის სახელმწიფოებს, **რიბენტროპმა განაცხადა, რომ ფინეთი და ესტონეთი უნდა შესულიყვნენ რუსეთის გავლენის სფეროში (ეს სტალინს აძლევდა ლენინგრადის ირგვლივ დიდი ხნის ნანატრ ბუფერულ ზონას), ლიტვა გადაეცემოდა გერმანიას, ხოლო ლატვიას გაიყოფდნენ. როცა სტალინმა მთელი ლატვია მოითხოვა, რიბენტროპმა წერილი გაუგზავნა ჰიტლერს და მანაც დათმო ზუსტად ისე, როგორც დათმო ბესარაბია, რომლის წართმევაც, სსრკ-ს რუმინეთისთვის უნდოდა.** აღელვებული რიბენტროპი დაბრუნდა ბერლინში, სადაც მას ეიფორიის მდგომარეობაში შეხვდა ჰიტლერი. სტალინისადმი ჰიტლერის პირველი წერილის გაგზავნის მომენტიდან დიპლომატიური რევოლუციის დასრულებამდე სამი დღე გავიდა. მოგვიანებით, როგორც ყოველთვის, წინა რიცხვით დაიწყო იმის გამოვლენა, ვინ იყო პასუხისმგებელი მოვლენების ასეთ შოკისმომგვრელ განვითარებაზე. ზოგიერთი დიდ ბრიტანეთს ადანაშაულებდა მოლაპარაკებათა ქედმაღლური სტილის გამო. ისტორიკოსმა **ალან ჯონ პერსივალ ტეილორმა** გვიჩვენა, რომ წერილებისა და დოკუმენტების პროექტების გაცვლისას ბრიტანეთსა და სსრკ-ს შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები უფრო სწრაფად პასუხობდნენ ბრიტანეთის წინადადებებს (რაც მათთვის არ იყო დამახასიათებელი), ვიდრე ბრიტანელები — საბჭოეთისას. **ამ ფაქტიდან ტაილორმა გამოიტანა, ჩემი აზრით, არაკორექტული დასკვნა, რომ კრემლს უფრო მეტად სწყუროდა კავშირი, ვიდრე ლონდონს. ვფიქრობ, რომ სტალინს არ სურდა, დიდი ბრიტანეთი დროზე ადრე გასულიყო თამაშიდან, არ უნდოდა მისი შეშინება, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ საბოლოოდ არ გამომჟღავნდებოდა ჰიტლერის განზრახვა.**

ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა უდავოდ დაუშვა უხეში ფსიქოლოგიური შეცდომები. არა მხოლოდ არც ერთი მინისტრი არ ეწვია მოსკოვს, არამედ ერთობლივი დაგეგმვის შესახებ სამხედრო მოლაპარაკებების დაწყებას აგვისტომდე აჭიანურებდა. თანაც, მოლაპარაკებებში ბრიტანეთის დელეგაციას მეთაურობდა ადმირალი, თუმცა საკითხი, რომელიც სსრკ-ს აინტერესებდა, იყო სახმელეთო ძალები. ამას დაემატა ის, რომ დელეგაცია საბჭოთა კავშირში გაემგზავრა გემით და მგზავრობას ხუთი დღე დასჭირდა... **ბოლოს, მორალური მოსაზრებების მიუხედავად, დიდი ბრიტანეთის თავშეკავება ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის გარანტიის საკითხში საბჭოთა ლიდერის მიერ ახსნილი იყო, როგორც ჰიტლერის მიწვევა, თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს პოლონეთის გვერდის ავლით.**

ბრიტანული დიპლომატიის უხეირო მოქმედებამ განაპირობა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის პაქტის დადება. პრობლემა იყო ის, რომ დიდ ბრიტანეთს არ შეეძლო სტალინის პირობებზე დათანხმება ყველა იმ პრინციპის დათმობით, რომლებსაც იცავდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების მომენტიდან. აზრი არ ჰქონდა ხაზგასმას გერმანიის მიერ პატარა ქვეყნების დაპყრობაზე, თუ, ამასთანავე, პრივილეგიები უნდა შეეთავაზებინათ სსრკ-ისთვის, მოქცეოდა პატარა ქვეყნებს ზუსტად ასე.

ბრიტანეთის უფრო ცინიკური ხელმძღვანელობა ხაზს გაავლებდა საბჭოთა და არა პოლონეთის საზღვარზე, ამით გაცილებით გააუმჯობესებდა დიდი ბრიტანეთის პოზიციებს მოლაპარაკებებში სსრკ-თან და სტალინს აიძულებდა, სერიოზულად ეწარმოებინა მოლაპარაკებები პოლონეთის დაცვაზე მორალური თვალსაზრისით. დემოკრატიული ქვეყნების მიღწევა იყო ის, რომ მათ არ მოისურვეს აგრესიის მორიგი რაუნდის სანქცირება საკუთარი უსაფრთხოების ფასადად კი. „რეალპოლიტიკა“ შეძლებდა პოლონეთისადმი ბრიტანეთის გარანტიის სტრატეგიული შედეგების ანალიზის კარნახს, **ვერსალის მიერ დადგენილი საერთაშორისო წყობა კი დიდი ბრიტანეთისგან მოითხოვდა სამართლებრივი და მორალური პრინციპების დაცვას. სტალინს ჰქონდა სტრატეგია, ხოლო დემოკრატიული ქვეყნები იცავდნენ პრინციპებს სტრატეგიის შემუშავების გარეშე.**

პოლონეთის დაცვა შეუძლებელი იყო „მაჟინოს ხაზში“ საფრანგეთის არმიის ინერტული ყოფნით, მაშინ, როცა საბჭოთა არმია საკუთარ საზღვრებში იქნებოდა ლოდინის რეჟიმში. 1914 წელს ევროპის ერები ომზე წავიდნენ, რადგან სამხედრო და პოლიტიკურმა დაგეგმვამ ერთმანეთთან კავშირი დაკარგა. სანამ გენერალური შტაბები სრულყოფდნენ თავიანთ გეგმებს, პოლიტიკური ლიდერები ან ვერ იგებდნენ მათ, ან არ ჰქონდათ პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, რომლებიც შეეფარდებოდა გათვალისწინებულ სამხედრო ძალისხმევას.

1939 წელს კვლავ გაიმიჯნა პოლიტიკური და სამხედრო გეგმები, მაგრამ ამჯერად სრულიად საპირისპირო მიზეზებით. დასავლეთის ზესახელმწიფოებს ჰქონდათ გონივრული და მორალური პოლიტიკური მიზანი — შეეჩერებინათ ჰიტლერი, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ამ მიზნის შესაფერისი სამხედრო სტრატეგიის შემუშავება. 1914 წლის სტრატეგები თავზეხელაღებულნი იყვნენ, 1939 წელს კი საკმაოდ თავშეკავებულად იქცეოდნენ. 1914 წელს ყველა ქვეყნის სამხედრო ომისკენ ისწრაფვოდა. 1914 წელს იყო სტრატეგია, მაგრამ არ იყო პოლიტიკა, 1939 წელს კი იყო პოლიტიკა, მაგრამ არ არსებობდა სტრატეგია.

1914 წელს რუსეთმა განაპირობა სამხედრო მოქმედებების დაწყება, როცა ურყევად მიემხრო მოკავშირის ვალდებულებების შესრულებას სერბეთის მიმართ და მისდევდა ხისტ გრაფიკს; 1939 წელს, როცა სტალინმა ჰიტლერი გაათავისუფლა შიშისგან ორ ფრონტზე ომის თაობაზე, საბჭოეთის ბელადს უნდა სცოდნოდა, რომ მსოფლიო ომი გარდაუვალი იქნებოდა. 1914 წელს რუსეთი კონფლიქტზე წავიდა, რათა ღირსება დაეცვა. 1939 წელს ის ცდილობდა, თავისი წილი გამოეგლიჯა ჰიტლერის მონაპოვრიდან, მაგრამ **გერმანია ერთნაირად მოქმედებდა ორივე მსოფლიო ომის წინ — მოუთმენლად და არაშორსმჭვრეტელურად. 1914 წელს მან იარაღის ძალას მიმართა მის წინააღმდეგ შექმნილი კავშირის დასაშლელად, 1939 წელს არ სურდა, დალოდებოდა ევროპის უმთავრეს ერად გარდაუვალ გადაქცევას. ეს კი ჰიტლერისგან სრულიად საპირისპირო სტრატეგიას მოითხოვდა. საჭირო იყო გარკვეული დრო, რათა გამყარებულიყო მიუნხენის შემდგომი გეოპოლიტიკური რეალიები.** 1914 წელს გერმანიის იმპერატორის ემოციურმა გაუწონასწორებლობამ და ეროვნული ინტერესების მკაფიო კონცეფციის უქონლობამ გერმანიის იმპერატორს არ მისცა ლოდინის შესაძლებლობა. 1939 წელს კი ნამდვილმა ფსიქოპატმა, რომელიც შეპყრობილი იყო ომის გაჩაღების გადაწყვეტილებით, განზე გასწია ყველა რაციონალური გათვლა.

ორი დამანგრეველი მარცხისა და ტერიტორიის მესამედის დაკარგვის მიუხედავად, რომელიც მას პირველი მსოფლიო ომის წინ ჰქონდა, გერმანია მაინც რჩება ევროპაში ყველაზე ძლიერ და, შესაძლოა, ყველაზე გავლენიან სახელმწიფოდ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, 1939 წელს ის სათანადოდ არ იყო მზად გარადაუვალი ომისთვის. მეორე მსოფლიო ომის ბოლოსკი ის უკვე ითვლებოდა გლობალურ სუპერსახელმწიფოდ. როგორც ეს გააკეთა რიშელიემ XVII საუკუნეში, სტალინმა XX საუკუნეში ისარგებლა ცენტრალური ევროპის დაქსაქსულობით“.

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს მეპაიეთა საკუთრებაში არსებული საერთო მიწის ფართობი 28 მლნ ჰექტარია. ბევრ უკრაინელ ფერმერს არ აქვს სახსრები, გამოყენებული მიწა გამოისყიდოს დაბალ ფასშიც კი, ისინი მიწას ბანკებში ჩადებენ. და უკრაინის ეროვნულ ბანკს ხელს ვერავინ შეუშლის, ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიწა მიჰყიდოს „უკრაინულ" კომპანიას, რომლის უკანაც უცხოელი (დასავლელი) მფლობელები დგანან. როცა ათასობით ფერმერი და მიწის მეპაიე ჩასწვდება ამ ახალი კანონის არსს, ჩატარება დაპირებული რეფერენდუმისა საკითხზე — მიეყიდოს თუ არა მიწა უცხოელებს, გვიან იქნება.**



# ანაკონდას მარყუჟი — უკრაინის მიმართ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნები მკაცრდება

## უკრაინას ვალს მიწის გაყიდვით გაასტუმრებინებენ

**პრეზიდენტ ზელენსკის გუნდის ტიტანური ძალისხმევა, როგორმე მიეღოთ კანონი „ბანკების მუშაობის რეგულირების მექანიზმების სრულყოფისთვის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ", წარმატებით დასრულდა. კანონი მიიღეს 13 მაისს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კატეგორიული მოთხოვნა შესრულებულია. უკრაინის ხელისუფლებას გაუჩნდა იმედი, რომ კიევში დაიწყება დოლარების წვიმა კრედიტების სახით.**



27 მარტს უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა წლის ბოლომდე მიიღებდა 8 მილიარდ დოლარს, მაგრამ თავისი განცხადება 7 აპრილს შეასწორა: კიევს პირველ ტრანშს 1,75-2 მლრდ დოლარის ოდენობით გადაურიცხავენ პარლამენტში კენჭისყრის წარმატებით დასრულებიდან 15 დღის შემდეგო. 8 მაისს უკრაინის ფინანსთა მინისტრმა **სერგეი მარჩენკომ** განაცხადა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება 2020-2021 წლებში „უცვლელი იქნება და ის 5 მლრდ დოლარს შეადგენს". 12 მაისს უკრაინის პრემიერმინისტრმა **დენის შმიგალმა** დააზუსტა, რომ ბანკების შესახებ კანონის მიღების შემდეგ უკრაინა საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიიღებდა 5 მლრდ დოლარს „18 თვის ვადით". **ეს ნიშნავს, რომ კრედიტორებმა დაკარგეს ნდობა უკრაინის მიმართ და გაფართოებული დაფინანსების სამწლიანი პროგრამა მოკლევადიან Stand-by-ით შეცვალეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდს არ სჯერა, რომ უკრაინელი შეგირდები მართებულად განახორციელებენ რეკომენდებულ რეფორმებს, ამიტომ, როგორც ჩანს, მათ დოლარების კაბალაში მოაქცევენ.**

კიევს არ აქვს სანდო ინფორმაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის გეგმებზე და ვერ აცნობიერებს, რომ ფონდის მოთხოვნები მხოლოდ გამკაცრდება. 29 აპრილს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა უკრაინაში — **რონ ვან როდენმა** ქვეყნის ხელისუფლება გააფრთხილა, ხელი არ ეხლოთ ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროსთვის. არადა, უზენაეს რადას სურდა, ცვლილებები შეეტანა ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონში და პოსტიდან გაეთავისუფლებინა მისი ხელმძღვანელი **არტემ სიტნიკი**.

**„ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც შეამცირებს უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობას, განხილული იქნება, როგორც უარი ადრინდელი ვალდებულებების შესრულებაზე და შესწორებებს შეიტანს უკრაინასთან თანამშრომლობის ნებისმიერ პროგრამაში",** — აღნიშნა როდენმა.

ანალიტიკოსი **ვიქტორ სკარშევსკი** ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ 2015 წლიდან უკრაინაში შეიქმნა 6 ანტიკორუფციული ორგანო, რომელთა შესანახადაც 6 წლის განმავლობაში დაიხარჯა 10,7 მლრდ გრივნა (400 მლნ დოლარი), მაგრამ კორუფცია არ შემცირებულა. „ვფიქრობ, უკრაინის მოქალაქეებს ძალიან ძვირი უჯდებათ ეს ანტიკორუფციული ცირკი", — ამბობს სკარშევსკი.

კანონ „ანტიკოლომოისკის" კენჭისყრის წინ რადაში მივიდა ზელენსკი (ნიღბით, მაგრამ უჰალსტუხოდ) და დეპუტატებს მოუწოდა, მხარი დაეჭირათ კანონპროექტისთვის, „რომელმაც უნდა დაიცვას უკრაინის ეკონომიკა". ოპოზიციამ, პარტია „ბატკოვშჩინას" წარმომადგენელთა სახით, საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. **იულია ტიმოშენკომ** განაცხადა, რომ კანონს არანაირი კავშირი არ აქვს კოლომოისკის „პრივატბანკთან", ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს და კონსტიტუციის 11 მუხლს. **ეს კანონი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს უკრაინის ნაციონალური ბანკის ხელმძღვანელობას, რომელმაც 6 წლის განმავლობაში 105 ბანკი გაანადგურა. მათი მიზანი, ვინც ეს კანონი დაწერა, არის ის, რომ ქვეყანაში დარჩეს მხოლოდ 10-15 ბანკი და უკრაინაში შემოვიდნენ უცხოური (დასავლური) საბანკო დაწესებულებები. პოლიტოლოგ კოსტ ბონდარენკოს თქმით, „ამ კანონს უკრაინის საბანკო სისტემა გაჰყავს უკრაინის სასამართლო სისტემიდან". ასეთი ვითარება, მისი აზრით, უკვე იყო ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში და „უკრაინა ამ სახელმწიფოების რიგებს შეავსებს".**

**ზოგიერთმა უკრაინელმა ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა «კოვიდ 19»-თან ბრძოლის ფარგლებში გადაწყვიტა, სუბსიდიები მიეცა 25 ღარიბი ქვეყნისთვის, რათა «დაეფარა მათი სავალო ვალდებულებები ფონდის წინაშე მომავალი ექვსი თვის განმავლობაში პირველ ეტაპზე». სიაში უკრაინა არ არის. მიზეზი მარტივია — ქვეყანას ვალის გასტუმრება მიწით შეუძლია (მიწის გაყიდვის შესახებ კანონი უკვე მიღებულია)**






ანალოგიური თვალსაზრისი აქვს პოლიტიკის ანალიზისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის დირექტორ **რუსლან ბორტნიკს.** მისი თქმით, „საერთაშორისო სავალუტო ფონდი ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს ამჟამინდელი ეკონომიკური კრიზისი, რათა უკრაინის გენპროკურორ **რუსლან რიაბოშაპკასა** და პრემიერმინისტრ **ალექსეი გონჩარუკის** გადადგომის შემდეგ აღადგინონ დასავლეთის დარღვეული გავლენა უკრაინის პოლიტიკურ და საფინანსო სისტემაზე.

მილიარდერი იგორ კოლომოისკი კანონს უწოდებს „ანტიუკრაინულს და სუვერენიტეტითა და კონსტიტუციით ვაჭრობას 30 ვერცხლისთვის". კოლომოისკის აზრით, უკრაინამ აირჩია „გზა არსაით".

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი მკვეთრად გააკრიტიკა უკრაინის საცხოვრებელი ფონდის კავშირის ხელმძღვანელმა ალექსანდრე სკუბჩენკომ. მან განაცხადა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ არის ხელოვნური სუნთქვის აპარატი, როგორც მას მიიჩნევს ზოგიერთი უკრაინელი პოლიტიკოსი. „უკრაინა ჯანმრთელია, მაგრამ ის იძულებით დააწვინეს ამ აპარატის ქვეშ და, სანამ ჩვენ პალატაში ვართ, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ჩვენი სახლიდან გააქვს ფასეულობები", — განაცხადა სკუბჩენკომ.**

ზოგიერთმა უკრაინელმა ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა „კოვიდ-19"-თან ბრძოლის ფარგლებში გადაწყვიტა, სუბსიდიები მიეცა 25 ღარიბი ქვეყნისთვის, რათა „დაეფარა მათი სავალო ვალდებულებები ფონდის წინაშე მომავალი ექვსი თვის განმავლობაში პირველ ეტაპზე". სიაში უკრაინა არ არის. მიზეზი მარტივია — ქვეყანას ვალის გასტუმრება მიწით შეუძლია (მიწის გაყიდვის შესახებ კანონი უკვე მიღებულია).

**უზენაესი რადას მიერ მიღებულ კანონში ბანკის შესახებ არის მუხლი, რომლის თანახმადაც, თუკი უკრაინის სასამართლო უკანონოდ მიიჩნევს უკრაინის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შესახებ, ეს არ აღადგენს ამ ბანკის სამართლებრივ სტატუსს და არ ითვალისწინებს სამართლებრივ უფლებებს, მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარდა". ეს ნიშნავს, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია, ნებისმიერს წაართვას ბანკი და, თუ სასამართლო შეცდომად ჩათვლის ვერდიქტს, ერთადერთი, რაც შეუძლია ბანკის ყოფილ მფლობელს, ეს არის მოთხოვნა კომპენსაციისა, თანხის, რომელიც კანონში მითითებული არ არის.**

კანონი ბანკებისა და კანონი მიწის გაყიდვის შესახებ ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მიწის შესახებ კანონში მითითებულია: „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დასაკუთრების უფლება აქვთ ბანკებსაც, თუკი მიწა გირაოდ იქნება ჩადებული. ასეთი მიწის ნაკვეთები ბანკებს შეუძლიათ გაასხვისონ 2 წლის განმავლობაში მასზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან".

დღეს მეპაიეთა საკუთრებაში არსებული საერთო მიწის ფართობი 28 მლნ ჰექტარია. ბევრ უკრაინელ ფერმერს არ აქვს სახსრები, გამოყენებული მიწა გამოისყიდოს დაბალ ფასშიც კი, ისინი მიწას ბანკებში ჩადებენ. და უკრაინის ეროვნულ ბანკს ხელს ვერავინ შეუშლის, ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიწა მიჰყიდოს „უკრაინულ" კომპანიას, რომლის უკანაც უცხოელი (დასავლელი) მფლობელები დგანან. როცა ათასობით ფერმერი და მიწის მეპაიე ჩასწვდება ამ ახალი კანონის არსს, ჩატარება დაპირებული რეფერენდუმისა საკითხზე — მიეყიდოს თუ არა მიწა უცხოელებს, გვიან იქნება.

fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S.საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც უკრაინაში არიდებს თავს ქართულ მართლმსაჯულებას და რომლის სიტყვაც არ აღიქმება უკრაინის მთავრობის პოზიციად, საკუთარი პერსონის გასაპიარებლად განაცხადა, რომ უკრაინამ უარი უნდა თქვას საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებზე.**

**„ძალთა ბალანსში ტექტონიკური ძვრები, რომლებიც XXI საუკუნის 2 ათეულ წელს მოხდა, ისეთივე დრამატული იყო, როგორიც ნებისმიერი ტექტონიკური ძვრა, რომელთა მოწმეც იყო აშშ თავისი არსებობის 244 წლის განმავლობაში, — წერს ალისონი, — 1950 წელს აშშ წილი მსოფლიოს მშპ-ში 50% იყო, ის 1991 წელს 25%-მდე შემცირდა, დღეს კი მხოლოდ 13%-ს შეადგენს...“**

ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ გადანაწილდება მსოფლიო

## აშშ ბევრ სატელიტზე იტყვის უარს

**პოპულარულმა გამოცემა Foreign Affairs-მა გამოაქვეყნა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, პრეზიდენტ რეიგანის მთავრობაში თავდაცვის მინისტრის მრჩევლის, პრეზიდენტ კლინტონის პერიოდში თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ამჟამად მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ბელფორის სახელობის ცენტრის დირექტორ გრეჰემ ალისონის სტატია „გავლენის ახალი სფეროები. სხვა მძლავრ სახელმწიფოებთან პლანეტის განაწილებისას“. ამერიკის შეერთებულ შტატებში გრეჰემ ალისონი თანამედროვე პოლიტოლოგიის კლასიკოსად ითვლება.**



გრეჰემ ალისონი



„ამერიკელმა პოლიტიკოსებმა თავის დროზე შეწყვიტეს გავლენის სფეროების აღიარება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს კონცეფცია დაძველდა. ადრე სრულიად მსოფლიო დე ფაქტო შედიოდა აშშ-ის გავლენის სფეროში. ახლა ეს ჰეგემონია ქრება და ვაშინგტონი გამოფხიზლდა... ძალთა ბალანსში ტექტონიკური ძვრები, რომლებიც XXI საუკუნის 2 ათეულ წელს მოხდა, ისეთივე დრამატული იყო, როგორიც ნებისმიერი ტექტონიკური ძვრა, რომელთა მოწმეც იყო აშშ თავისი არსებობის 244 წლის განმავლობაში, — წერს ალისონი, — 1950 წელს აშშ წილი მსოფლიოს მშპ-ში 50% იყო, ის 1991 წელს 25%-მდე შემცირდა, დღეს კი მხოლოდ 13%-ს შეადგენს...“

პენტაგონის ყოფილი მაღალჩინოსნის შეშფოთების მთავარი საგანი **ჩინეთია.** ალისონი წერს: „ჩინეთს შეუძლია 1,3 ტრილიონი დოლარის ინვესტიციები ჩადოს ევრაზიის დიდი ნაწილის (რომლის ცენტრშიც არის) ინფრასტრუქტურაში... **ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში ჩინეთის მშპ-მ მკვეთრად მოიმატა: აშშ-ის 1991 წლის დონის 20%-დან 120%-მდე... ჩინეთში აშშ-ზე 4-ჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს. და, თუ ჩინელი მუშების შრომის ნაყოფიერება ისეთივე იქნება, როგორიც დღეს არის პორტუგალიელი მუშების (დაახლოებით 1,5-ჯერ ნაკლები ამერიკელი მუშების შრომისნაყოფიერებაზე), მაშინ ჩინეთის მშპ აშშ-ის მშპ-სთან შედარებით 2-ჯერ მოიმატებს“.**

ალისონი ხაზს უსვამს, რომ ჩინეთი სწრაფად ყალიბდება აშშ-ის თანაბარუფლებიან კონკურენტად მოწინავე ტექნოლოგიების სფეროში. **„საინფორმაციო ტექნოლოგიების 20 უდიდესი კომპანიიდან 9 ჩინურია. ჩინური კომპანიები ლიდერობენ გამოყენებითი ხელოვნური ინტელექტის ბევრ სფეროში, მათ შორის, თვალთვალის სისტემების, სახეებისა და ხმის ამოცნობის, აგრეთვე, საფინანსო ტექნოლოგიებში“.**

მნიშვნელოვნად მოიმატა ჩინეთის სამხედრო ხარჯებმა და სამხედრო პოტენციალმა. **მეოთხედი საუკუნის წინათ, ალისონის მონაცემებით, ჩინეთის თავდაცვის ბიუჯეტი აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის 1/25 ნაწილის ტოლი იყო, ამჟამად კი ის მესამედს შეადგენს და მალე გაუთანაბრდება აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტს. 2019 წელს გამოქვეყნდა ცოტა ხნით ადრე გამართული გასაიდუმლოებული სამხედრო თამაშების შედეგები, რომელთა მიხედვითაც გამოიტანეს დასკვნა: „როდესაც ჩვენ (ამერიკა) ვებრძვით რუსეთსა და ჩინეთს, „ლურჯებისგან“ (ამერიკის შეერთებულ შტატებს) ქვას ქვაზე არ ტოვებენ“.**

ალისონი რუსეთზე წერს: „რაც უნდა სურდეს **ვლადიმერ პუტინს**, რუსეთი ველარასოდეს იქნება ის საბჭოთა კავშირი, რომელშიც მისი მამა ცხოვრობდა. როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ამის შედეგად წარმოქმნილი რუსული სახელმწიფო იმ მშპ-სა და მოსახლეობის ნახევრით დარჩა, რომელიც სსრკ-ს ჰქონდა, მისი საზღვრები კი **ეკატერინე II**-ისდროინდელ საზღვრებს დაუბრუნდა. ამის მიუხედავად, **რუსეთი ბირთვული იარაღის მქონე ზესახელმწიფოა, რომლის არსენალიც ფუნქციურად ეკვივალენტურია აშშ-ის არსენალის. რუსეთს აქვს სამხედრო მრეწველობა, ამზადებს იარაღს, რომელსაც თითქმის მთელი მსოფლიო ყიდულობს... ის გაწთქმულია თავისი შეიარაღებული ძალებით, რომელსაც შეუძლია, იბრძოლოს და გაიმარჯვოს... სამხედრო სიმამაცე დღეს რუსეთის მთავარი უპირატესობაა“.**

**«რუსეთი ბირთვული იარაღის მქონე ზესახელმწიფოა, რომლის არსენალიც ფუნქციურად ეკვივალენტურია აშშ-ის არსენალის. რუსეთს აქვს სამხედრო მრეწველობა, ამზადებს იარაღს, რომელსაც თითქმის მთელი მსოფლიო ყიდულობს... ის განთქმულია თავისი შეიარაღებული ძალებით, რომელსაც შეუძლია, იბრძოლოს და გაიმარჯვოს... სამხედრო სიმამაცე დღეს რუსეთის მთავარი უპირატესობაა»**



ალისონი მოუწოდებს ამერიკის სამხედრო-პოლიტიკურ ელიტას, აღიაროს:

**„ჩინეთისა და რუსეთის ძლიერების ზრდა აშშ-ის ძლიერებასთან შედარებით, არაკეთილსასურველია... უკრაინას მოუწევს, შეეგუოს ყირიმის დაკარგვას, ამასთანავე, რუსეთის „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნები განიმსჭვალებიან კრემლის მიმართ შიშით და მის მიმართ მეტ პატივისცემას გამოამჟღავნებენ. ბევრი ქვეყნისა და ადამიანებისთვის... რომლებმაც თავშესაფარი ნახეს უსაფრთხოების ამერიკული ქოლგის ქვეშ და აღტაცებულნი არიან მსოფლიო წესრიგის ამერიკული კონცეფციით... შედეგები იქნება კატასტროფული...** როდესაც 2010 წლის ბოლოსა და 2011 წელს დაიწყო „არაბული გაზაფხული“, **ობამამ** განაცხადა, რომ სირიის ლიდერი **ბაშარ ასადი** „უნდა წავიდეს“, მაგრამ პუტინი სხვაგვარად ფიქრობდა. მან ყველას დაანახვა, რომ ქვეყანას, რომელიც ობამამ ჩამოწერა და „რეგიონულ სახელმწიფომდე“ დაიყვანა, შეუძლია, თავისი შეიარაღებული ძალები გამოიყენოს, მიიღოს აშშ-ის გამოწვევა და დაეხმაროს სირიის ლიდერს, გაწიმტკიცოს ძალაუფლება“.

**«თითოეული მოკავშირე — «პალესტინიდან ფილიპინებამდე, ტაილანდიდან ლატვიამდე და საუდის არაბეთიდან თურქეთამდე» — შესწავლილი უნდა იქნას იმ თვალსაზრისით, რას აკეთებს ის აშშ-ის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ასამაღლებლად, რა რისკები და ნეგატიური მხარეები აქვს ამას. «კავშირი მუდმივი არ არის»**



რას სთავაზობს გრეჰემ ალისონი აშშ-ის ხელისუფლებას იმ ვითარებაში, რომელსაც ასე აფასებს?

**„ვაშინგტონს დასჭირდება პარტნიორები, მაგრამ ისეთი პარტნიორები, რომლებსაც მეტი სარგებელი მოაქვთ, ვიდრე რისკები“. მისი აზრით, ამ კრიტერიუმს აშშ-ის დღევანდელი მოკავშირეებიდან ძალიან ცოტა აკმაყოფილებს, ამიტომ აშშ-მა უნდა გადახედოს ალიანსების სისტემას „საჭიროებისა და ხარჯების“ გათვალისწინებით:** თითოეული მოკავშირე — „პალესტინიდან ფილიპინებამდე, ტაილანდიდან ლატვიამდე და საუდის არაბეთიდან თურქეთამდე“ — შესწავლილი უნდა იქნას იმ თვალსაზრისით, რას აკეთებს ის აშშ-ის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ასამაღლებლად, რა რისკები და ნეგატიური მხარეები აქვს ამას. „კავშირი მუდმივი არ არის“.

**ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი ანალიტიკოსის ფიქრები მიმართულია ამერიკის მიერ მოკავშირეების შეცვლის შესაძლებლობისკენ.** ალისონი არ ჩქარობს განზრახვის ბოლომდე გამჟღავნებას, მაგრამ აღნიშნავს, რომ „აშშ უარს იტყვის ზოგიერთ მოკავშირეზე, მოიმატებს მათი რაოდენობა, ვისი სარგებელიც ისევე მნიშვნელოვანია აშშ-ისთვის, როგორც აშშ-ისგან სარგებელი მათთვის, და რადიკალურად გადაიხედება თითოეულის ვალდებულება“...

უნდა აღინიშნოს, რომ **ამერიკული ერთპოლუსიანი მსოფლიოს ნგრევა ამ სტატიამდე კარგა ხნით ადრეც ნათლად ჩანდა, მაგრამ ერთპოლუსიანობის სტრუქტურების ნგრევა არ ნიშნავს აშშ-ის უარს მსოფლიო ჰეგემონობაზე.**

Foreing Affairs-ში გრეჰემ ალისონის გამოსვლა კი აღსანიშნავია იმით, რომ ის აჩვენებს: ამერიკული სამხედროსტრატეგიული აზრი განაგრძობს მუშაობას გავლენის სფეროების კატეგორიით, გამოდის იქიდან, რომ აუცილებელია „პლანეტის გადანაწილება“ და ყურადღებას ამახვილებს ძალების სამკუთხედზე — აშშ-ჩინეთი-რუსეთი. სწორედ ამ სამკუთხედის გარშემოა აგებული აშშ-ის თანამედროვე გეოსტრატეგია.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

ოცდამეხუთე გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თავის დროზე გაბედულად ლაპარაკობდა ნაცისტი დამნაშავე ჰენრიხ ჰიმლერი, რომელიც მიიჩნევდა, რომ დამონებული ხალხებისთვის განათლების მიღება სრულიად ზედმეტია. მას ეთანხმებოდა მეორე ბოროტმოქმედი მარტინ ბორმანი. იგი წერდა: „სლავები ჩვენთვის უნდა შრომობდნენ. დანარჩენები, ვინც არ დაგვიჭირდება, შეიძლება ამოწყდნენ. განათლება საშიშია. მათთვის ასამდე დათვლის ცოდნაც საკმარისია. საუკეთესო შემთხვევაში მისაღებია ისეთი განათლება, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო მარიონეტებს მოგვიმზადებს“.

# რობოტების საზოგადოება თუ ქართველი ერი?

## ბილ გეიტსის კაცთმოძულეობის კიდევ ერთი პროექტი, რომელიც შეიძლება ჩვენთანაც განხორციელდეს

**„საქართველო და მსოფლიოს“ წლევანდელ მე-15 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ბილ გეიტსი ვაქცინებს ადამიანის უნაყოფობისა და მათი გამრავლების უნარის მოსასპობად ქმნის“ საფუძვლიანად იყო გაანალიზებული ამერიკის ელიტის მზაკვრული ჩანაფიქრი, რომელიც მსოფლიოზე აშშ-ის ბატონობის პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელია. წერილმა მკითხველების ცხოველი ინტერესი გამოიწვია: წაკითხვა — 43 304, მოწონება — 9 900-ზე მეტი. დღეს ვაგრძელებთ საუბარს ამ თემაზე და განვიხილავთ მილიარდერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული კაცთმოძულე პროგრამის კიდევ ერთ მხარეს, რომელიც გლობალური მასშტაბით ადამიანებით მანიპულირებისთვისაა შექმნილი და ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე სავაალდებულო ვაქცინაციით უნდა დამკვიდრდეს და განვითარდეს.**

1990-იანი წლების დასაწყისში პოსტსაბჭოთა სივრცეში ადამიანების ცნობიერებაზე მასირებული შეტევა რომ დაიწყო, ცნობილია. ისიც ვიცით, რომ დასავლური თარგით გამოჭრილი ჩვენი ისტორიის შაბლონური მოდელი გარკვეული წარმატებით ინერგებოდა ხალხის აზროვნებაში.

„ახალგაზრდა რეფორმატორები“ აქტიურობდნენ მაშინ განსაკუთრებით.

მაგრამ უახლესი ისტორიის მომდევნო ეტაპზე აღმოჩნდა, რომ ის პროპაგანდისტული მეთოდები გაცვდა და ეფექტიანობა დაკარგა.

დაიწყეს ახალი გზებისა და საშუალებების ძებნა.

**ათი წლის წინათ აშშ-ის პრესტიჟულ ჟურნალ „გარდიანში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელიც გვაცნობებდა, რომ 2010 წელს ბილ გეიტსმა ჩამოაყალიბა „კარგი კლუბი“, რომელშიც გაერთიანდნენ ამერიკელი მილიარდერები: დევიდ როკფელერი, უორენ ბაფეტი, მაიკლ ბლუმბერგი, ჯორჯ სოროსი და სხვები. რა მიზანს ისახავდა ეს კლუბი და პლანეტის რომელი პრობლემის გადაწყვეტა ჰქონდა განზრახული? — რა თქმა უნდა, დედამიწის ჭარბი მოსახლეობის „ნორმალურ ოდენობამდე“ შემცირება.**

როგორ და რომელი მიმართულებით?

**უპირველესად, ნახშირორჟანგის რაოდენობის შემცირებით, რომელსაც ადამიანები ამოისუნთქავენ. გეიტსმა ასე განსაჯა: ყოველწლიურად გამოიფრქვევა $CO_2$-ის უზარმაზარი რაოდენობა — 26 მილიარდ ტონაზე მეტი. ამ საერთო რაოდენობიდან თითოეულ ამერიკელზე მოდის 20 ტონაზე მეტი, ღარიბი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეზე — ერთ ტონაზე ნაკლები, პლანეტის თითოეულ მოსახლეზე — საშუალოდ 5 ტონა.**

ამ კატასტროფული მონაცემების ნულამდე დაყვანის უპირველეს საშუალებად „ფილანტროპი“ და „კაცობრიობის მომავალზე მზრუნველი“ მილიარდერი მოსახლეობის რაოდენობის ერთ მილიარდამდე შემცირებას მიიჩნევს, რისთვისაც დედამიწაზე მცხოვრებთა საყოველთაო ვაქცინაცია განუზრახავს.

ეს საკითხი გამოწვლილვით არის განხილული ჩვენი გაზეთის ზემოთ დასახელებულ მიმოხილვაში.

**ინდოელი ექიმი შივა აითურაი ამბობს, რომ ის, რასაც გეიტსი და მისი ფონდი გვთავაზობს, იძულებითი მედიცინაა.**

**„შეხედეთ მის პარტნიორებს — ჰილარი კლინტონს, მარკ ცუკერბერგს, მსხვილ ფარმაცევტულ კონცერნებს... ეს ის წრეა, რომელშიც იგი ტრიალებს. ამ ადამიანებს სურთ იძულებითი მედიცინის დანერგვა, რომელიც წელიწადში 7 ტრილიონი დოლარის ბრუნვის შესაძლებლობას ქმნის ფარმაცევტულ ინდუსტრიაში“,** — განაცხადა მან.

მიაქციეთ ყურადღება: იძულებითი მედიცინა ჩვენთვის კარგად ნაცნობი აცრები კი არ არის, არამედ ადამიანების ე.წ. ჩიპიზაციაა, ადამიანის სხეულში ჩანერგილი მიკროსქემები, რომლებიც დოკუმენტირებული ფაქტის სახით და მინიშნებული ბიბლიურობის ელფერით წარმოგვიდგება.

**ამ სიახლეს ოფიციალურად ადასტურებს პატენტი კოდური ნომრით WO 2020 060606, რომელიც 2020 წლის მარტში დარეგისტრირდა, პატენტის მისაღებად განაცხადი ბილ გეიტსის კომპანიამ შეიტანა, ხოლო 2020 წლის 22 აპრილს (ვლადიმერ ლენინის დაბადების 150 წლისთავზე) აღნიშნულ დოკუმენტს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა სახელწოდებით „კრიპტოვალუტის სისტემა, რომელიც სხეულის აქტივობის მონაცემებს გამოიყენებს“.**

**პატენტის ნომრის — 060606-ის მსგავსება მოციქულ იოანეს გამოცხადებაში ნახსენებ მხეცის ნიშან 666-თან შემთხვევითობაა?** აპოკალიფსის ჟამს მიწიდან ამომავალი მხეცის ხილვა, რომელიც აცდუნებდა დედამიწის მკვიდრთ სულის მისაცემად მხეცის ხატებისთვის, რათა „არავის შეძლებოდა ყიდვა-გაყიდვა, იმათ გარდა, ვისაც ექნებოდა ნიშანი — მხეცის სახელი ან მისი სახელის რიცხვი.

აქ არის სიბრძნე: **„ვისაც გაგება აქვს, გამოითვალოს მხეცის რიცხვი, რადგან რიცხვი ადამიანისაა და მისი რიცხვია ექვსას სამოცდაექვსი“** *(გამოცხ. 13, 11-18).*

რას წარმოადგენს გამოგონება, რომლის დაპატენტება გადაწყვიტეს „მაიკროსოფტის“ კომპანიის მფლობელებმა?



სიკვდილის ფორმულა

**ათი წლის წინათ აშშ-ის პრესტიჟულ ჟურნალ «გარდიანში» გამოქვეყნდა წერილი, რომელიც გვაცნობებდა, რომ 2010 წელს ბილ გეიტსმა ჩამოაყალიბა «კარგი კლუბი», რომელშიც გაერთიანდნენ ამერიკელი მილიარდერები: დევიდ როკფელერი, უორენ ბაფეტი, მაიკლ ბლუმბერგი, ჯორჯ სოროსი და სხვები. რა მიზანს ისახავდა ეს კლუბი და პლანეტის რომელი პრობლემის გადაწყვეტა ჰქონდა განზრახული? — რა თქმა უნდა, დედამიწის ჭარბი მოსახლეობის «ნორმალურ ოდენობამდე» შემცირება**

**პატენტის რეზიუმეში, ადამიანურ ენაზე თუ გადმოვთარგმნით, მითითებულია, რომ ყველაფერი იწყება ადამიანის სხეულში „ჩიპის“ ჩანერგვით, რომელიც მაკონტროლებელი ორგანოს როლს ასრულებს, აღრიცხავს ადამიანის ყოველდღიურ აქტივობას რაღაც კრიპტოვალუტისთვის: თუ დათქმულ პირობებს შეასრულებს, ადამიანი მიიღებს გარკვეულ ბონუსებს, რომლებსაც სურვილისამებრ დახარჯავს.**

ვისი პირობების შესრულება იგულისხმება?

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანი კრიპტობონუსებზე ყიდის თავის პიროვნებას, საკუთარ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ანუ მათ, ვინც ამ „ჩიპებს“ მართავს, შეუძლიათ გვაიძულონ, ვაკეთოთ ის, რაც სურს, რისთვისაც კრიპტოფულს გვიხდიან... და ამ ყველაფრის სანაცვლოდ ჩვენ ვხდებით ელიტა, ოღონდ მიწაზე, აქ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

**მეფისტოფელისა და ფაუსტის შეთანხმებასავითაა, როცა აღფრთოვანებული დოქტორი ფაუსტი შესძახებს სატანას: „მომეცი ხელი! თუ წამს მომავალს როდესმე ვეტყვი: „შეყოვნდი, წამო, ხარ მშვენიერი!“ დამდო ბორკილი და მეც შენს ფერხთით ჩამასვე ჟანგი ქვესკნელიერი!“.**

შეიძლება კი თავი არ გავყოთ ამ ყულფში? რასაკვირველია, შეგვიძლია — თავისუფალი ადამიანები ვართ! მაგრამ ასე ვერ მოვიქცევით, არც მოვისურვებთ, რადგან თუ „დავამსხვრევთ ბორკილებს“, მაშინ არც უნივერსიტეტში მიგვიღებენ, არც დიდ ხელფასს მოგვცემენ, არც მანქანის მართვის მოწმობას. გაგვრიყავენ, ვითარცა დედამიწაზე მოხეტიალე, უფუნქციოდ დარჩენილ აჰასფერს — ყარიბ ურიას.

**რომელ საერთო მიზანს ემსახურება ეს დაპატენტებული სატანისტობა?** კაცობრიობის რაოდენობის შემცირებას, რომლის სიმრავლე წარმოუდგენლად ბევრ ჟანგბადს, საკვებს, წყალსა და სიცოცხლისთვის სხვა აუცილებელ კრმპონენტებს მოიხმარს, ეს კი კაცობრიობის კასტებად დაყოფას ნიშნავს.

**მილიარდერთა ელიტა, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად იღვწის, ყველაფერზეა წამსვლელი, არაფერს იშურებს, არაფრის ეშინია, რადგან თვითონ დაცულია ჩვენთვის მოპარული ფულით აგებული ციხესიმაგრის ბასტიონებით. კრიზისი არც მათ, არც მათ მონაგარს არ შეხებია.**

რიგითი მოქალაქე, საკუთარ ბინაში იზოლირებული, ინფორმაციას, ანუ ცხოვრების გასაღებს ტელეეკრანიდან ან კომპიუტერიდან იღებს. თანდათან ეჩვევა, რომ გარე სამყაროსთან მისი ურთიერთობის არეალი ციფრული ტექნოლოგიებით არის შემოსაზღვრული.

მაგრამ, თუ პანდემიისას გამოყენებული ეს პრაქტიკა თანდათან პრინციპულად გარდაიქმნება — და კომპიუტერულ განათლებაზე საერთო გადასვლად ჩამოყალიბდება, დავკარგავთ ადამიანებს შორის უშუალო ურთიერთობის ხიბლს. აღმოვჩნდებით კომპიუტერულ სამყაროში, შევიცვლებით შინაგანად, შეგვეშინდება ქუჩაში გამოსვლა, რადგან იქ (ქუჩაში) სხვა ცხოვრებაა, რომელსაც არ ვიცნობთ. ვერ დაველაპარაკებით მასწავლებელს, ლექციის შემდეგ ვერ შევეკამათებით პროფესორს, ვერ გავიცინებთ, ვერ წავიჩურჩურულებთ, ბოლოს და ბოლოს, საიდუმლოდ.

**თანდათან ვუახლოვდებით უმთავრეს პრობლემას: საქმე გვექნება ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ადამიანების ურთიერთობასა და ემოციებზე მაღლა ციფრულ დამოკიდებულებას აყენებენ.**

ხელმძღვანელ წრეებში ასეთი პერსპექტივა არამხოლოდ შესაძლებლად მიაჩნიათ, არამედ დარწმუნებულნი არიან, რომ გარდაუვალია, **„დისტანციური სწავლება ამიერიდან არ დარჩება სარეზერვო მეთოდად, დროებით საშუალებად მხოლოდ განსაკუთრებული ვითარების პირობებში, რომელიც ამჟამადაა ჩამოყალიბებული, რომ პანდემიამ სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების განათლების სისტემას უბიძგა როგორც ტრადიციული, ასევე დისტანციური სწავლების ორგანულად შერწყმისკენ, უბიძგა და მომავალი სწორედ ამ ახალი სისტემისაა. ასეთი ორგანული კავშირი კი მოითხოვს უფრო ზუსტ სამართლებრივ გაფორმებას უახლოეს მომავალში“.**

ანუ — დაკანონებასო.

ეს უკვე კაპიტულაციას ჰგავს იმ შემოთავაზების წინაშე, რომელიც სრულად უგულებელყოფს ადამიანურ ფაქტორს ისეთ ფაქიზსა და რთულ საქმეში, როგორიც ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდაა.

ცნობილია, რომ ამ პოზიციის წინააღმდეგ უცებვე აღიმაღლა ხმა ფართო საზოგადოებამ. რუსეთში 150 ათასამდე ადამიანმა ხელი მოაწერა პეტიციას დისტანციური სწავლების შემოღების წინააღმდეგ.

მიაჩნიათ, რომ **არცთუ შორეულ მომავალში სწავლება ორ სახეობად გაიყოფა: კომპიუტერულ, ანუ იაფ განათლებად, და ადამიანურ განათლებად, რომლის მიღება ძვირი დაჯდება. რაც კარგია და უმჯობესი, ყოველთვის ძვირად ფასობს. ასეთი განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იქნება, ის მხოლოდ რჩეულებისთვის იქნება.**

დანარჩენებმა ისარგებლეთ იმით, რაც თქვენთვის გაიმეტეს!

საიდან ეზრდება ფეხები ამ იდეას? საიდან და როდის აღმოცენდა?

**ჯერ კიდევ 2006 წელს გაეროს აპარ-** ▶

ოცდამეხუთე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გეიტსმა ასე განსაჯა: ყოველწლიურად გამოიფრქვევა $CO_2$-ის უზარმაზარი რაოდენობა — 26 მილიარდ ტონაზე მეტი. ამ საერთო რაოდენობიდან თითოეულ ამერიკელზე მოდის 20 ტონაზე მეტი, ღარიბი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეზე — ერთ ტონაზე ნაკლები, პლანეტის თითოეულ მოსახლეზე — საშუალოდ 5 ტონა.

**◀ატმა დაამტკიცა დოკუმენტი სახელწოდებით „2030-ის დღის წესრიგი“, რომლის მიზანი დედამიწის მოსახლეობის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა იყო. მთელი ეს პროგრამა და, განსაკუთრებით, განათლების კომპონენტი, გამართლებული იყო მსოფლიოში მდგრადი განვითარების აუცილებლობით. ამ უკანასკნელს კი, გაეროს აზრით, შეიძლება ძალიან შეუშალოს ხელი მოჭარბებულმა განათლებამ, რადგან, როგორც წესი, უფრო განათლებული ადამიანები, რომლებსაც უფრო მეტი შემოსავალი აქვთ, უფრო მეტ მარაგს მოიხმარენ, ვიდრე ნაკლებად განათლებული ადამიანები, რომლებიც უფრო ნაკლები შემოსავლით კმაყოფილდებიან.**

ასე წერია 2006 წელს გამოქვეყნებულ გაეროს დოკუმენტში, ანუ რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით მეტი საფრთხე ემუქრება მსოფლიოს მდგრადობას.

ამგვარი თვალსაზრისის თანამედროვე ავტორები **მომავლის ადამიანებს სამ კატეგორიად ყოფენ: პირველი — ადამიანები, რომლებიც მაღალი კრეატიულობით ხასიათდებიან; მეორე კატეგორიის ადამიანებს კარგად აქვთ განვითარებული სისტემური აზროვნება, რაც დიდი იშვიათობაა — შვიდი მილიარდი ადამიანიდან ექვსი მილიარდი განთესილი იქნება; მესამეს განსაზღვრავს კომპეტენცია — შედეგის მიღების უნარი.**

ეს ნიშნავს, რომ 7 მილიარდიდან ისინი, რომლებიც არ შეესაბამებიან სისტემურობის ამგვარ გაგებას, განითესებიან, მათი არყოფნა მდგრადობისთვის მხოლოდ სასარგებლო იქნება.

ახლა კი ციტატა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ გავრცელდა და რომელიც ძალიან ჰგავს ნაცისტურ მსოფლმხედველობას: **„იუდეველთა კაბალა კულტურაში (იუდაიზმის რელიგიურ-მისტიკური და ეზოთერიკული მიმდინარეობა), რომელმაც გზა მისცა მეცნიერების განვითარებას, სამი ათასი წლის განმავლობაში საიდუმლო სწავლებად რჩებოდა, რადგან ადამიანებმა იცოდნენ, რას ნიშნავს მილიონობით ადამიანისთვის თვალის ახელა და მათი თვითკმარ პიროვნებებად ჩამოყალიბება. როგორც კი ყველა ადამიანი მიხვდება რა არის მათი „მე“-ს საფუძველი, მათი მართვა, ანუ მანიპულირება, უალრესად გართულდება“.**

ამის შესახებ თავის დროზე გაბედულად ლაპარაკობდა **ჰენრიხ ჰიმლერი,** რომელიც მიიჩნევდა, რომ დამონებული ხალხებისთვის განათლების მიღება სრულიად ზედმეტია. მას ეთანხმებოდა **მარტინ ბორმანი.** იგი წერდა: „სლავები ჩვენთვის უნდა შრომობდნენ. დანარჩენები, ვინც არ დაგვიჭირდება, შეიძლება ამოწყდნენ. განათლება საშიშია. მათთვის ასამდე დათვლის ცოდნაც საკმარისია. საუკეთესო შემთხვევაში მისაღებია ისეთი განათლება, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო მარიონეტებს მოგვიმზადებს“.

მავანი, რომელიც 6 მილიარდი ადამიანის განთესვაზე ლაპარაკობს, საკუთარ თავს იმ 6 მილიარდს შორის არ წარმოიდგენს და დარჩება ერთადერთ ელიტურ მილიარდში.

რა კავშირშია ეს ყველაფერი ბილ გეიტსთან, „ჩიპიზაციასთან“, მსოფლიო მდგრადობასთან? — ამ შეკითხვას სერიოზული მეცნიერები ასე უპასუხებენ: **ადამიანის შესახებ ყველა მონაცემი ერთ პლატფორმაზე, როგორც ხელისგულზე, ისე დაიდება. ასეთი სისტემის შესაქმნელად აუცილებელია, გქონდეს ძლიერი ციფრული ინფორმაციული ტექნოლოგიები. ამისთვის აუცილებელია, ჩამოაყალიბო გარდაქმნილი აზროვნების მქონე ახალგაზრდების, ანუ ჰუმანიტარული შემადგენლისგან დაცლილი ახალი თაობის ზღვა რაოდენობა, რომელიც მანქანების ალგორითმების კარნახით აზროვნებს, ამიტომ ცდილობენ, რომ დღეიდანვე გადაიყვანონ ჩვენი ბავშვები საბავშვო ბაღიდან, სკოლიდან ციფრულ განათლებაზე.**

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასე აპირებენ სახელმწიფოს შენებასა და განვითარებას, რომელიც მავანის ჯიბეში აღმოჩნდება.

ვის ჯიბეში?

**ისეთი სიტყვების მიღმა, როგორებიცაა გაუმჯობესება, სრულყოფილება, ცხოვრების გაიოლება, გაციფრება, კომფორტი, იმალება ის ყველაფერი, რომლის ხარჯზეც ამ სიკეთეთა მიღებას ვაპირებთ: ვკარგავთ თავისუფლებას, ინდივიდუალობას. ჩვენ გარეშე გადაწყვეტენ, ვინ უნდა ისწავლოს, ვინ — არა. გაგვაცრიან, საყოველთაო „ქასთინგს“ ჩაგვიტარებენ.**

**ვინ იქნებიან ისინი, ვინც ამ ყველაფერს განახორციელებენ?**

## სიახლეს ოფიციალურად ადასტურებს პატენტი კოდური ნომრით WO 2020 060606, რომელიც 2020 წლის მარტში დარეგისტრირდა, პატენტის მისაღებად განაცხადი ბილ გეიტსის კომპანიამ შეიტანა, ხოლო 2020 წლის 22 აპრილს (ვლადიმერ ლენინის დაბადების 150 წლისთავზე) აღნიშნულ დოკუმენტს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა.. პატენტის ნომრის — 060606-ის მსგავსება მოციქულ იოანეს გამოცხადებაში ნახსენებ მხეცის ნიშან 666-თან შემთხვევითობაა?


შიმშილის პერსპექტივა

საინტერესოა, ამ „ჩიპირებულ“ რობოტებს შორის სად მიუჩენენ ადგილს პოეტებს, მხატვრებს, მოაზროვნეებს? ექნებათ კი მათ, საერთოდ, ადგილი ამგვარ საზოგადოებაში?

თუ მოგვცემენ ბონუსებს იმის შესრულებისთვის, რასაც დაგვავალებენ, და მიღებული ანაზღაურებით შეგვეძლება საღეჭი რეზინის ყიდვა?

ადამიანური ცხოვრებისთვის, შემოქმედებისთვის აქ ადგილი არ რჩება.

რა ვუყოთ იმ ისტორიას, რომლის დროსაც იყვნენ **რუსთაველი, პუშკინი, ავიცენა, სოკრატე** და ა.შ. და ა.შ.? არც არაფერი! რადგან ის ისტორია არ ყოფილა, მხოლოდ ეს „ნათელი წლები“ არსებობს — **უახლესი ოცდაათი!**

და რაც მთავარია: **ისინი, ვინც ეს ყველაფერი მოიგონა, „გუგლისა“ და „ტვიტერის“ შემქმნელები, საკუთარ შვილებს ჭარბი მედიური სივრცისგან იცავენ. სტივ ჯობსის შვილები აიპადებს მხოლოდ ღამღამობით და უქმე დღეებში ხმარობენ. კრის ანდერსენი ასევე უზღუდავს საკუთარ შვილებს გაჯეტების მოხმარებას. „ტვიტერის“ სერვისების შემქმნელის ვაჟიშვილს სმარტფონებითა და პლანშეტებით სარგებლობა დღეში მხოლოდ ერთი საათით შეუძლია. სხვას კიდევ საკუთარ სახლში სმარტფონებისა და გაჯეტებით გართობა უმცროსი შვილებისთვის, საერთოდ, აკრძალული აქვს.**


შიმშილის არქიტექტურა

კიდევ ერთი შემაწუხებელი ეჭვი: ეს პანდემია, ეგებ, გამიზნულად მოგვახვიეს თავს? თუ ორ-სამ წელიწადს ასე გაგრძელდება, მაშინ ყველაფერი დამთავრდება: **კომპიუტერთან სამი წლის ჯდომის შემდეგ მივიღებთ ახალგაზრდობის ახალ სელექციას, ახალ ხალხს, ახალ ქვეყანას. როგორს? დღეს არავინ უწყის, მაგრამ უეჭველად განსხვავებულს.**

ღირს დაფიქრებად, რაც სასარგებლოა საერთოდ.

ყველაფერი იმათ ხელშია, ვინც ქვეყნის ბედს განაგებს, მაგრამ იმას, რასაც ამჟამად გვთავაზობენ, უზარმაზარი ფული უმაგრებს ზურგს, ჩვენი — ხალხის ფული. ეს კი ნიშნავს, რომ გვთავაზობენ საჩუქარს ჩვენი გადაგვარებული აზროვნების სახით ჩვენივე ფულის ხარჯზე.

ამ ვითარებას ბევრი ადამიანი ჩასწვდა, რაც სასიხარულოა, მათ შორის — ხელმძღვანელობაში. ისინი აცხადებენ, რომ ვერაფერი ვერ შეცვლის იმ საუნივერსიტეტო, საინსტიტუტო გარემოს, რომელიც აყალიბებს უმაღლესი კლასის ექიმებს, ინჟინრებს, პედაგოგებს.

ვიფიქროთ, გავაანალიზოთ, გავფრთხილდეთ და — თავს მოუარეთ!

* * *

**განმარტებისთვის: ეს წერილი საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული კინორეჟისორისა და მსახიობის — ნიკიტა მიხალკოვის საავტორო პროგრამა „ბესაგონის“ ბოლო გამოშვების თავისუფალი თარგმანის უმნიშვნელოდ შემცირებული საგაზეთო ვერსიაა.**

**შეძლებს თუ არა დედამიწა მოჭარბებული მოსახლეობის გამოკვებას, პრობლემათა პრობლემაა. მოაზროვნე ადამიანები ეძებენ გამოსავალს, საჯაროდ განსახილველად გამოაქვთ თავიანთი დაკვირვების შედეგები.**

**ეს საინტერესო და ყურადსაღები წერილიც, რომლის წაკითხვის პატივი დაგვდეთ, ამ მიზნით გამოვაქვეყნეთ.**

**არმაზ სანებლიძე**

## ისინი, ვინც ეს ყველაფერი მოიგონა, «გუგლისა» და «ტვიტერის» შემქმნელები, საკუთარ შვილებს ჭარბი მედია სივრცისგან იცავენ. სტივ ჯობსის შვილები აიპადებს მხოლოდ ღამღამობით და უქმე დღეებში ხმარობენ. კრის ანდერსენი ასევე უზღუდავს საკუთარ შვილებს გაჯეტების მოხმარებას. «ტვიტერის» სერვისების შემქმნელის ვაჟიშვილს სმარტფონებითა და პლანშეტებით სარგებლობა დღეში მხოლოდ ერთი საათით შეუძლია. სხვას კიდევ საკუთარ სახლში სმარტფონებისა და გაჯეტებით გართობა უმცროსი შვილებისთვის აკრძალული აქვს

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბოროტს, ტყუილს და ცოდვას-ღა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა და მართალმა ვერ შეძლეს. ამ უნუგეშო ყოფას ხშირად ჩავუფიქრებივართ ჩვენ და ხშირად მოგვწყურებია გამორკვევა მიზეზისა, უფრო იმიტომ, რომ ეს არევ-დარევა აზრებისა, ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისეთის თავმომწონებით არ გათამამებულა, არ გაკადნიერებულა, როგორც ჩვენში“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

„დღეს ჩემ თავზე ვიღებ ამ მძიმე ტვირთს. ვათავისუფლებ საზოგადოების უმრავლესობისთვის ოდიოზურ ფიგურებს და ვათავისუფლებ იმ წარსულისგან ქვეყანას, რომელიც წინსვლაში გვაფერხებს და საფრთხეს უქმნის მომავალს. საქართველოში ჩატარდება სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები და ამას ხელს ვერავინ შეუშლის“, — ასე დაასრულა პრეზიდენტმა 15 მაისის საღამოს გამართული სპეციალური ბრიფინგი.

აი ესა ვართ, რაცა ვართ და არც არაფერი გვეშველება არასდროს! ვისაც ჰგონია, რომ ქალბატონმა სალომემ მართლაც აგვაცილა დიდი საფრთხე და დათმობაზე წასვლით ოპოზიცია საბოლოოდ დაადუმა, შეგახსენებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა მიზეზით ხშირად უწევდა არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის და, ცხადია, დღესაც ასე უნდა მოიქცეს, რადგან „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი“, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწვანე დოლარებზე გაიყიდოს ქვეყანა! დღეს, როდესაც რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებით შანსი გვაქვს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, რატომ ამ საკითხში არ ვიჩენთ გულმოდგინებას, არ მივდივართ „დათმობაზე“, მით უფრო, რომ დედამიწის გულზე, წლებია, არ გამოჩნდა სახელმწიფო, რომელიც რუსეთს ჩვენ გამო აწყენინებს და ნებით თუ ძალით ჩვენთვის ტერიტორიებს დააბრუნებინებს?

არა ერთხელ დაგვიმტკიცეს ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“, ჩალის ფასი რომ გვაქვს მათ თვალში, მაგრამ ვერ დავინახეთ, რადგან თვალებზე ლიბრი გვაქვს გადაკრული, უფრო სწორად, მწვანე დოლარები, რომლებსაც მაშინვე აგვაფარებენ, როგორც კი გაგვიელვებს თავში ქვეყნის სასიკეთო აზრი.

# «ოცნებამ» არჩევნები 15 მაისს წააგო

## როცა «ჭკუა და გული ადამიანისა სხვისის ნასუფრალით იკვებება...»



**«სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ველარავის გაურჩევია, ქვენაგრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა — თავანკარად»**

**ნაციონალები საბოლოოდ გავაჩუმეთო და არჩევნების ჩატარებაში ხელს აღარ შეგვიშლიანო...**

**ნეტარ არიან მორწმუნენი!**

**„ვგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბღერტინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო.** ჩვენ რის ამბის მბობაც გვინდა, დაუჯერებელია. არც თითონ დავიჯერებდით, რომ სანდო კაცისაგან არ იყოს გადმოცემული *(„ვიცინოთ თუ ვიტიროთ?“, 1877 წელი).*

**ჩვენ შემთხვევაში ეს „სანდო კაცი“ ქვეყნის პრეზიდენტია.**

„ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ? აბა, ეს ამბავი შეიძლება რომ სხვაგან სადმე მოხდეს? **...ესე აშკარად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე? ესეთი სასაცილოდ აგდება მთავრობის კეთილ-განკარგულებისა, მთავრობის დაწყობილებისა სადმე გაგონილა?“**

ილია ამას სემინარიის გამგეობისა და განათლების საკითხთან დაკავშირებით წერს, მაგრამ ის, რამაც ჩვენ დიდი მამულიშვილის ეს წერილი გაგვახსენა, არანაკლებ მწვავე და დამაფიქრებელია, რადგან ის, რაც დღეს ხდება ჩვენს ქვეყანაში, აშკარად და ცხადად მიგვანიშნებს, რომ ჩვენ ჩვენი თავი არ „გვეყუდნის“.

**„ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ თუ ვიტიროთ?“**

**თუ ვინმე გვკითხავს, — „ორივეს მიზეზი და საბუთი ხელთა გვაქვს“.**

**დიახ, ოპოზიცია იცინის და სამომავლოდ მზაკვრულ გეგმებს აწყობს, ნირწამხდარი „ოცნება“ კი ისე იქცევა, თითქოს ქალბატონმა პრეზიდენტმა უგულავასა და ოქრუაშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო და „მოჩხუბარ“ პოზიციასა და ოპოზიციას შორის თეთრი მანდილივით ჩააგდო. ისევ ილიას მოვიშველიებ, რადგან ჩვენ შემთხვევაშიც „ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა“, „ბოროტს, ტყუილს და ცოდვას-ღა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა და მართალმა ვერ შეძლეს“:**

„ჩვენ ადრევაც გვითქვამს, რომ ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოეშალა, ან ღერძი გაუბრუნდაო. **სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ველარავის გაურჩევია, ქვენაგრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა — თავანკარად. თითქო ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა. ყველანი ვხედავთ ამას, ყველას თვალ-წინ ათასი ამისი მაგალითი გვიდგა და ყველანი ვიშვნევთ და ვიწყნარებთ ამისათანა ყოფას, თითქო ამითი არავითარი რიგი ურთიერთობისა არ ირღვეოდეს, თითქო ამ არევ-დარევაში, ამ გაურჩევლობაში ვპოულობდეთ მაგარ ტვინს, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენის ბედნიერების ციხესიმაგრე,** თითქო კეთილს, მართალს, მადლს უღონობა შეაჩნდათ, და ამის გამო **ბოროტს, ტყუილს და ცოდვას-ღა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა და მართალმა ვერ შეძლეს.** ამ უნუგეშო ყოფას ხშირად ჩავუფიქრებივართ ჩვენ და ხშირად მოგვწყურებია გამორკვევა მიზეზისა, უფრო იმიტომ, რომ **ეს არევ-დარევა აზრებისა, ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისეთის თავმომწონებით არ გათამამებულა, არ გაკადნიერებულა, როგორც ჩვენში.** ეს ადვილი მისახვედრიც არის: **სულელობას, ოღონდ მეცნიერების სახელით-კი გამოვიდეს მოედანზედ და ლიბერალობა მოეწეროს ქვეშ, არსად იმისთანა უვიცობის ხნული არ დახვდება ფესვის მოსაკიდებლად, როგორც ჩვენში. საცა ჭკუა და გული ადამიანისა დღეს-აქამომდე სხვისის ნასუფრალით იკვებება აუწონ-დაუწონველად.** ჩვენში, გაიგებენ თუ არა ალია მომკვდარაო, იმას აღარ დაეძებენ, მართლა მომკვდარა თუ არა, და თუ მომკვდარა, რომელი ალიაა. საკმაოა, მხოლოდ ყური მოჰკრან ჰოსა თუ არას, და გათავდა საქმე, ყოველს სასაცილობას წამოიყრანტალებენ, გამოუძიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ, რომ ეს უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა, ახალი მიმართულება და უეჭველი ნიშანია ლიბერალობისა. ამის მაგალითებს ბევრი ძებნა არ უნდა“ *(„უარმყოფელობა ჩვენში“, 1888 წელი).*

ცხოვრებამ არა ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ **„ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულოვნებით, ერთგულებით ძლიერია“, მაგრამ „თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა“.**

„ვისს ნათესსა ვმკით?“ — ეს კითხვა, რომელზეც პასუხს დღეს ჩვენც ვეძებთ, ილიამ 1879 წელს დასვა წინასაახალწლო წერილში:

„ადამიანთა ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე სიკეთე დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა, რადგანაც **წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა და დედაა ხვალისა.** მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით. მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო, ნათქვამია. სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი აი ამოდენა ხანია ქვეყანაზედ დავგოგავთ, ამოდენა ხანია ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორესა სცვლის, და ჩვენს ბედს ისე უმუშავნია, რომ არც ერთხელ საბუთი არა გვქონია ან წარსულს ნაღვლით გამოვსალმებოდეთ და ან მომავალს სიხარულით მივგებებოდეთ“.

ჩვენთვისაც **„ამოდენა წელიწადებს გაუვლია“ და „მათგანი ერთი იმისთანა არ შეგვხვედრია, რომ ნუგეშით გაგვეჩერებიოს მასზედ თვალი და მადლიერის გულით გვეთქვას: „იყავ და განგრძელდიო“.**

„ყოველ ახალის წლის მოსვლასაც ბევრჯელ მივგებებივართ რაღაც იმედითა და ნატვრითა, მაგრამ მოსულა, წასულა ახალი და ფუჭად ჩაუტარებია „იგი ნატვრა, იგი იმედი“. **ჟამთა ცვლას ჩვენის ბედის ცვლა არ მოჰყოლია, თითქო დროთა მდინარეობა ჩვენთვის არ არსებობსო, თითქო ყველასათვის მოძრაობსო და მარტო ჩვენთვის კი შემდგარიაო, არც წინ მიდის, არც უკანაო. ამდენმა გაცუდებამ იმედისამ და ნატვრისამ იქამდინ მიგვიყვანა, რომ ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნაღველი გვრჩება წარსულის სიკეთისა და არც ნუგეში მომავალის იმედისა. ამ ყოფამ დაგვიღალა გული, ამოდენმა ტყუილმა ლოდინმა დაგვლია და აი, ამჟამად, როცა დროთა ბრუნვამ ძველსა და ახალის შუა ამართულს ქედზედ დაგვაყენა, საიდამაც წარსულსაც გადავყურებთ და მომავალსაც, — ჩვენ გული არ გვიცემს არც მისთვის, რომ წარსულს გავტიროდეთ, და არც მისთვის, რომ მომავალს შევხაროდეთ. თუმცა ასე აგვიცრუა გული ათასმა მაგალითებმა“** *(„ვისს ნათესსა ვმკით? 1879 წ. 31 დეკემბერი).*

აი ყველაზე „ცხელი“ ამბავი — მაგალითი „იმედისა და ნატვრის გაცუდებისა“: სალომე ზურაბიშვილმა ირაკლი ოქრუაშვილი და გიგი უგულავა შეიწყალა.

„არ ვიწყალებ სხვისი თხოვნით, კარნახით, მუქარით, შიშით, რეკომენდაციით თუ სხვა, და ეს არაერთხელ დავამტკიცე“, — აღნიშნა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და თქვა:

„არ ვიწყალებ ჩემ გარეშე მიღებული შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც არც მონაწილეობა მიმიღია და არც ინფორმირებული ვყოფილვარ, თუმცა არაერთხელ შევთავაზე მხარეებს საპრეზიდენტო პლატფორმის გამოყენება. მიმაჩნია, რომ პოლიტიკური შეცდომაა, დამნაშავეების ბედი პირდაპირ თუ ირიბად, თუნდაც განიხილებოდეს საკონსტიტუციო თუ საარჩევნო შეთანხმების ▶

**არა ერთხელ დაგვიმტკიცეს ჩვენმა «სტრატეგიულმა პარტნიორებმა», ჩალის ფასი რომ გვაქვს მათ თვალში, მაგრამ ვერ დავინახეთ, რადგან თვალებზე ლიბრი გვაქვს გადაკრული, უფრო სწორად, მწვანე დოლარები, რომლებსაც მაშინვე აგვაფარებენ, როგორც კი გაგვიელვებს თავში ქვეყნის სასიკეთო აზრი**

„ვგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბღერტინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო“.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «სარფა და გამორჩომა დღევანდელის დღის მაცხოვრებელი სულიაო». ცხადია, პოზიციაც და ოპოზიციაც გამორჩენას ელიან უცხოელი პატრონებისგან, რომლებიც, ალბათ, ამჯერადაც გამოხრულ ძვალს გადმოუგდებენ მათ და შემდეგ კმაყოფილი უყურებენ სეირს, მის დასაუფლებლად როგორ დააჭამენ ერთმანეთს თავ-პირს განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანები...





◀ ფარგლებში. **ეს შეწყალება არ ეფუძნება ჩვეულებისამებრ ჰუმანურ პრინციპებს ან ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის გამო, შესაძლოა, საერთოდ, ადამიანს შეუმსუბუქდეს ან სრულად გაუუქმდეს სასჯელი.**

ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ **მე ამ გადაწყვეტილებას ვიღებ არა როგორც სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც ყველაზე კარგად იცის ამ ადამიანების რეალური ქმედებები და დანაშაულებები ქვეყნის წინაშე, არამედ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი.** როგორც კონსტიტუცია ამის უფლებას მანიჭებს, მხოლოდ ჩემი პასუხისმგებლობით ვიღებ ამ გადაწყვეტილებას გამომდინარე მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ინტერესებიდან“, — თქვა პრეზიდენტმა.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არ არიან და ის არ ათავისუფლებს პოლიტპატიმრებს. პრეზიდენტის თქმით, მისი შეწყალების აქტი არ ნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიას, ის იწყალებს დამნაშავეებს. პრეზიდენტის აზრით, დამნაშავე პოლიტიკოსი არ ნიშნავს პოლიტპატიმარს.

პრეზიდენტმა ასევე განმარტა, რატომ მიიღო ამ ორი პოლიტიკოსის შეწყალების გადაწყვეტილება:

„დღეს, ქვეყანა, იმის მიუხედავად, რომ ყველას მიერ აღიარებული წარმატებით გაუმკლავდა კრიზისს, ისეთუ დემოკრატიული და სტაბილურია, როგორიც არ ყოფილა დამოუკიდებლობის შემდეგ, დგას მწვავე პოლიტიკური კრიზისის საფრთხის წინაშე. პირდაპირ ვიტყვი: მიღწეულ შეთანხმებაში, რომელსაც მეც მივესალმე, დარჩა გარკვეული ბუნდოვანება, რომლის პასუხისმგებლობა ორივე მხარეზეა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება აყენებდეს საარჩევნო კოდექსისა და კონსტიტუციაში დაგეგმილ ცვლილებებს.

მაშასადამე, საფრთხეს უქმნიდეს ჩვენს ერთ-ერთ მთავარ მიზანს სამართლიანი და მშვიდი არჩევნების ჩატარებას. ოპოზიცია ცდილობს და ეს აშკარაა: არეულობის პროვოცირებას, სიტუაციით მანიპულირებას, ისევ ქუჩაში გადატანას პროცესების და ამით დესტაბილიზაციის პროვოცირებას, თუმცა ამისი ძალა ნაკლებად გააჩნია. მეორეს მხირვ, **ისიც არ ჩანს, რომ „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური ვითარებიდან გამოსვლის და სიტუაციის განმუხტვის ბერკეტი გააჩნდეს.** აქედან გამომდინარე, **ვთვლი, რომ გამოსავლის პოვნა სიტუაციის განმუხტვა და სტაბილურობის შენარჩუნება, ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის შენარჩუნება მე მევალება.**

ამიტომ და სწორედ ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება. **ვერ დავუშვებ, რომ ორი დამნაშავის გამო სიტუაცია გამძაფრდეს. ვერ დავუშვებ ახალ პოლარიზაციას და კიდევ დაპირისპირებას. ვერ დავუშვებ, რომ ამათ გამო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული შეთანხმება არ შესრულდეს.** სხვა შემთხვევაში, ქვეყანა ვერ გაუმკლავდება ვერც კორონავირუსს, ვერც ეკონომიკურ და ვერც სოციალურ გამოწვევებს. ჩვენი სტაბილური, დემოკრატიული და ევროპული მომავალი ამ სასწორზე დგას. ეს მანდატი ჩემი გადაწყვეტილების ერთ-ერთ უმთავრეს გადაწყვეტილებად დარჩება“.

**„სარფა და გამორჩომა დღევანდელის დღის მაცხოვრებელი სულიაო“. ცხადია, პოზიციაც და ოპოზიციაც გამორჩენას ელიან უცხოელი პატრონებისგან, რომლებიც, ალბათ, ამჯერადაც გამოხრულ ძვალს გადმოუგდებს მათ და შემდეგ კმაყოფილი უყურებს სეირს, მის დასაუფლებლად როგორ დააჭამენ ერთმანეთს თავ-პირს განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანები...**

აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ოცნებამ“ არჩევნები 15 მაისს წააგო!

შეგარცხვინათ ღმერთმა!

ამ მასხრად აგდებასა და დაქლიავებას ქართველი საზოგადოება არასდროს დაივიწყებს... ეს იყო სალომეს „პენალტი“ ოპოზიციის კარში!

ამას მოფიქრება არ უნდოდა?!

### მართალი აღმოჩნდნენ ისინი, ვინც გვისაბუთებდა, რომ კოაბიტაცია ისევ ძალაშია — ნაცები და ქოცები ერთად არიან!

ვინც მოისმინა და გააანალიზა პრეზიდენტის საუბარი, მიხვდებოდა, რომ ეს იყო იძულებითი ნაბიჯი და ეს მას **სახეზეც აშკარად ეწერა... ამისთვისაც გმადლობთ, ქალბატონო სალომე!**

ქართველი ხალხი ბრძენია, სუფთა გული აქვს და გულუბრყვილოდ იჯერებს მის სასიკეთო დაპირებებს. შესაძლოა, ამჯერადაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გულწრფელად ირწმუნებს, რომ პრეზიდენტის მიერ ამ ორი დამნაშავის შეწყალებით ქვეყანა აშენდება.

**მაგრამ ჭეშმარიტება ის არის, რომ „კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია“:** „კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. **იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდ-პატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ.** **რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს.** ბუნებითად **კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე. ვერა წესიერად მოწყობილი მოქალაქური ცხოვრება ვერ შეიფერებს ამისთანა უსწორმასწორობას უიმისოდ, რომ თვით ზედ არ გადაეგოს, პირქვე არ დაემხოს და ამიტომაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი იმისთანა განათლებული სახელმწიფო, საცა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე დედააზრად, სათავედ არ ედვას ყოველს კანონმდებლობას, ყოველს რჯულიერებას.** რუსეთის სახელმწიფოშიაც ეს თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე ცხადად გამოთქმულია. განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II განსამართლების რჯულდებამ ეს თანასწორობა მტკიცე საფუძველზედ დააყენა რუსეთის იმპერიაში და აწ არსებული და მომქმედნი კანონები ყველას ერთგვარად და განურჩევლად უქადიან მფარველობას და შემწეობასა. თუმცა რჯულიერება კანონის წინაშე ეგრე გვასწორებს ყველასა, მაგრამ **ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება, რომელსაც ჯერ ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ძველნი ზნენი და წადილნი, ჯერ კიდევ ეურჩება კანონს და დიდი ჰბედავს შებღალვას პატარის უფლებისას მარტო იმ აზრით, რომ მე დიდი ვარ და ის პატარაო. ამ მავნებელის ზნის აყოლა მიეტევება გაუნათლებელს კაცსა, იმისთანა კაცსა, რომელსაც არ ესმის, რომელსაც ჯერ ვერ მიუგნია, რა დიდი მადლია ქვეყნისათვის, კაცთა საზოგადოების ბედნიერად ცხოვრებისათვის თანასწორობა კანონის წინაშე. ხოლო არ მიეტევება მას, ვინც გარეგანის ნიშნებით მაინც საგულისხმოა, რომ სწავლაში ყოფილა, განათლების შუქი ცოტად თუ ბევრად მოჰფენია და თვის საზოგადოებაშიც იმისთანას მდგომარეობა აქვს, რომ მოეთხოვება სამართლიანი მართებული ქცევა ყველგან და ყველას წინაშე, დიდი იქმნება თუ პატარა“.**

## ის, რაც დღეს ხდება ჩვენს ქვეყანაში, აშკარად და ცხადად მიგვანიშნებს, რომ ჩვენ ჩვენი თავი არ «გვეყუდნის»

**მაგრამ „საცა გაგება არ არის, კარგვაა სამართლისაო“. ამასთანავე,** „არის ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა საგანი, რომლის გამოც ჰოც ითქმის და არაცა, რადგანაც საგანი ან გამოძიებული არ არის ჯერ მთლად, ან მეტად რთულია და დახლართული და ჯერ კაცის თვალი ვერ მიმწვდარა მრავალგვარის ხლართის ერთ კრებულად დანახვისათვის. აქ ამისთანა საგანზედ ბევრი საბუთი აქვს კაცს, გააბას საუბარი, თავისიც სთქვას და სხვასაც მისი ათქმევინოს. ხოლო ქვეყნიერობაზედ ბევრი იმისთანა საგნებიც არის, რომელთ ვითარებაც ცხადია, როგორც ორჯერ ორი — ოთხი. აქ საუბარის გაბმა და ერთმანეთთან ლაპარაკი, საგნის ვითარების გადატრიალ-გადმოტრიალება, წაღმა-უკუღმად თრევა და წეწვა, მეტი ბარგია. ამისთანაებზე ლაპარაკი სულგრძელობაა იმის მხრით, ვინც იძულებულია ეჩიჩინოს მეორეს, რომ ორჯერ ორი ოთხიაო, და იმის მხრით-კი, ვინც ამ ჩიჩინისათვის ვისმე იძულებულ ჰყოფს, მეტისმეტი სიბრიყვეა და გონების დახშულობა. მაგრამ რას იზამ, რომ დღე არ გავა, იმისთანა კაცს არ შეხვდე, რომელსაც ბევრი კვერიც რომ ურახუნო თავში, ვერ გააგონებ, ვერ დაანახვებ ორჯერ ორის ოთხობას, შესდგება გაქირ სახედარსავით ერთს უარზედ და, რაც გინდ ბევრი ნიშადური მოსცხო, წინ ბიჯსაც ვერ გადაადგმევინებ, არას ჰოზედ ვერ შეაცვლევინებ. ზოგს ეს გაქირი დაბადებითვე აქვს თითქო დაყოლილი და ზნედ გადაჰქცევია, ზოგმა-კი გაქირი განგებ იცის, იმიტომ რომ სარფაა, გაქირს გამორჩომაც მოსდევს, და **სარფა და გამორჩომა ხომ დღევანდელის დღის მაცხოვრებელი სულია.** ამ უკანასკნელის ჯურის გაქირები მეტისმეტად გამრავლდნენ და ფეხს ისე არ გადასდგამს კაცი ჩვენში, რომ მთელს ამისთანა ჯგუფს არ წამოჰკრას. აბა იმაზედ ცხადი და უცილობელი რა არის, რომ მოსამართლეს მოჩივარის ენა უნდა უსათუოდ ესმოდეს, იმიტომ რომ თავის ყურით გაგონილი, თავის ყურით სმენილი უფრო უტყუარია, უფრო ზედმიწევნილია, უფრო მართალია და, რადგანაც მართალია, უფრო შეუცდომელს საბუთს აძლევს შეუცდომელის განკითხვისა და განაჩენისათვის. მოსამართლე და მოჩივარი, რომელთაც ერთმანეთისა არ ესმით, ერთმანეთის ენა არ იციან, ერთმანეთისათვის მუნჯებიც არიან და ყრუნიცა. ამისთანა მოსამართლე და მოჩივარი ერთმანეთისათვის აღარ არიან და ამათი ერთად შეყრა სწორედ იმასა ჰგავს, რომ მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო. ჩვენში დიდი ხანია ნათქვამი, რომ **„საცა გაგება არ არის, კარგვაა სამართლისაო“.** აბა ჭკვათამყოფელმა კაცმა ამ უბრალოს და მარტივად თქმულს ჭეშმარიტებას საიდამაც ჰნებავს მოუაროს, თუ ერთი იოტის ოდენა იმისთანა რამ უპოვოს, რომ იმ ნაპოვნის მეოხებით ამ ჭეშმარიტებას მცირეოდენი ჩრდილი უარყოფისა ჭკვაზედ ხელაუღებლად მიაყენოს. ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, რომ მთქმელს გამგონი უნდა და კარგი გამგონიცა, და თუ მთქმელს და გამგონს ერთმანეთის ენა არ ესმით, იქ არც თქმაა და არც გაგონება, მაშასადამე არც განკითხვაა და არც სამართალი“ *(„არ გათეთრდება ყორანი“, ტფილისი, 19 იანვარი, 1888 წელი).*

## «კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდ-პატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ»

**„სარფა და გამორჩომა დღევანდელის დღის მაცხოვრებელი სულიაო“. ცხადია, პოზიციაც და ოპოზიციაც გამორჩენას ელიან უცხოელი პატრონებისგან, რომლებიც, ალბათ, ამჯერადაც გამოხრულ ძვალს გადმოუგდებენ მათ და შემდეგ კმაყოფილი უყურებენ სეირს, მის დასაუფლებლად როგორ დააჭამენ ერთმანეთს თავ-პირს განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანები...**

**გაიღვიძეთ, ბატონებო! ილიას გზით მივდივართო, რომ გაიძახით, ეს არ არის ილიას გზა!**

**ილია ამბობს, რომ „ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა, არც გატანილიო“, თქვენ კი...**

**გაიღვიძეთ! „კარგია გაღვიძებული ადამიანი, მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტკინებულსა“.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ამას თუ ბრალდებები აკლდა...

**ლოს-ანჟელესის პროკურატურამ კინოპროდიუსერ ჰარვი ვაინშტაინს სექსუალური ძალადობის ახალი ბრალდებები წაუყენა, — იუწყება პროკურატურის პრესსამსახური.**

ქალმა, რომელიც ჯერ კიდევ 2019 წელს დაჰკითხეს, როგორც მოწმე, განაცხადა, რომ 2010 წლის 11 მაისს ვაინშტაინი ბევერლი-ჰილზის სასტუმროში მას თავს დაესხა.

— გასულ კვირაში მან (ქალმა) გამომძიებლებს წარუდგინა ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდა, რომ თავდასხმა განხორციელდა სარჩელის შეტანის ათწლიანი ვადის ფარგლებში, — დაზუსტებულია პრესრელიზში.

ამ საქმეს გამოიძიებს ლოს-ანჟელესის პროკურატურა და რაიონის უწყება.

შეგახსენებთ, რომ პროდიუსერის წინააღმდეგ სკანდალი დაიწყო 2017 წელს, როცა ჰოლივუდის რამდენიმე მსახიობმა ქალმა ძალადობა დააბრალა. მათ შორის იყვნენ **ანჯელინა ჯოლი, გვინეტ პელტროუ** და **სალმა ჰაიეკი.** სკანდალის ფონზე ვაინშტაინტი დაითხოვეს მისივე საკუთარი კამპანიიდან. ცოლი გაეყარა.

მანჰეტენის სასამართლომ 67 წლის პროდიუსერს ორი ქალის მიმართ სექსუალური ძალადობის ბრალდებით 23 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ამას გარდა, იგი მოკვლით ემუქრებოდა „მეგობრების" ვარსკვლავს — **ჯენიფერ ენისტონს.**



## გერმანიაში მიგრანტი მასწავლებლის გაუპატიურების გამო ციხეში ჩასვეს

**გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გისოსებს მიღმა მოათავსეს ერაყელი მიგრანტ — 33 წლის სალამი გაუპატიურების ბრალდებით. ჰანოვერის სასამართლომ იგი 4,5 წლით ციხეში ჩასვა. იგი 2019 წლის აგვისტოში თავს დაესხა 39 წლის ქალს. ეს ქალი, რომელიც გერმანულს ასწავლიდა ლტოლვილებს, საღამო ხანს შინ ბრუნდებოდა. ტრამვაის გაჩერებაზე მას აეკიდა ორი ერაყელი, მათგან ერთ-ერთი ენის შესწავლის კურსებზე დადიოდა. მიგრანტები ირწმუნებოდნენ, რომ პედაგოგი ნასვამი იყო.**

ტრამვაის გაჩერებაზე ჩამოსულ პედაგოგს ერთ-ერთი მიგრანტი, რომელსაც იგი არ იცნობდა, უკან გაჰყვა.

სასამართლო სხდომაზე აჩვენეს ვიდეო, რომელზეც ჩაწერილი იყო, როგორ ჰკრა ხელი ერაყელმა ქალს, ჩააგდო ბუჩქებში, ჩახადა შარვალი და გააუპატიურა. ამასთანავე, იგი ქალს დანით ემუქრებოდა და აიძულა, ორალური სექსი.

დაზარალებული გონს მხოლოდ კვირის თავზე მოეგო. ნახევარი თვის შემდეგ იგი შემთხვევით ქუჩაში გადაეყარა მოძალადეს, იცნო და თავის მეგობარს სთხოვა, გამოეძახა პოლიცია.

ერაყელი, რა თქმა უნდა, აცხადებდა, რომ სექსი ორმხრივი თანხმობით იყო განხორციელებული და მას დანაშაული არ ჩაუდენია.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## პროფესორ პრეობრაჟენსკის კვალზე

**ამჟამად სხვადასხვა შტატში განლაგებული დაწესებულებები ყველა მსურველს სთავაზობენ პლაზმის ინიექციას, რომელიც ახალგაზრდა დონორებისგან აქვთ მიღებული. ასეთი მომსახურების ღირებულება (თითოეული პროცედურის, რომლებიც სხვადასხვა დაავადებას „კურნავს") ათასობით დოლარი უჯდება პაციენტს", — ხაზგასმულია ზემოთ ნახსენებ განცხადებაში.**

პლაზმა სისხლის თხევადი შემადგენელია, იგი შეიცავს ცილებს, რომლებიც უზრუნველყოფს მის შედედებას. ინიექცია და პლაზმის გადასხმა მართლაც გამოიყენება მედიცინაში — მაგალითად, თირკმლების ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში, როდესაც პაციენტის სისხლში ცილების უკმარისობაა. ასეთი ოპერაციები აშშ-ში ყოველწლიურად 14 მილიონი ტარდება, ანუ ყოველდღიურად დაახლოებით 40 ათასი გადასხმა.



მაგრამ ასეთი გადასხმებით ადამიანის გაახალგაზრდავება ელემენტარული მითია, რომელსაც არავითარი საფუძველი არ აქვს. „არ არსებობს არავითარი კლინიკური გამოკვლევა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ახალგაზრდების პლაზმის ინიექცია დაბერებას აგვარიდებს, შეგვინარჩუნებს მეხსიერების უნარს, მოერევა პარკინსონის დაავადებას, გაფანტულ სკლეროზს, ალცგეიმერის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს ან პოსტრავმულ სტრესულ აშლილობებს", — ხაზგასმით ამბობს რეგულატორი.

„მარტივად რომ ვთქვათ, — გვიხსნის აშშ-ის ჯანდაცვის სამინისტროს საზედამხედველო სააგენტოს კომისარი **სკოტ გოტლიბი**, — გვაშფოთებს ის, რომ არაკეთილსინდისიერი აგენტები ყვლეფენ პაციენტებს, როცა პლაზმის ინიექცირებას გაახალგაზრდავების საშუალებად ასაღებენ".

## შოტლანდიელი პედერასტი მინისტრი მოზარდთან მიმოწერის გამო მოხსნეს

**ლაპარაკია შოტლანდიის ფინანსთა მინისტრ დერეკ მაკეიზე, მას შემდეგ, რაც პრესაში 16 წლის მოზარდთან მისი მიმოწერა გამოქვეყნდა.**



2013 წელს მინისტრმა განაცხადა, რომ მამათმავალია და გაეყარა ცოლს. ახლა კი სექსუალურ სკანდალში გაება. როგორც გაზეთმა The Scottish Sun-მა გაარკვია, მაკეის ნახევარი წლის განმავლობაში მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული „ფეისბუკითა" და „ინსტაგრამით" 16 წლის ყმაწვილთან. პოლიტიკოსმა ბიჭს 300-მდე შეტყობინება გაუგზავნა, უწოდებდა საყვარელს, კომპლიმენტებს არ იშურებდა და სთხოვდა, მათი მიმოწერა საიდუმლოდ შეენახა. ამასთანავე, ყმაწვილს შეხვედრას სთავაზობდა.

**ყმაწვილის დედა:** „ასეთი ადამიანი ბიჭს ამგვარ რამეებზე არ უნდა ელაპარაკებოდეს. აშკარად ჩანს, რომ მას რაღაც სურდა ჩემი ბიჭისგან. ჩემი ვაჟის მეგობრებმა, მისმა გოგომ შეიძლება უთხრან, რომ საყვარელია, მაგრამ არა ამ უცნაურმა ტიპმა".

თავად მაკეიმ განაცხადა, რომ დააშავა, ბოდიშიც მოიხადა ადრესატთან, შემდეგ კი განაცხადა, რომ გადადგებოდა.

**დერეკ მაკეი:** „სულელივით მოვიქეცი და ძალიან ვნანობ... მთავრობაში მუშაობა ჩემთვის უდიდესი პატივი იყო, ვნანობ, რომ ვუღალატე კოლეგებსა და მხარდამჭერებს".

შოტლანდიის მთავრობის ხელმძღვანელმა ქალბატონმა **ნიკოლა სტერჯენმა** მიიღო მინისტრის გადადგომის განცხადება, ხოლო კონსერვატორების პარტიის ლიდერმა **ჯექსონ კარლომ** ექსმინისტრს მოუწოდა, დატოვოს ქვეყნის პარლამენტი.

## ქურდმა 80 წლის დედაბერი გააუპატიურა და ჭიქა ჩაი მოსთხოვა

**32 წლის შოტლანდიელმა ჯონ ლამინგმა აღდგომის წინა დღეს გააუპატიურა 80 წლის ქალი და ამჟამად ელოდება სასამართლოს, რომელმაც უნდა განუსაზღვროს სასჯელი. Mirror-ი იუწყება, რომ ბოროტმოქმედმა „უხეშად გააუპატიურა პენსიონერი ქალი და შემდეგ, ვითომც არაფერი მომხდარა, „ჭიქა ჩაი დამალევინეო", — სთხოვა.**

ქალბატონს ლამინგი თავს დაესხა ციხიდან გათავისუფლების, სულ რაღაც, 12 დღის შემდეგ, როცა ძარცვისთვის სასჯელი მოიხადა. მანამდე ინჟინრად მუშაობდა.

დაზარალებული ქალი დასაძინებლად ემზადებოდა, როცა შუშის გატეხვის ხმა შემოესმა. დიასახლისი საძინებლიდან გამოვიდა და პირისპირ შეეჯახა უცნობ მამაკაცს, მაგრამ არ დაიბნა, ხელი დაავლო ფარდების გადასაწევ რკინის წკეპლას და შეუტია ბოროტმოქმედს. დაუპატიჟებელმა სტუმარმა მოიგერია უმწეო ადამიანის ეს შეტევა.

ქალბატონი არ ნებდებოდა და ენერგიულად აჭერდა თითს განგაშის ღილაკს, რომელიც თურმე გაფუჭებული იყო. ყვიროდა, საშველად იხმობდა მეზობლებს, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. მოძალადეს ეცინებოდა: „შენ რა, მეზობლები არ გყავს?" მსხვერპლის შეკითხვა, — რატომ შეურაცხყოფდა 80 წლის ქალს? — ლამინგმა უპასუხოდ დატოვა.

გაუპატიურების შემდეგ მამაკაცი სავარძელში მოკალათდა და თავსლაფდასხმულ ქალს ერთი ჭიქა ჩაი „დაუკვეთა", თან დაინტერესდა, აქვს თუ არა დიასახლისს ალკოჰოლი. ქალმა უპასუხა, რომ არა, მაგრამ მაცივარში ცოტა წვენი აქვს შენახული. მძარცველმა გამოიღო ქილა და თქვა, რომ ქალის ბინა მის ბინაზე გაცილებით უკეთესია, — განაცხადა ბრალდების მხარემ.

გაშინაურებულმა ლამინგმა სასტუმრო ოთახში მოხვეტა შუშის ნამსხვრევები და ნაგვის ტომრით გაიყოლა. მალევე დაბრუნდა და განმარტა, რომ მობილური მა-



გიდაზე დარჩა.

ქალი მხოლოდ მას შემდეგ მოვიდა გონს, რაც მოძალადე ბოლოს და ბოლოს, წაეთრა. დაურეკა თავის ქალიშვილს და მოუყვა, რაც თავს გადახდა. ამ უკანასკნელმა პოლიციას შეატყობინა.

ლამინგის ვინაობა გამოძიებამ მისი თითების ანაბეჭდებით დაადგინა.

ახლა წინასწარი პატიმრობის საკანში ზის და ელოდება სასამართლოს განაჩენს.

**GERCEK HAYAT-ის ვერსიით, სექტა დენმემ, რომლისგანაც წარმოიშვა FETO, ოსმალეთის იმპერია დაანგრია, ამ სექტის და მისგან შექმნილი ორგანიზაციის წარმომადგენლები ოსმალურ კულტურასა და მუსლიმანურ რელიგიას მტრობენ ისინი არიან მასონები, დაკავშირებული აშშ-ისა და ისრაელის პოლიტიკურ და სადაზვერვო წრეებთან.**

საკანდალო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტერორისტი გიულენი, მისი ხელშემწყობი კონსტანტინოპოლის პატრიარქი და სხვები

**თურქულმა ჟურნალმა Gercek Hayat-მა (გამოსცემს მმართველ პარტია „სამართლიანობასა და განვითარებასთან“ დაახლოებული საგამომცემლო სახლი Yeni Safak-ი) გამოაქვეყნა დიდი მასალა ფეთჰულაჰ გიულენზე — მოძრაობა „ნურჯულარისა“ და ორგანიზცია FETO-ს სულიერ ლიდერზე. FETO თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული. წერილში „ვინ არის ის — მთავარი ტერორისტი ფეთჰულაჰ გიულენი?“ თურქეთში გიულენის უახლოეს დამხმარედ და ხელშემწყობად დასახელებულია კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართოლომეოსი (დიმიტრიოს არჰონდონისი).**

მასალაში ნათქვამია, რომ 2016 წლის ივლისში ბართოლომეოსი დაეხმარა გიულენს, მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება თურქეთის პრეზიდენტ **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** დასამხობად.

Gercek Hayat-მა გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც ბართოლომეოსი და გიულენი ერთად არიან გამოსახული. ბართოლომეოსის გარდა, თურქეთში გიულენის უახლოეს ხელშემწყობად დასახელებულნი არიან თურქეთის მოქმედი მთავარი რაბინი (ჰაკამბაში) **ისააკ ჰალევა;** რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი სომხეთის პატრიარქი კონსტანტინოპოლში **შენორკ გალუსტიანი;** 2005 წელს გარდაცვლილი რომის **პაპი იოანე-პავლე II** და **ჰილარი კლინტონი** — აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ლიდერი, სახელმწიფო მდივანი **ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის პერიოდში.

**გიულენის შესახებ მასალაში შეტანილია თურქული სპეცსამსახურების მიერ მოპოვებული მონაცემები, რომლებიც 176 გვერდს შეადგენს. მასში გამოთქმულია ეჭვი გიულენის თურქული წარმოშობის შესახებ. თურქულ პრესაში პოპულარულია ვერსია, რომ გიულენის ბაბუა თურქეთის ვანის ოლქიდან არის და წარმოშობით სომეხია, რომელმაც ოჯახი შეარცხვინა — ისლამი მიიღო და დასახლდა ერზერუმთან ახლოს სოფელ კორუჯუკში.** სწორედ ამ სოფელში დაიბადა 1941 წელს, ამ სოფლის იმამის ოჯახში, ფეთჰულაჰ გიულენი. მეორე ვერსიით, რომელსაც ავრცელებენ თურქი ჟურნალისტები, გიულენის წინაპრები გათურქებული ებრაელები იყვნენ. ცნობილია, რომ გიულენი და პატრიარქი ბართოლომეოსი მეგობრობდნენ **ელიაჰუ ბაქში-დორონთან** (1941-2020), ისრაელის სეფარდელ რაბინთან 1993-2003 წლებში. გიულენსა და ბართოლომეოსთან ბაქში-დორონს აერთიანებდა დეკლარირებული პოზიცია ეკუმენისტური რელიგიათაშორისი დიალოგის შესახებ და მოწოდება ნებისმიერ ძალადობაზე უარის თქმის შესახებ.

Gercek Hayat-მა ფარული იუდეველების სიაში შეიყვანა ეკუმენიზმის კიდევ ერთი მომხრე იოანე-პავლე II, წარმოშობით პოლონელი. Gercek Hayat-ში გამოქვეყნებული მასალა — ეს არის ნაწილი წერილების ციკლიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ FETO მასონურ-იუდეური ორგანიზაციაა და მას მიმდინარე წელს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდება. FETO-ს ერთ-ერთ ლიდერად დასახელებულია **მუსტაფა ათათურქის** თანამოაზრე და მემკვიდრე პრეზიდენტის პოსტზე, თურქეთის მეორე პრეზიდენტი (1938-1950) **ისმეთ ინენიუ.** მისი ვაჟი **ერდალ ინენიუ** თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო 1990-ინი წლების დასაწყისში, შემდეგ — პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი. ჟურნალის ვერსიით, **ინენიუს ოჯახი ოსმალების პერიოდში მიეკუთვნებოდა სინკრეტულ იუდეველთა სექტა დენმეს, რომლის წარმომადგენლები თავს მუსლიმანებს უწოდებდნენ, მაგრამ ფარულად იუდაიზმს აღიარებდნენ. ისინი, ძირითადად, დასახლებულნი იყვნენ სალონიკში — ბერძნულ ქალაქში.** დენმეს სალონიკელმა წარმომადგენლებმა 1908 წელს მხარი დაუჭირეს თურქეთის რევოლუციას, შევიდნენ თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკის პარტია „ერთობასა და პროგრესში“, სალონიკში კი იყო ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები. **ცნობილია, რომ სექტა დენმეს მიეკუთვნებოდა ნაზიმ ბეი ოსმალეთის იმპერიის მთავრობის წევრი, თურქეთის ხმელთაშუა ზღვიდან წყნარ ოკეანემდე დიდ თურანად გადაქცევის იდეოლოგი, სომხების ხოცვა-ჟლეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი.**

Gercek Hayat-ის ვერსიით, **დენმემ, რომლისგანაც წარმოიშვა FETO, ოსმალეთის იმპერია დაანგრია, ამ სექტისა და მისგან შექმნილი ორგანიზაციის წარმომადგენლები ოსმალურ კულტურასა და მუსლიმანურ რელიგიას მტრობენ. ისინი არიან მასონები, დაკავშირებული აშშ-ისა და ისრაელის პოლიტიკურ და სადაზვერვო წრეებთან.**

თურქმა ჟურნალისტებმა FETO-ს მიაკუთვნეს 1993-2003 წლებში თურქეთის პრეზიდენტი **სულეიმან დემირელი**, 1974-2002 წლებში თურქეთის პრემიერი **ბიულენტ ეჯევითი**, რომლის მემკვიდრეც პრემიერის პოსტზე იყო **აბდულა გიული** პატრიარქ ბართოლომეოსთან დაახლოებული პირი.

Gercek Hayat-ის ვერსიით, თურქეთის არმიასა და დაზვერვაში FETO-ს ინტერესებს ატარებდა **მეჰმეთ ფუატ დოგუ** — თურქეთის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე 1966-1971 წლებში, ნაცისტი დამნაშავე **რეინჰარტ გელენის** მოსწავლე. გელენი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონსულტანტი იყო აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-ის საკითხებში.



ფეთჰულაჰ გიულენი და პატრიარქი ბართოლომეოსი (ცენტრში)



ელიაჰუ ბაქში-დორანი და გიულენი




FETO-ს ქსელი GERCEK HAYAT-ის ვერსიით

**მომზადდა eadayli.com-ის მიხედვით**

# იტალია ევროკავშირიდან გასვლით იმუქრება

**იტალიის პრემიერმინისტრმა ჯუზეპე კონტემ განაცხადა, რომ ქვეყანა დატოვებს ევროკავშირს, თუკი ძალაში შევა ინიციატივა ე.წ. მწვანე დერეფნების შესახებ, — იუწყება „სი-ენ-ენი“.**

ტურიზმის ე.წ. მწვანე დერეფანი გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთ ქვეყანას, რომელშიც კორონავირუსის შემთხვევების დაბალი მაჩვენებელია, შესაძლებლობა ექნება, აღადგინოს ტურიზმი, სანამ მთლიანად გაიხსნება საზღვრები.

**„ჩვენ არ მივიღებთ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირში პრივილეგიური არხების შექმნას ტურისტებისთვის“,** — განაცხადა **კონტემ** და დასძინა: „წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავტოვებთ ევროკავშირს“. იტალიის პრემიერის თქმით, მან უკვე განუცხადა ევროკავშირის პრეზიდენტს, რომ ე.წ. მწვანე დერეფნები ევროკავშირის საერთო ბაზრის განადგურებას ნიშნავს.





ექსპერტთა შეფასებით, კორონავირუსის გამო ტურისტული სეზონის ჩავარდნით გამოწვეული ზარალი იტალიაში წლის ბოლოს 120 მლრდ ევროს მიაღწევს.

**გვერდი მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს მოწყობილობები თვალყურს მიადევნებს ჩვენი სხეულისა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამას გარდა ჩაერევა მონაცემების კორექციაში. მაგალითად, შეუკვეთავს წამალს, თუ აღმოაჩენს, რომ ორგანიზმი გაცივების პირასაა, ან ინსულინის ინიექციას გაუკეთებს ადამიანს, თუ მის სისხლში მოიმატებს შაქრის დონე.

# 7 გამოგონება, რომლებიც შეცვლის მსოფლიოს

მსოფლიო სწრაფად იცვლება. ამ ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი განპირობებულია ტექნოლოგიური სიახლეებით. შესაძლოა, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ნებისმიერი მონოტონური სამუშაო რობოტებმა შეასრულონ. უნდა ვუფრთხოდეთ ამას თუ პირიქით — გვიხაროდეს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დაგეხმარებათ სია ქვემოთ მოყვანილი გამოგონებებისა, რომლებიც ახლო მომავალში შეცვლის მსოფლიოს.



## 1. ვირტუალური რეალობა

წლეულს საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობს ვირტუალური და დამატებითი რეალობის სამყარო. ახლა ფართოდ ვრცელდება ტერმინი Extended realiti (XR), რაც ნიშნავს „გაფართოებულ რეალობას". ამ ტექნოლოგიით გაჩნდება ახალი შესაძლებლობები: მაგალითად, ვიზუალიზაციის მეშვეობით გაუმჯობესდება დაპროექტება, უფრო ეფექტიანი იქნება მოდელირება და სწავლება, აგრეთვე, ტექნიკური მომსახურება.

მაღალი ტექნოლოგიების სამყაროში ყოველთვის არის ადგილი გართობისთვის, ამიტომ ვირტუალური რეალობის განსაკუთრებული მოწყობილობების მქონეთ შეუძლიათ დატკბნენ თამაშებიდან მიღებული შთაბეჭდილებებით.



## 2. 3D-ბეჭდვა

3D-ბეჭდვა — ეს არ არის უახლესი გამოგონება, მაგრამ ძალიან სასარგებლოა. მისი დახმარებით შეიძლება არა მხოლოდ ჭურჭლის დაბეჭდვა, არამედ სახლის აშენება და მაღალხარისხიანი და ზუსტი პროთეზის დამზადება. ტექნოლოგიები ვითარდება, ამიტომ უკვე კარგად ათვისებული გამოგონებისთვისაც კი გამოინახება გამოყენების ახალი ადგილი. 3D-ბეჭდვას ახლა ბიოინჟინერიაში იყენებენ.

მეცნიერთა პროგნოზით, ათწლეულის ბოლოს მოცულობითი ბეჭდვის დახმარებით შეიძლება შეიქმნას ადამიანის არა მხოლოდ ცალკეული ორგანოები, არამედ მთლიანად სხეული.



## 3. ახალი ფიზიკური შესაძლებლობები

ტექნოლოგიების სფეროში კიდევ ერთი ტრენდი ადამიანის შესაძლებლობების გაფართოებაა ტექნიკური გამოგონებების მეშვეობით. ადამიანის სხეულში ჩანერგავენ სპეციალურ იმპლანტანტებს ან მოწყობილობებს, რომელთა მეშვეობითაც ფიზიკური შესაძლებლობები გაუმჯობესდება. ამ სფეროში ყველაზე შთამბეჭდავი გამოგონებაა ე.წ. კოგნიტური აუგმენტაცია, რომლის საშუალებითაც მნიშვნელოვნად მატულობს ადამიანის ტვინის შესაძლებლობების გამოყენების დიაპაზონი.



## 4. ხელოვნური ინტელექტი

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მომავლის საკმაოდ უსიამოვნო ტენდენცია იქნება. მეცნიერთა აზრით, უახლოეს ხანში შეიძლება ძალიან მოიმატოს ინტერნეტსივრცეში დაპირისპირების მასშტაბმა. ჰაკერები, დიდი ხანია, ატარებენ ექსპერიმენტებს ავტომატური ალგორითმების შესაქმნელად, რათა შემდეგ გატეხონ სამთავრობო და კორპორატიული ქსელები. ასეთი ოპერაციების შედეგად გამოწვეული ზარალი ყოველწლიურად სულ უფრო მეტი იქნება.

ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს ყალბი ცნობების გავრცელებაც, მათ შორის, ვიდეო და აუდიომასალების, ამიტომ ინტერნეტში გავრცელებულ ნებისმიერ სენსაციას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.



## 5. ავტონომიური რობოტები

უახლოეს წლებში ელოდებიან, რომ დაიხვეწება ავტონომიური რობოტების ტექნოლოგიები და ეს რობოტები სულ უფრო მეტ როლს ითამაშებენ ადამიანის ცხოვრებაში. ამჟამად ასეთი რობოტები მუშაობენ იმ გარემოში, რომელსაც ადამიანი აკონტროლებს, მაგრამ ეს ტენდენცია მალე შეიცვლება და საზოგადოებრივ სივრცეში გამოჩნდება რობოავტომობილები, აგრეთვე, დიდი ჯგუფი რობოტებისა, რომლებიც ერთობლივად იმოქმედებენ. ექსპერტთა პროგნოზით, ასეთ რობოტებს, უწინარესად, გამოიყენებენ სოფლის მეურნეობასა და მედიცინის სერვისის სფეროებში. ამიტომ შიში იმის შესახებ, რომ რობოტები მალე შეასრულებენ ადამიანის შრომის გარკვეულ ნაწილს, მითი კი არა, რეალობაა.



## 6. მწვანე ინოვაციები

გარემოზე ზრუნვა ყოველწლიურად პრიორიტეტულია. მეცნიერები გამუდმებით მუშაობენ ადამიანის მოღვაწეობის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად და სიცოცხლისთვის აუცილებელი ალტერნატიული რესურსების მოსაძებნად. ნეიროქსელები, ინტერნეტი და მონაცემთა გლობალური ბაზები ადამიანებს დაეხმარება, შეაფასონ მოხმარება, მოთხოვნის დონე, მიმართულებები და მნიშვნელოვნად შეამცირონ ნახშირორჟანგის გამოყოფა ატმოსფეროში, ამასთანავე, შეამცირონ რესურსების ხარჯვა. ელექტრობა, რომელიც განახლებას ექვემდებარება, ახალი მოწყობილობები სახლების სამართავად, სასარგებლო „მწვანე" ჩვეულებების შეძენა უახლოეს ხანში ჩვეულებრივ ამბად იქცევა.



## 7. ჩვენი სხეულების ინტერნეტი

უახლოეს ხანში გამოჩნდება განსაკუთრებული მოწყობილობები, რომლებიც თვალყურს მიადევნებს ჩვენი სხეულისა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამას გარდა, ეს მოწყობილობები ჩაერევა მონაცემების კორექციაში. მაგალითად, შეუკვეთავს წამალს თუ აღმოაჩენს, რომ ორგანიზმი გაცივების პირასაა, ან ინსულინის ინიექციას გაუკეთებს ადამიანს, თუ მის სისხლში მოიმატებს შაქრის დონე.

ხელოვნური ინტელექტიც მალე დაიწყებს ადამიანის გონების კორექციას.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამარჯვების შემთხვევაში თეოფილო სტივენსონი პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. მედლის ერთ მხარეს იყო ფული და დიდება, მეორეზე — კუბაზე დაბრუნება და თანამემამულეების პატივისცემა. ამ ყველაფრის შეთავსება შეუძლებელი იყო, რადგან ფიდელ კასტრომ პროფესიონალური კრივი აკრძალა. თანაც გამოჩენილი სპორტსმენები კუბაზე ხელგაშვერილნი არ იყვნენ, მათზე ზრუნავდა სახელმწიფო — აძლევდა ბინებს, მანქანებს, კარგ ხელფასს. თეოფილო სტივენსონმა ამერიკელთა შეთავაზებას უარით უპასუხა და განაცხადა, რომ მილიონი დოლარი ვერ შეცვლიდა მილიონობით კუბელის სიყვარულს.**

# თეოფილო სტივენსონი — კრივის რაინდი და კუბის გმირი

**სახელგანთქმული კუბელი მოკრივე, ოლიმპიურ თამაშებში 3-გზის გამარჯვებული, 3-გზის მსოფლიო და 2-გზის პანამერიკული თამაშების ჩემპიონი, ველ ბარკერის სახელობის ყველაზე ტექნიკური მოკრივის ტიტულისა (1972 წ.) და ოლიმპიური ორდენის მფლობელი თეოფილო სტივენსონი (სრული სახელი და გვარი — თეოფილო სტივენსონ ლოურენსი) 1952 წლის 29 მარტს დაიბადა კუბის პატარა ქალაქ პუერტო-პადრეში, რომელიც განთქმულია ლერწმის შაქრის წარმოებით. თეოფილო სტივენსონ ლოურენსის მამა თეოფილო სტივენსონ პეტერსონი კარიბის ზღვის აუზის კუნძულ სენტ-ვინსენტიდან გადასახლდა კუბაზე 1923 წელს. თეოფილო-უფროსი, რომელიც ღარიბი მეთევზის ოჯახში დაიბადა, მიზანდასახული და მოხერხებული კაცი იყო. მან შეძლო უცხო ქვეყანაში გამდიდრება, შემდეგ კი ცოლად შეირთო ულამაზესი ქალი — მომავალი ოლიმპიური ჩემპიონის დედა დოლორეს ლოურენსი.**









„მამაჩემი ძლიერი პიროვნება იყო. მუშაობდა ღარიბ ქვეყანაში, მაგრამ მისი წყალობით უზრუნველი ბავშვობა მქონდა. ჩვენს სუფრაზე ყოველთვის იყო ახიაკო (ხორციანი წვნიანი-პიურე — ტრადიციული კუბური კერძი — ნ.კ)“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში თეოფილო-უმცროსმა, რომელსაც მამისგან მემკვიდრეობით ერგო ათლეტური აღნაგობა და კრივის სიყვარული (თეოფილო სტივენსონ პეტერსონი სამოყვარულო კრივით იყო გატაცებული). თეოფილო სტივენსონ-უმცროსი მაღალი და საკმაოდ მსუქანი ბავშვი იყო, როცა 9 წელი შეუსრულდა, მამამ ის მწვრთნელ **ჯონ ერერასთან** მიიყვანა და სთხოვა, ბიჭისთვის კრივის საფუძვლები ესწავლებინა. ვარჯიშები ღია ცის ქვეშ ტარდებოდა.

თეოფილო სტივენსონი-უმცროსი, რომელსაც რინგის რაინდი შეარქვეს, რკინისებრი ნებისყოფით, სიმაღლითა (201 სმ) და ფართო მხრებით გამოირჩეოდა, ბავშვობიდანვე ფლობდა ორ ენას — ესპანურსა და ინგლისურს.

კუბის ხელისუფლების სათავეში **ფიდელ კასტროს** მოსვლის შემდეგ პროფესიონალური კრივი აიკრძალა, როგორც ბურჟუაზიის გადმონაშთი, თუმცა ყველგან იხსნებოდა სპორტული სკოლები, ამასთანავე, ქვეყანაში მიიწვიეს გამოჩენილი სპორტსმენები და მწვრთნელები საბჭოთა კავშირიდან. მათ შორის კრივის ოსტატები — **ანდრეი ჩერვონენკო, ევგენი ოგურენკოვი და ევგენი რომანოვი.**

თეოფილო სტივენსონს წვრთნას ზედამხედველობდნენ **ალსიდეს საგარა**, რომელიც შემდეგ კუბის მთავარი მწვრთნელი იყო კრივში, და საბჭოელი **ანდრეი ჩერვონენკო.** საგარამ მოგვიანებით განაცხადა: **„კუბელები დიდ პატივს სცემენ ანდრეი ჩერვონენკოს, ის ხომ ერთ-ერთი იყო იმ პიროვნებებს შორის, რომლებმაც ჩვენი კრივი ააღორძინეს 1960-1970-იან წლებში. სწორედ მან აღმოაჩინა თეოფილო სტივენსონის ნიჭი, რომელმაც 3-ჯერ გაიმარჯვა ოლიმპიურ თამაშებში. თავისი მივლინების ბოლოს ის ჩემთან მოვიდა და კეთილისმსურველის სიცილით მითხრა: მთავარია, არ გააფუჭო...“**

თეოფილო სტივენსონმა შეძლო ყველა ტიტულის მოპოვება, რომლებიც არის მოყვარულთა კრივის საერთაშორისო ასოციაციის არსენალში (AIBA). აღსანიშნავია, რომ კრივის ისტორიაში მხოლოდ სამმა მოკრივემ შეძლო ოლიმპიურ თამაშებში სამჯერ გამარჯვება. ესენია: უნგრელი **ლასლო პაპი,** კუბელები — **თეოფილო სტივენსონი** და **ფელიქს სავონი.**

სტივენსონმა თავის 20-წლიან კარიერაში 332 ორთაბრძოლა გამართა და მათგან 310-ში გაიმარჯვა. მისი დამარცხება 2-ჯერ შეძლო მხოლოდ რუსმა მოკრივე **იგორ ვისოცკიმ.**

თეოფილო სტივენსონს შეეძლო, მეოთხედაც მოეპოვებინა ოლიმპიური ოქროს მედალი, მაგრამ საბჭოთა კავშირმა და მის კვალდაკვალ კუბამ უარი განაცხადეს 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. აღსანიშნავია, რომ სტივენსონმა 1984 წლის დასაწყისში გაანადგურა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის მომავალი ჩემპიონი **ტაირელ ბიგსი,** შემდეგ კი, 1986 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა.



1972 წელს მიუნხენში გამართულ ოლიმპიადაზე თეოფილო სტივენსონმა ოქროს მედალთან ერთად **ველ ბარკერის** სახელობის თასიც მოიპოვა. ეს თასი გადაეცემა ყველაზე ტექნიკურ მოკრივეს. ამბობენ, რომ მეორე ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემდეგ სტივენსონს ამერიკის შეერთებული შტატებიდან შესთავაზეს, ორთაბრძოლა გაემართა მძიმეწონოსანთა კატეგორიაში იმჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონთან (ლაპარაკია **მოჰამედ ალიზე**).



სხვადასხვა წყარო სხვადასხვა ოდენობის ჰონორარს მიუთითებს. ერთი წერს, რომ ჰონორარი შეადგენდა 1 მლნ დოლარს, მეორე — 2 მლნ-ს, მესამე — 5 მლნ-ს. ასე იყო თუ ისე, ჰონორარის მინიმალური ვარიანტიც კი იმხანად დიდძალი თანხა იყო. **გამარჯვების შემთხვევაში თეოფილო სტივენსონი პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ხდებოდა. მედლის ერთ მხარეს იყო ფული და დიდება, მეორეზე — კუბაზე დაბრუნება და თანამემამულეების პატივისცემა. ამ ყველაფრის შეთავსება შეუძლებელი იყო, რადგან ფიდელ კასტრომ პროფესიონალური კრივი აკრძალა. თანაც გამოჩენილი სპორტსმენები კუბაზე ხელგაშვერილნი არ იყვნენ, მათზე ზრუნავდა სახელმწიფო — აძლევდა ბინებს, მანქანებს, კარგ ხელფასს.**



თეოფილო სტივენსონმა ამერიკელთა შეთავაზებას უარით უპასუხა და განაცხადა, რომ მილიონი დოლარი ვერ შეცვლიდა მილიონობით კუბელის სიყვარულს.

სტივენსონი 36 წლის იყო, როცა კარიერა დაასრულა. შემდეგ ის სათავეში ჩაუდგა კუბის კრივის ფედერაციას. ლეგენდარული ჩემპიონი მასტერკლასებს უტარებდა ახალგაზრდა მოკრივეებს, ეწეოდა კრივის პოპულარიზაციას, იყო კუბის დედაქალაქის საქალაქო საკრებულოს დეპუტატი.

თეოფილო სტივენსონი 2012 წელს 60 წლისა გარდაიცვალა, გულის შეტევით.

„მე მახსოვს ჩემი ყველა გამარჯვება. ყოველ ჯერზე ჩემი სულის ნაწილს ვტოვებდი რინგზე“, — განაცხადა თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ლეგენდარულმა მოკრივემ.

*მოამზადა*
**ნიკა კორინთელმა**

**თეოფილო სტივენსონის მიღწევები:**

* ოლიმპიური თამაშების საგზის ჩემპიონი — 1972, 1976, 1980;
* სამგზის მსოფლიო ჩემპიონი — 1974, 1978, 1986;
* პანამერიკული თამაშების 2-გზის ჩემპიონი — 1975, 1979.

# ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი, რომელიც ბელგრადს ბომბავდა, სერბეთის უდიდესი მედიაჯგუფის მფლობელია




**დასავლეთის აგენტებს სერბეთის მედიასივრცეზე კონტროლის დაწესებაში სერბი ოპოზიციონერები დაეხმარნენ. ამას მოწმობს შედეგები გამოძიებისა, რომელიც პორტალმა „ბალკანისტმა“ ჩაატარა. მასალაში დაწვრილებით არის მოთხრობილი ამერიკული კომპანია CKR-ის მიერ სერბული ტელეარხების (მათ შორის, სახელმწიფო მნიშვნელობის) შესყიდვის სქემა.**

„ბალკანისტი“ მიუთითებს იმაზე, რომ დასავლეთის ექსპანსია სერბეთის ტელესივრცეში დაიწყო 2014 წელს, როცა ამერიკულმა საინვესტიციო კომპანიამ „კოლბერტ-კრავის-რობერტსმა“ (CKR) შეიძინა კომპანია United Group-ი, რომელიც გარიგების მომენტში ფლობდა სერბეთში რამდენიმე დიდ სატელემაუწყებლო ტელეოპერატორსა და ინტერნეტპროვაიდერს.

კომპანია CKR-ის ერთ-ერთი მფლობელია **დევიდ ჰაუელ პეტრეუსი** აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი და იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს ოპერაციის მონაწილე. აღსანიშნავია, რომ სანამ United Group-ს შეიძენდნენ, მასში უკვე ჩადებული იყო კოლოსალური თანხა: 2002 წელს კომპანიამ 10 მლნ დოლარი მიიღო **ჯორჯ სოროსის** სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საინვესტიციო ფონდიდან, კიდევ 25 მლნ ევროთი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა „დააჯილდოვა“.

სერბეთის მედიასივრცის ხელში ჩასაგდებად პეტრეუსმა გამოიყენა კომპანია United Group-ის თანამფლობელი, სოროსის სკოლადამთავრებული და გადამცემი რეტრანსლატორების ქსელის მფლობელი დრაგან შოლაკი, რომელიც სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმთან მებრძოლი ოპოზიციონერიდან რამდენიმე წელიწადში მილიონერად გადაიქცა.

CKR-მა, Unired Group-ის შეძენის შემდეგ, სერბეთის ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიებზე დაიწყო ახალი №1 არხის მაუწყებლობა და ეს არხი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე CNN-ის ერთადერთ დისტრიბუტორად გამოაცხადა.

პეტრეუსსა და შოლაკს გეგმების რეალიზაციაში დაეხმარა ბელგრადის ყოფილი მერი, ოლიგარქი **დრაგან ჯილასი,** რომელიც ახლა ხელმძღვანელობს ოპოზიციურ ბლოკ „კავშირი სერბეთისთვის“.

„ვიკილიქსის“ მონაცემებზე დაყრდნობით, „ბალკანისტი“ წერს, რომ **სლობოდან მილოშევიჩის** დამხობის მომენტიდან ჯილასი სერბეთში აშშ-ის დემოკრატიული ადმინისტრაციის პოლიტიკის გამტარებლის როლს ასრულებდა.

**„სწორედ ამ შეთქმულების შედეგად და ჯილასის მარჯვენა ხელის, მლაჯან ჯორჯევიჩის, უშუალო მონაწილეობით ჩამოაცილეს მღვდელმსახურებას კოსოვო-მეტოხიისა და რაშკო-პრიზრენსკის მეუფე არტემი, რომელიც ხელს უშლიდა ამერიკელებს თავიანთი პოლიტიკა გაეტარებინათ კოსოვოში“,** — წერს გამოცემა და აღნიშნავს, რომ დრაგან ჯილასი აქტიურად უჭერდა მხარს ნატოში სერბეთის შესვლასა და ბელგრადის მიერ კოსოვოს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის აღიარებას.

დღეს ოპოზიციონერებმა ტელეარხი №1 თავიანთი პროპაგანდის რუპორად და ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ მედიაბრძოლის ინსტრუმენტად გადააქციეს. ამასთანავე, საინტერესოა, რომ ტელეარხი №1 არღვევს სერბეთზე (როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატზე) გავრცელებულ ევროპულ კანონმდებლობას, რომლის თანახმად არ შეიძლება, ერთი ფირმა იყოს სატელევიზიო პროდუქტის მწარმოებელიცა და გამავრცელებელიც.

**eadialy.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ამერიკელების «პარტნიორობა» ბაიდენისა და პოროშენკოს შესრულებით და პარალელები საქართველოში






**დღეს უკრაინაში დიდი სკანდალი აგორდა. რადას დეპუტატმა ანდრეი დერკაჩმა გამოაქვეყნა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის პოროშენკოს და აშშ-ს ასევე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის და ობამასდროინდელი სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები.**

ჩანაწერებიდან ცხადად ჩანს, რომ უკრაინა ამერიკელების მკაცრი საგარეო კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამერიკელები თვითონ წყვეტენ მრავალ საკვანძო საკითხს, მაგ. ცალკეული მინისტრების ან მთლიანად მთავრობის შეცვლა-დანიშვნას, „ჭირვეული“ გენპროკურორ ვ. შოკინის მოხსნას და მის ადგილზე „მათიანი“ ი. ლუცენკოს გამწესებას და ა.შ. ბაიდენი პირდაპირ მოითხოვს პოროშენკოსგან შოკინის მოხსნას და ლუცენკოს დანიშვნას, აგრეთვე მთლიანად მთავრობის გამოცვლას და სანაცვლოდ ერთი მილიარდი დოლარის დახმარების გამოყოფას ჰპირდება (ამ პირობების შესრულების შემდეგ უკრაინას ეს ფული მართლაც გამოუყვეს, ე.ი. პოროშენკომ ქვეყანა, ბანალურად, ფულზე გაყიდა). შოკინის მოხსნას და მთავრობის შეცვლას ბაიდენი იმიტომ ითხოვს, რომ არ გახმაურდეს მისი შვილის კომპანიის „ბურისმა“-ს ფინანსური მაქინაციები და ზოგ შემთხვევაში პირდაპირი დატაცებები უკრაინის ბიუჯეტიდან.

აშშ ასევე პირდაპირ ერევა ქვეყნის პრემიერის დანიშვნის საკითხში, ითხოვენ მათდამი ლოიალური მინისტრების დანიშვნას და უკრაინის საბანკო სექტორს უპირობო დირექტივებს უწესებენ.

ბაიდენი-პოროშენკოს საუბრებიდან ჩანს, რომ უკრაინის ყველა საკვანძო უწყებაში საქმიანობენ ამერიკელი კურატორები, რომელთა უშუალო მითითებებით მიიღება ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ საუბარში ბაიდენი პირდაპირ მოითხოვს მოსახლეობისთვის კომუნალური გადასახადების 75%–ით გაზრდას, ხოლო რაღაც დროის შემდეგ პოროშენკო „პატაკს“ აბარებს, რომ გადასახადები 75%-ით კი არა, 100%-ით გაზარდა, რაზეც შექებას ღებულობს პასუხად.

ბაიდენი ასევე მოითხოვს პოროშენკოსგან, რომ უკრაინამ სესხი აიღოს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან და უაპელაციოდ მიიღოს მათი დრაკონული პირობები, რაზეც პოროშენკო მორჩილად თანხმდება.

საგულისხმოა თვითონ საუბრების ტონი: ბაიდენი იძლევა კითხვებს, პოროშენკო კი ფეხზე წამომდგარი სკოლის მოსწავლესავით დაწვრილებით პასუხობს, თუმცა, ფორმალურად, ბაიდენი სტატუსით მასზე დაბლა დგას.

**ამ ყველაფრის შემდეგ, ძვირფასო მკითხველო, ისღა დაგვრჩენია, ვივარაუდოთ, ვინ დაურეკა ბიძინა ივანიშვილს ოქრუაშვილი-უგულავას გამოსაშვებად და ცოტა ადრე კიდევ საარჩევნო ცვლილებების ოპოზოციისეული ვარიანტის მისაღებად და რა ულტიმატუმები წაუყენა მას. აგრეთვე ვარაუდის, მათ რომ უყვართ ხოლმე თქმა, დასაბუთებული ვარაუდის საგანია აგრეთვე ის პირობები, რომელთა შესრულების სანაცვლოდ ვიღებთ ე.წ. „ფინანსურ დახმარებებს“ და სინამდვილეში, კაბალურ კრედიტებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მსოფლიო ბანკიდან თუ სხვა „საერთაშორისო მეგობრებისგან“. ისევ უკრაინის მაგალითი რომ მოვიშველიოთ, „მეგობარი“ სავალუტო ფონდი ძველი ვალების გადავადებისა და ახალი კრედიტების მისაცემად უკრაინისგან კატეგორიულად მოითხოვს მიწების(!) გაყიდვის დაშვებას. დიდი მსჯელობა არ უნდა იმას, რომ ასეთ შემთხვევაში მყიდველები უკრაინელები არ იქნებიან.**

# მარინ ლე პენმა ევროკავშირს «ხელოვნური კონსტრუქცია» უწოდა და წინადადება წამოაყენა, ამ გაერთიანების ნაცვლად შეიქმნას «ერების ევროპა»



**„ევროკავშირი ხელოვნური კონსტრუქციაა და მისი დღეები დათვლილია. კორონავირუსით გამოწვეულმა კრიზისმა ევროპელებს უკვე დაუბრუნა ისეთი ცნებები, როგორებიცაა „საზღვრები“, „სუვერენიტეტი“ და „ეროვნული ინტერესები“. და ახლა აუცილებელია, ევროკავშირის ნაცვლად შეიქმნას „ერების ევროპა“, რომელიც დაფუძნებული იქნება თითოეული ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისებურებებისადმი პატივისცემაზე“, — დაწერა ფრანგული პარტია „ნაცისტური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა სტატიაში, რომელიც გამოცემა Valleurs actuelles-მა გამოაქვეყნა.**

„ადამიანების სამყაროში, ადამიანურ ვნებებსა და ოცნებებში იმპერია, რომელიც ბაზრამდე დადის, თავიდანვე განწირულია დასაღუპავად; ევროპელი ხალხების ისტორიაში, რომელიც სავსეა კატეგორიულობით, სიმამაცითა და ჰეროიზმითაც კი, ეს იმპერია განწირულია იმისთვის, რომ იყოს მხოლოდ გადახრა“, — წერს ლე პენი, რომელმაც „მითის შეთხზვის მცდელობა“ უწოდა ე.წ. შუმანის დეკლარაციის 70 წლისთავის აღსანიშნავად მზადებას.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **რობერტ შუმანის** წინადადებით, 1950 წლის 9 მაისს შეიქმნა ე.წ. ქვანახშირისა და ფოლადის მწარმოებელთა გაერთიანება, რომელიც საფუძვლად დაედო ევროინტეგრაციას. „ის (ევროპა — ლ.მ.) 70 წლის კი არ არის, არამედ დასაბამიდან არსებობს“, — განაცხადა პოლიტიკოსმა.

ლე პენმა ევროკავშირს უწოდა „გლობალიზაციის ლაბორატორიული ნაერთი“ და „ხელოვნური კონსტრუქცია, რომელიც არსებობს, როგორც მსოფლიო მთავრობის პირველსახე“.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894